

მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, კროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის გზამკვლევი

ნაწილი II




საქართველოს
განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო

მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ერთგვლიანი ცენტრი



საგარეო ურთიერთობების
სამინისტროს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო



მასწავლებელთა
პროფესიული
განვითარების
ერთვნიანი
ცენტრი

ავტორები:

მანია ინასარიძე
სოფიკო ლობჯანიძე
მანანა რატიანი
ირინა სამსონია

თანაშრომლობისთვის მადლობას ვუხდით

ცენტრის საგნობრივ ექსპერტ-კონსულტანტებს:

ნათია არაბულს
ლევან ახვლედიანს
გურაბ ბერიას
ნინო ბესელიას
ნინო ლაბარძეას
გაჟარია გიუნაშვილს
რუსუდან თაყაიშვილს
რუსუდან თედორაძეს
ნუგზარ მოსულიშვილს
ხათუნა მჭედლიშვილს
მაკა ნადარეიშვილს
ლევან ნავროგაშვილს
ნონა კოკიაშვილს
ნინო ფედვიაშვილს
ქეთევან ქობალიას

ცენტრის ტრენერ-კონსულტანტებს:

ნინო ბეგლარაშვილს
მარიკა კირვალიძეს
ბესიკ ლორთქიფანიძეს
მაკა მამფორიას

უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის ექსპერტ-კონსულტანტს:

თამაზ ტატიშვილს

© 2016, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

მასწავლებლის
საქმიანობის დაწყების,
კროფენიუდი განვითარებისა
და კანიენუდი წინსვლის
სქემის გზამკვლევი

ნაწილი II

შესავალი

როგორც „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ გამკვეთის I ნაწილში დაგვირდით, წინამდებარე გამკვეთის II ნაწილის ძირითადი თემაა შიდასასკოლო შეფასება. უფრო კონკრეტულად, იგი გვთავაზობს რეკომენდაციებს მასწავლებლის მიერ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით“ გათვალისწინებული სავალდებულო და დამატებითი აქტივობების განხორციელებისა და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ მათი შეფასების შესახებ.

შესაბამისად, გამკვეთი განკუთვნილია სქემაში ჩართული ყველა საჯარო და კერძო სკოლისთვის, კერძოდ კი, მასწავლებლებისთვის, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორებისთვის, მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრებისთვის, სკოლების ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის და, რა თქმა უნდა, – განათლების სფეროში მოღვაწე ყველა დაინტერესებული პირისთვის.

გამკვეთი დახმარებას გაუწევს თითოეულ მასწავლებელს, კარგად გაიაზროს, რას გულისხმობს სქემით გათვალისწინებული ესა თუ ის აქტივობა, რა არის მისი დანიშნულება და სთავაზობს რეკომენდაციებს მათი განხორციელებისთვის. გარდა ამისა, გამკვეთი აწვდის მკითხველს კონკრეტულ ინფორმაციას, თუ რა სახის და რა შინაარსის შემცველი დამადასტურებელი დოკუმენტაცია უნდა განათავსოს მან საკუთარ პროფესიულ საქალაქში იმისათვის, რომ შეფასების შედეგად სტატუსის შესაანარჩუნებლად ან უფრო მაღალი სტატუსის მოსაპოვებლად საჭირო კრედიტულები მოიპოვოს.

შიდა საგაკვეთილო დაკვირვების ნაწილში ამ ეტაპზე ვეხებით მხოლოდ სამოდელლო გაკვეთილის შეფასებას, აღვწერთ შესაბამის პროცედურებს, ასევე წარმომადგენთ სამოდელლო გაკვეთილის ტიპოლოგიას და შეფასების რუბრიკებს სათანადო განმარტებებით.

გზამკვლევი სთავაზობს მასწავლებლებს და შეფასების ჯგუფის წევრებს აქტივობების შეფასების კრიტერიუმებსა და რუბრიკებს, მათ შორის სამოდელო გაკვეთილის შეფასების რუბრიკას, რომელთა გამოყენებითაც მასწავლებლის შეფასების ჯგუფი განახორციელებს თითოეული მასწავლებლის შეფასებას სკოლის დონეზე – შეაფასებს წამყვანი მასწავლებლის (მომავალში – მენტორისაც) სამოდელო გაკვეთილს, ასევე თითოეული მასწავლებლის პროფესიულ საქალაქდეს. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ეს ინსტრუმენტები და მათი განმარტებები დაეხმარება მასწავლებლებს იმის განსაზღვრაში, თუ რომელი აქტივობის განსახორციელებლად არიან ისინი მზად, ასევე ამ აქტივობების ხარისხიანად დაგეგმვასა და განხორციელებაში.

თავი I. გაკვეთილზე დაპირება	13
სამოდულო გაკვეთილი	13
რა არის სამოდულო გაკვეთილი?	13
1. ინტეგრირებული გაკვეთილი	14
როგორ ჩავატაროთ ინტეგრირებული გაკვეთილი?	14
როგორ ჩამოვაცალიბოთ იდეა?	16
როგორ უნდა დაიგეგმოს ინტეგრირებული გაკვეთილი?	17
2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი	20
როგორ ჩავატაროთ პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი?	20
როგორ ჩამოვაცალიბოთ იდეა?	20
როგორ უნდა დაიგეგმოს პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი?	23
3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი	26
როგორ ჩავატაროთ გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი?	26
როგორ ჩამოვაცალიბოთ იდეა?	28
როგორ უნდა დაიგეგმოს გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი?	28
4. ინოვაციური გაკვეთილი	31
როგორ ჩავატაროთ ინოვაციური გაკვეთილი?	31
როგორ ჩამოვაცალიბოთ იდეა?	31
როგორ უნდა დაიგეგმოს ინოვაციური გაკვეთილი?	32
თავი II. მასწავლებლის პროფესიული საქაღალდის შეფასება	40
რა არის მასწავლებლის პროფესიული საქაღალდე?	40
როგორ ფასდება მასწავლებლის პროფესიული საქაღალდე?	40

რა ხდება მაშინ, როცა ფასდება მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრის პროფესიული საქალაქადე? 41

როდის და რა ვადებში ფასდება მასწავლებლის პროფესიული საქალაქადე? 43

როგორ ხდება შეფასების შედეგების გასაჩივრება? 44

სქემით გათვალისწინებული აქტივობები და მათი დამადასტურებელი დოკუმენტაცია სავალდებულო აქტივობები 44

სავალდებ ულო აქტივობები 44

რა არის პრაქტიკოსი მასწავლებლის სავალდებულო აქტივობები და რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მან მათ დასადასტურებლად? 44

რა არის უფროსი მასწავლებლის სავალდებულო აქტივობები და რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მან მათ დასადასტურებლად? 45

რა არის წამყვანი მასწავლებლის სავალდებულო აქტივობები და რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მან მათ დასადასტურებლად? 47

რა არის მენტორის სავალდებულო აქტივობები და რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მან მათ დასადასტურებლად? 48

დამატებითი აქტივობები 50

რას მოიცავს დამატებითი საქმიანობები და რა სახის დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს მასწავლებელმა მათ დასადასტურებლად? 50

რომელ კონფერენციებში მომხსენებლად მონაწილეობისთვის მიენიჭება მასწავლებელს კრედიტქულა? 50

რომელ პროგრამებში / პროექტებში მონაწილეობისთვის მიენიჭება მასწავლებელს კრედიტქულა და რამდენი? 50

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა 61

რა არის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა? 61

რა განსხვავებაა ტრადიციულ საგანმანათლებლო და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევებს შორის? 62

რა ეტაპებისაგან შედგება პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა? 63

პედაგოგიური კვლევის მეთოდები 68

როგორ გავაანალიზოთ კვლევის თვისებრივი მეთოდების შედეგად მიღებული მონაცემები? 73

როგორ უნდა მოემზადოს მასწავლებელი ანკეტირებისთვის 76

როგორ გავაანალიზოთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდების შედეგად მოპოვებული მონაცემები?	76
რა არის კვლევის ეთიკა?	82
როგორ მივდივართ ქმედებამდე (ინტერვენციამდე)?	84
როგორ გავაფორმოთ კვლევის ანგარიში?	87
პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შეფასების რუბრიკა	88

სტუდენტების/მასწავლებლების კონსულტირება 90

სტუდენტების კონსულტირება	91
მასწავლებლების კონსულტირება	93

სასწავლო რესურსი 94

რა სახის სასწავლო რესურსები შეფასდება სქემის ფარგლებში?	94
რატომ არის მნიშვნელოვანი სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენება?	95
რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სასწავლო რესურსი?	100
რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მასწავლებელმა სასწავლო რესურსის შექმნის დასადასტურებლად?	100
სასწავლო რესურსის შეფასების რუბრიკა	101

რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურა 102

რა ითვლება რეცენზირებულ პროფესიულ ლიტერატურად სქემის ფარგლებში?	102
რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მასწავლებელმა რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნის დასადასტურებლად?	103
როგორ შევქმნათ სასწავლო-მეთოდური სტატია?	103
რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შეფასების კრიტერიუმები	107

გამოყენებული ლიტერატურა 107

თავი I

გაკვეთილება დაკვირვება

სამოდულო გაკვეთილი

რა არის სამოდულო გაკვეთილი?

სქემის ერთ-ერთი ამოცანაა სკოლების გაძლიერება, რაც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების სტიმულირებას. სწორედ ამიტომ უნდა წახალისდეს მასწავლებლებს შორის წარმატებული გამოცდილების გაზიარება და პროფესიული დიალოგი.

მასწავლებლების მიერ ჩატარებული გაკვეთილები მიზნობრივობით ერთმანეთისგან განსხვავდება. ამ გაკვეთილებს შორის არის ისეთებიც, რომლებიც არა მხოლოდ მოსწავლეების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, არამედ პედაგოგიური თვალსაზრისით ინოვაციურია და კოლეგებისათვის სასარგებლო. სქემის უპირველესი მიზანი ურთიერთთანამშრომლობის გზით მასწავლებლის პროფესიული განვითარებაა. სწორედ ამიტომ განისაზღვრა წამყვანი მასწავლებლებისთვის სავალდებულო აქტივობად სამოდულო გაკვეთილების ჩატარება.

წამყვანმა მასწავლებელმა სტატუსის შესანარჩუნებლად 5 წლის განმავლობაში უნდა ჩაატაროს 5 სამოდულო გაკვეთილი, ხოლო კარიერული წინსვლისთვის სტატუსით განსაზღვრულ ვადაში 10 სამოდულო გაკვეთილის ჩატარება მოუწევს. ამ აქტივობით გამოცდილი მასწავლებელი ნაკლებად გამოცდილს უზიარებს საკუთარ წარმატებულ პრაქტიკას და გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს სკოლებში ურთიერთთანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებას.

თავდაპირველად შევთანხმდეთ, თუ რა ტიპის გაკვეთილები შეიძლება ჩაითვალოს სამოდულოდ. ესენია:

1. ინტეგრირებული გაკვეთილი;
2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი;

3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი;
4. ინოვაციური გაკვეთილი.

მასწავლებელმა უნდა შეარჩიოს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი გაკვეთილის ტიპი, შეუსაბამოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ასევე გაითვალისწინოს კრიტერიუმები, რომლებითაც შეფასდება მისი გაკვეთილი.

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გადაწყვეტს სამოდელიო გაკვეთილის ჩატარებას, სასურველია გააცნოს გაკვეთილის გეგმა კოლეგებს და როცა გეგმას საბოლოო სახეს მისცემს, მოაწყოს შეხვედრა შეფასების ჯგუფთან. ეს არის ერთგვარი წინასაგაკვეთილო ინტერვიუ, რაც გულისხმობს შეფასების ჯგუფის წევრებთან გასაუბრებას გაკვეთილის თემის, მიზნებისა და მათი მიღწევის გზების შესახებ.

გასათვალისწინებელია, რომ სამოდელიო გაკვეთილს ესწრებიან არა მხოლოდ შეფასების ჯგუფის წევრები, არამედ მოწვეული კოლეგებიც, რაც გარემოს შესაბამისად ორგანიზებას საჭიროებს.

სამოდელიო გაკვეთილის ჩატარება წამყვან მასწავლებელს საშუალებას აძლევს, დააგროვოს საჭირო კრედიტულები და, ამავდროულად, კოლეგებს დაეხმაროს ახალი იდეების გააზრებაში.

სამოდელიო გაკვეთილის ტიპიდან და თემატიკიდან გამომდინარე, შეფასების ჯგუფი მასწავლებლებთან შეთანხმებით, განსაზღვრავს, თუ ვინ დაესწრება სამოდელიო გაკვეთილს და მათგან ვინ მიიღებს მონაწილეობას მის შეფასებაში.

1. ინტეგრირებადი გაკვეთილი

როგორ ჩავატაროთ ინტეგრირებული გაკვეთილი?

ინტეგრირებული გაკვეთილი არ წარმოადგენს სიახლეს. გაკვეთილის ამ ტიპს მასწავლებლები საკმაოდ ხშირად და ეფექტიანად იყენებენ ჯერ კიდევ პირველი რედაქციის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის დროიდან, ამასთანავე, 2011-2016 წლის „მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის“ მიხედვითაც მასწავლებელს ამ აქტივობის წარმატებით განხორციელებისათვის ენიჭებოდა კრედიტი.

სასწავლო პროცესში ინტეგრაცია სხვადასხვა საგანში შესასწავლი თემების ერთმანეთთან ორგანულ დაკავშირებას გულისხმობს.

ინტეგრირებული გაკვეთილი არის ერთი და იმავე, მონათესავე ან გამჭოლი თემატიკის ირგვლივ გაერთიანებული ორი ან რამდენიმე სასწავლო საგნის მიხედვით დაგეგმილი და ჩატარებული გაკვეთილი.

თანამედროვე სამყაროში ადამიანის საქმიანობის ნებისმიერი სფერო ორიენტირებულია ინფორმაციის ფლობაზე, მის გაზიარებასა და სხვადასხვა მომიჯნავე სფეროებში გამოყენებაზე. 21-ე საუკუნე ცვლილებების საუკუნეა, რომელიც ადამიანისაგან მეტ მობილობას ითხოვს. მას შეიძლება მოუწიოს საკუთარი პოზიციისა და პროფესიის შეცვლა. ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება განათლების როლი, რათა ადამიანმა ადვილად შეძლოს თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავება. ამიტომ მასწავლებლის ვალდებულება თანამედროვე სამყაროში არ შემოისაზღვრება მხოლოდ საგნის სწავლებით. თანამედროვე მოთხოვნები ზოგადი განათლების მიმართ მასწავლებლებს კიდევ უფრო შორს მიმავალ მიზნებს უსახავს და უბიძგებს მათ ხშირად გამოიყენონ ინტეგრაცია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ისწავლონ ერთი თემის მეორესთან დაკავშირება, ერთი სასწავლო საგნისა - მეორესთან. ეს ხელს უწყობს ცოდნის გამთლიანებასა და ასევე შექნილი ცოდნისა და უნარების ერთი სფეროდან მეორეში გადატანას, რასაც საგანმანათლებლო ლიტერატურაში „ტრანსფერს“ უწოდებენ.

დიმიტრი უზნაძის აზრით, აზროვნებას ახასიათებს გადატანის უნარი. მას შემდეგ, რაც მოსწავლე ერთხელ გადატრის ამოცანას, მას უკვე აღარ უჭირს ანალოგიური ამოცანების გადატრა სხვა სიტუაციებში. ტრანსფერი არ ხდება თავისთავად. ამისათვის საჭიროა სწავლების სპეციალურად დაგეგმვა. ტრანსფერის მექანიზმი სხვადასხვანაირია. არსებობს ახლო და შორი ტრანსფერი. მათ შორის საზღვარი არც ისე მკაფიოა, „მანძილი“ კი უმთავრესად იმაზე დამოკიდებული, რამდენად განსხვავებულ კონტექსტში ვიყენებთ ჩვენს ცოდნასა თუ უნარებს.

ახლო ტრანსფერი, უხეშად რომ ვთქვათ, ხდება მაშინ, როდესაც ახალ ცოდნას მსგავს გარემოში ვიშველიებთ. მაგალითად გამოდგება ავტომობილის მართვა. განსხვავებული მანქანის საჭესთან გადაჯდომა მართვის უნარის ტრანსფერია, თუმცა მაინც მცირედ განსხვავდება კარგად ნაცნობი სიტუაციისგან. ახლო ტრანსფერად შეგვიძლია ჩავთვალოთ საგნობრივი უნარებიც, რომლებიც განსაზღვრული საგნის ფარგლებში მოიპოვება მოსწავლის უნარების არსენალში და რომლებსაც იგი საჭიროებისამებრ იყენებს. საზოგადოდ, სასკოლო საგნობრივი დავალებები ერთმანეთის მსგავსია და, ამდენად, ტრანსფერის განხორციელებაც შესაძლებელია.

შორი ტრანსფერის გამოყენება ხდება კონტექსტისგან ძლიერ განსხვავებულ სიტუაციაში. მაგალითად, თუ კარგად თამაშობ ჭადრაკს, იგივე სტრატეგიები, რაც საჭადრაკო პარტიას სჭირდება, შეიძლება ბიზნესშიც გამოიყენო. სასწავლო კონტექსტს თუ დავუბრუნდებით, შორი ტრანსფერი შესაძლებელია საგანთშორისი ინტეგრაციისას გამოვიყენოთ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი ეს საგნები მომიჯნავე არაა.

მიუხედავად იმისა, რომ ინტეგრირებულ სწავლებას დიდი ისტორია აქვს, მან დღეს, გლობალიზაციის ეპოქაში, კიდევ უფრო მეტი აქტუალურობა შეიძინა.

სწორედ ამიტომ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ახალი ვერსიის ერთ-ერთი მოთხოვნაა, რომ მასწავლებელი გაკვეთილის დაგეგმვისას ითვალისწინებდეს შიდა და საგანთშორის კავშირებს. სტანდარტის სწორედ ამ მოთხოვნამ განაპირობა სამოდულო გაკვეთილის ერთ-ერთ ტიპად ინტეგრირებული გაკვეთილის შემოტანა.

ინტეგრირებული გაკვეთილის იდეა უნდა შეირჩეს შესასწავლი თემიდან გამომდინარე, უნდა იკვეთებოდეს მისი მჭიდრო კავშირი სხვა დისციპლინასთან/დისციპლინებთან, რომელთანაც/რომლებთანაც მასწავლებელი შესასწავლი თემის დაკავშირებას გადაწყვეტს. ცხადია, ინტეგრირებული გაკვეთილები ყოველდღიურად ვერ ჩატარდება, რადგან მათ ზედმიწევნით დაგეგმვის გარდა, სხვა სირთულეებიც ახლავს. მაგალითად, იმისათვის, რომ ინტეგრირებული გაკვეთილი სრულფასოვანი გამოვიდეს, ხშირად ერთი გაკვეთილი საკმარისი არ არის და შეწყვილებული გაკვეთილის ჩასატარებლად საჭიროა ცხრილში ცვლილებების შეტანა.

ინტეგრირებული გაკვეთილის, როგორც სამოდულო გაკვეთილის ერთ-ერთი ტიპის, ჩატარება წამყვან მასწავლებელს საშუალებას აძლევს, დააგროვოს საჭირო კრედიტულები და, ამავდროულად, კოლეგებს დაეხმაროს ახალი იდეების გააზრებაში.

როგორ ჩამოვყალიბოთ იდეა?

წლის დასაწყისში, როდესაც მასწავლებელი ადგენს თავისი საქმიანობის თემატურ გეგმას, სასურველია მან გაიაზროს სავარაუდო თემები, რომელთა დაკავშირებაც შესაძლებელია სხვა სასწავლო საგნებთან. ამის შემდეგ იგი უნდა გაეცნოს ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი საგნის/საგნების პროგრამას/პროგრამებს. თუკი ამ საგნის სასწავლო გეგმაც მოიცავს მსგავს თემებს და თან ქრონოლოგიურად შესაძლებელია მათი ერთმანეთთან დაკავშირება, მაშინ თამამად შეიძლება ინტეგრირებული გაკვეთილის დაგეგმვა.

როდესაც ინტეგრირებაზე ვფიქრობთ, ხშირად ჩვენი იდეები არ ცდება მომიჯნავე და თემატურად ერთმანეთთან ახლოს მდგომ საგნებს, თუმცა შეიძლება ბევრად უფრო თამამი ნაბიჯების გადადგმაც და ერთი შეხედვით ერთმანეთთან შორს მდგომი საგნების დაკავშირება. მთავარია, ინტეგრირებული გაკვეთილისთვის სწორად შეირჩეს საგაკვეთილო თემა, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩეულ თემას უნდა ჰქონდეს ყველა ინტეგრირებულ საგანთან შეხების წერტილი, ინტეგრირება იყოს ლოგიკური და ბუნებრივი.

ინტეგრირებული გაკვეთილის ძირითადი მახასიათებელი არის ის, რომ იგი უზრუნველყოფდეს ინტეგრირებული საგნების შესაბამისი სასწავლო შედეგების მიღწევას.

როგორ უნდა დაიგეგმოს ინტეგრირებული გაკვეთილი?

გაკვეთილის იდეის ჩამოყალიბების შემდეგ მასწავლებელი შეისწავლის შესაბამისი საგნების სახელმძღვანელოებში ასახულ მასალას, მოიძიებს დამატებით ინფორმაციას და რესურსებს. გაკვეთილის მოსამზადებლად რესურსების მოძიება და მომზადება საკმაოდ შრომატევადია და დროს საჭიროებს, რადგან, ბუნებრივია, რომ მასწავლებლებს მეტი ინფორმაცია აქვთ საკუთარ საგანში არსებულ და ხელმისაწვდომ რესურსებზე, ვიდრე სხვა საგნებში. გარდა ამისა, მოძიებული მასალა ხშირად საჭიროებს ქართულ ენაზე თარგმნასა და ადაპტაციას. ამიტომ ჩვენი რჩევაა, მასწავლებელმა წლის დასაწყისშივე განსაზღვროს ინტეგრირებული გაკვეთილების თემატიკა და გააკეთოს გაკვეთილის გეგმის მონახაზი. გაკვეთილის გეგმის დახვეწის მიზნით, მასწავლებელმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს იმ საგნების მასწავლებლებთან, რომელთა ინტეგრირებაც აქვს განზრახული, გააცნოს მათ გაკვეთილის გეგმის მონახაზი და მოისმინოს მათი რეკომენდაციები.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში გთავაზობთ ინტეგრირებული გაკვეთილების თემების მაგალითებს სასწავლო მიზნებთან ერთად სხვადასხვა საგანში:

საგანი	თემა	მიზანი
ბიოლოგია	ადაპტაცია. მცენარეების თოვლში ყვავილობასთან შეგუებულობა. (ბიოლოგია-ქიმიკა)	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● მსჯელობა ადაპტაციაზე, ზოგიერთი ადრე მოყვავილე მცენარის დაბალ ტემპერატურაზე ყვავილობასთან შეგუებულობაზე; ● მცენარეულ უჯრედში არსებული ხსნარის შემადგენლობისა და თვისებების გაანალიზება; ● ამ თვისებების დაკავშირება აგრეთვე მდგომარეობის ცვლილების თავისებურებებთან და ამით ასეთ მცენარეთა დაბალ ტემპერატურაზე ყვავილობასთან შეგუებულობის ახსნა.
გეოგრაფია	მდგრადი ორგანული დამაბინძურებლები (მოლ) (გეოგრაფია-ბიოლოგია)	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების გავლენის გააცნობიერება ადამიანის ჯანმრთელობაზე და მისი მნიშვნელობის შეფასება მსოფლიოს მოსახლეობის ზრდის ფონზე.

საგანი	თემა	მიზანი
ქართული ენა და ლიტერატურა	მაღალი და დაბალი შიირი „ვეფხისტყაოსანში“. მაღალი შიირი, როგორც „ოქროს კვეთის“ ნიმუში. (ქართული ენა და ლიტერატურა-მათემატიკა-ხელოვნება)	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● ოქროს კვეთის პრინციპის ახსნა პოეზიაში („ვეფხისტყაოსნის“ მაგალითზე) და მისი ფუნქციის გააზრება; ● პროპორციის არსისა და შესაბამისი ფორმულის განსაზღვრა; ● ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების აგების პრინციპებზე მსჯელობა.
დაწყებითი განათლება	როგორ იკეთებენ ცხოველები თავშესაფარს (ბუდეებს) (ბუნებისმეტყველება-სახვითი ხელოვნება)	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მსჯელობა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ცხოველებისათვის გარემოს; ● საყვარელი/ფანტასტიკური ცხოველის საარსებო გარემოს შექმნა სხვადასხვა მასალის გამოყენებით. <p>შენიშვნა: აღნიშნულ გაკვეთილზე შესაძლებელია ბუნებისმეტყველებისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილების ინტეგრაცია. აგრეთვე, ხდება ინფორმაციის ნიშანთა ერთი სისტემიდან მეორეში გადატანა (მაგ. სიტყვიერი ტექსტის მიხედვით ნამუშევრების შექმნა), რაც ხელს უწყობს სემიოტიკური კომპეტენციის განვითარებას.</p>
ისტ	პოსტერის შექმნა საპრეზენტაციო პროგრამაში (მოსწავლეები სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედების მიხედვით შექმნიან ელექტრონულ პოსტერს და მოაწყობენ პრეზენტაციას). (ისტ-ქართული)	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● პოსტერის მომზადება საკუთარი მოსაზრებების წარმოსაჩენად; ● პრეზენტაციასა და სხვა ვიზუალურ და საკითხავ მასალას შორის განსხვავების გააზრება.
ისტორია	გეოგრაფიული დეტერმინიზმის თეორია იბნ ხალდუნისა და მონტესკიეს ნაშრომების შუქზე (ისტორია-გეოგრაფია)	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● გეოგრაფიული დეტერმინიზმის გააზრება სხვადასხვა ეპოქის მეცნიერთა თეორიების საფუძველზე; ● გაანალიზება, თუ რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო საზოგადოების განვითარებაზე.
მათემატიკა	პარაბოლა, კუთხით გასროლილი სხეულის მოძრაობა და თანამგზავრის ორბიტა. (მათემატიკა-ფიზიკა)	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● სიდიდეებს შორის დამოკიდებულების აღგებრულად გამოსახვა; ● მათემატიკური აპარატის გამოყენებით მომიჯნავე დისციპლინებიდან და პრაქტიკიდან მომდინარე პრობლემების გადაჭრა;

საგანი	თემა	მიზანი
		<ul style="list-style-type: none"> ● მონაცემთა შეგროვება, ორგანიზება და მათი ანალიზის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბება.
მუსიკა	<p>ბგერა. ხმების შეგროვება, ხმოვან-რიტმული კომპოზიციის შექმნა, ბგერის შესწავლა.</p> <p><i>(მუსიკა, ფიზიკა)</i></p>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ხმების აღქმა და გამოყენება შემოქმედებით პროცესში; ● მუსიკალურ-შემოქმედებითი და ინტერპრეტაციის უნარების გამოვლენა; ● ბგერის, როგორც აკუსტიკური მოვლენის შესწავლა.
სპორტი	<p>ფიზიკური ვარჯიშების მნიშვნელობა ჩონჩხისა და კუნთოვანი სისტემის ჩამოყალიბებისთვის</p> <p><i>(სპორტი – ბიოლოგია)</i></p>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● მოზარდებში ტანდაობის დარღვევის მიზეზების განსაზღვრა და მათი პრევენცია ფიზიკური აქტივობის საშუალებით.
უცხოური ენა	<p>„ბავშვთა უფლებები“</p> <p><i>(უცხოური ენა – სამოქალაქო განათლება)</i></p>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● კონვენციისათვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებების განსაზღვრა; ● მოდალური ზმნების გამოყენება ბავშვთა უფლებებზე მსჯელობისას; ● მოდალური ზმნების გამოყენებით ბავშვთა უფლებების კონვენციის შექმნა (საკლასო ოთახში ქცევის წესები)
ფიზიკა	<p>წრფივი თანაბარჩარებული მოძრაობის გრაფიკული წარმოდგენა.</p> <p><i>(ფიზიკა-მათემატიკა)</i></p> <p>შენიშვნა: ფიზიკისა და მათემატიკის ინტეგრირებული გაკვეთილი კინემატიკაში. თანაბარჩარებული მოძრაობის წარმოდგენა შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით, ერთ-ერთია გრაფიკული ფორმა.</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● თანაბარჩარებული მოძრაობის გააზრება და მისი გრაფიკული ფორმით წარმოდგენა; ● ფიზიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება, გრაფიკების საშუალებით მოძრაობის ხასიათზე, მის რაოდენობრივ და თვისობრივ მხარეებზე მსჯელობა.
ქიმია	<p>ქიმიური რეაქციის თეორიული, პრაქტიკული და პროცენტული</p>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ქიმიური რეაქციის ტოლობის სწორად შედგენა და გათანაბრება და მის საფუძველზე პროდუქტის გამოსავლიანობის დადგენა ქიმიურ სიდიდეებს

საგანი	თემა	მიზანი
	გამოსავლის განგარიშება. <i>(ქიმია-მათემატიკა)</i>	შორის ურთიერთკავშირის ალგებრულად გამოსახვის გზით; ● მონაცემთა შეგროვების, ორგანიზებისა და ანალიზის საფუძველზე დასკვნების ჩამოყალიბება.

2. პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი

როგორ ჩავატაროთ პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი?

სამოდელიო გაკვეთილის ერთ-ერთი ტიპია პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი, რომელიც ეფუძნება ჯონ დიუის პრინციპს – „სწავლა კეთებით და გამოცდილების მიღებით“.

განათლების სისტემის მთავარი საზრუნავია, რომ მოსწავლეებმა შეძლონ სკოლაში შექმნილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად გამოყენება. სწორედ ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანი, რომ სკოლამ საგნობრივ ცოდნასთან და უნარ-ჩვევებთან ერთად მოსწავლეებს განუვითაროს პრობლემების გადაჭრის უნარი. იგი მოსწავლეებს არა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრებისეული მოთხოვნების მოგვარებაში გამოადგებათ, არამედ ფორმალურ საგანმანათლებლო გარემოში სწავლის გასაგრძელებლად და პროფესიულ კარიერაში წარმატების მისაღწევად.

როგორ ჩამოვაყალიბოთ იდეა?

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების იდეა ისევე, როგორც ყველა სხვა დანარჩენი ტიპის გაკვეთილისა, უნდა მომდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტიდან, ხელს უნდა უწყობდეს მასში დასახული შედეგების მიღწევას.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების გამოყენება შესაძლებელია როგორც მაღალ, ისე დაწყებით კლასებშიც, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია ადეკვატური მოდელის შერჩევა დასამული პრობლემის უკეთ წარმოსაჩენად. დაწყებით საფეხურზე მოდელირება, მოსალოდნელი სცენარის შემუშავება თუ მსავსი აბსტრაქტული დავალებები ვერ იქნება მიზანშეწონილი.

თუკი ინტეგრირებული გაკვეთილები უწინარესად ხელს უწყობს ნასწავლის დაკავშირებას სხვა დისციპლინებთან, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეს ასწავლის პრობლემის იდენტიფიცირებას, ცოდნის სისტემატიზაციის საფუძ-

ველზე მისი გადაჭრის გზების ძიებას და მიღებული გამოცდილების რეალურ ცხოვრებაში გამოყენებას.

ამ ტიპის გაკვეთილზე მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით ჯერ გამოავლენენ პრობლემას, შემდეგ გაიაზრებენ მას, რის შემდეგაც მოიძიებენ, ახარისხებენ და აანალიზებენ საჭირო ინფორმაციას. მოსწავლეები კვლავ უბრუნდებიან გადასატრეულ პრობლემას და უკვე დამუშავებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახერხებენ მის გადაჭრას.

პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებისათვის დამახასიათებელია შემდეგი:

- სწავლება ეყრდნობა ღიად დასმულ პრობლემურ შეკითხვებს;
- მოსწავლეები მუშაობენ მცირე ჯგუფებში, რადგან პრობლემის გადაჭრის გზების ძიებისას მნიშვნელოვანია იდეათა მრავალფეროვნება და ურთიერთგაზიარება;
- მასწავლებელი არის მხოლოდ გზის მიმცემი, რის შედეგადაც მოსწავლე იღებს მეტ პიროვნულ პასუხისმგებლობას საკუთარ ქმედებაზე და ხდება აქტიური შემეცნებელი. ეს კი თავისთავად მის დამოუკიდებელ შემსწავლელად ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

მხოლოდ ღიად დასმული სიტუაციური შეკითხვა (როგორ არის შესაძლებელი..? შეიძლება თუ არა..? და სხვა) არაა საკმარისი, რომ სიტუაცია პრობლემურად ჩაითვალოს. ამასთან ერთად საჭიროა:

- პრობლემური ამოცანა იყოს ერთგვარი გამოწვევა მოსწავლისათვის. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, თუ რამდენად შეესაბამება პრობლემური ამოცანა მოსწავლის ასაკობრივ განვითარებასა და უნარ-ჩვევებს.
- მასწავლებლის მიერ შერჩეული პრობლემური ამოცანა მამოტივირებელი, ინტერესის გამომწვევი უნდა იყოს მოსწავლეებისთვის.
- პრობლემის გადასატრელად მასწავლებელმა ისეთი ამოცანა უნდა დასვას, რომ მოსწავლეს დასჭირდეს ახალი გზის მოფიქრება. თუკი მას ამისთვის მზა სტრატეგიას შესთავაზებენ, ეს მხოლოდ რიგით სავარჯიშოდ ჩაითვლება.

პრობლემური სიტუაცია შეიძლება იყოს შემდეგი სამი ტიპის: 1) ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებასთან; 2) ამოცანები, რომლებიც მოითხოვს სისტემის ანალიზსა და მოდელირებას; 3) ამოცანები, რომლებიც უკავშირდება რთული ვითარებიდან გამოსავლის ძიებას.

პრობლემის გადაჭრის მთლიანი ციკლი შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: პრობლემის გადაჭრა იწყება პრობლემის მოძიებითა და ჩამოყალიბებით

(მასწავლებლის ჩართულობის ხარისხს პრობლემის მოძიებისა და იდენტიფიცირების პროცესში განსაზღვრავს კლასის მზაობა და შესაძლებლობები). ამის შემდეგ მოსწავლეები პრობლემას გაიაზრებენ, დაანაწევრებენ და გამოყოფენ პრიორიტეტებს, მოახდენენ იდეების გენერირებას, მოიძიებენ და შეარჩევენ ინფორმაციას, პრობლემის გადაჭრის სტრატეგიას, გააანალიზებენ პრობლემას, მოიძიებენ გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, მიიღებენ გადაწყვეტილებას და გაუზიარებენ ინფორმაციას ერთმანეთს. შემდეგ გადაამოწმებენ შედეგების სისწორეს და, საჭიროების შემთხვევაში, დაუბრუნდებიან შესაბამის ეტაპს და იქიდან ხელახლა იწყებენ პრობლემის გადაჭრის ციკლის გავლას.

პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების ციკლი წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ სქემაზე:



პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლება მოსწავლისაგან მოითხოვს ახალი, არასტანდარტული სტრატეგიების ძიებას. პრობლემის გადაჭრა ეფუძნება იმ ცოდნას, რომელიც მოსწავლეს უკვე აქვს, მაგრამ ამასთანავე აუცილებელია სხვადასხვა შინაარსისა და ცნების ერთმანეთთან დაკავშირება, ინტეგრირება. ამ დროს შესაძლებელია თვისებრივად ახალი ცოდნის მიღება. პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება უმეტესწილად დაკავშირებული უნდა იყოს რეალურ ან რეალურთან მიახლოებულ ვითარებასთან, შეიძლება იყოს ინტერდისციპლინურიც, როდესაც გადაჭრის გზა არ შემოიფარგლება ერთი რომელიმე სასწავლო საგნით ან მიმართუ-

ლებით. სწავლა აღარაა სტანდარტული, რუტინული პროცესი – იგი გარდაიქმნება პიროვნების განვითარების ხელშემწყობ საშუალებად, რის შედეგადაც მოსწავლეს უყალიბდება ცოდნის ტრანსფერის, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნებისა და სწავლის სწავლის უნარ-ჩვევები. იმ საკლასო გარემოში, სადაც გამოყენებულია პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული სწავლება, მოსწავლეები თანდათან უფრო მეტ პასუხისმგებლობას იღებენ საკუთარ სწავლაზე და ყალიბდებიან დამოუკიდებელ შემმეცნებლებად, ანუ ისეთ პიროვნებებად, რომელთაც დამოუკიდებლად შეუძლიათ მუდმივად იზრუნონ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე. ეს კი თანამედროვე განათლების უპირველესი ამოცანაა.

როგორ უნდა დაიგეგმოს პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი?

ქვემოთ მოცემულია რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება მასწავლებლებს პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში:

- სწავლის პროცესი უნდა დაიწყოს პრობლემის განხილვით. პრობლემა უნდა იყოს მოსწავლეებისთვის აქტუალური;
- პრობლემური ამოცანის შინაარსი მოსწავლეებში უნდა აღძრავდეს ინტერესს;
- პრობლემური სიტუაცია არ უნდა იყოს იმდენად რთული, რომ მოსწავლეებს უკარგავდეს მისი გადაჭრის სურვილს და არც ზედმეტად მარტივი;
- პრობლემები უნდა შეესაბამებოდეს რეალობას და იძლეოდეს ცოდნისა და გამოცდილების ინტეგრირების შესაძლებლობას;
- პრობლემა ფოკუსირებული უნდა იყოს ერთ საკითხზე (განსაკუთრებით, პირველ ეტაპზე), რათა თავიდან ავიცილოთ ქაოტურობა;
- პრობლემა უნდა ეხმარებოდეს მოსწავლეებს თავისუფლად გამოხატონ საკუთარი აზრი;
- მოსწავლეებს უნდა მიეცეთ საკმარისი დრო იმისათვის, რომ შეძლონ პრობლემის გადაჭრისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვება და შესაბამისი სტრატეგიების შერჩევა;
- უნდა წახალისდეს მოსწავლეების შემოქმედებითი მიდგომა;
- უნდა შეიქმნას კომფორტული, თავისუფალი და უსაფრთხო გარემო, სადაც მოსწავლეებს არ ეშინიათ შეცდომის დაშვების;
- უნდა დაისვას ისეთი შეკითხვები, რომლებიც მოსწავლისაგან მოითხოვს დასაბუთებას და მტკიცებულებების მოყვანას, უბიძგებს კრიტიკული აზროვნებისაკენ;
- უნდა წახალისდეს თანამშრომლობითი სწავლება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა შორის აზრთა ურთიერთგაცვლას და სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებას;

● დაბოლოს, თუკი მოსწავლეები შეფერხდებიან:

- იდეების გენერირების ეტაპზე მასწავლებელმა მათ უნდა შესთავაზოს გონებრივი იერიშის მეთოდი, რომელიც მოსწავლეებს უბიძგებს მრავალი საინტერესო იდეის ჩამოყალიბებისაკენ;
- მასწავლებელმა უნდა ამოაცნობინოს პრობლემაში უკვე ნაცნობი და მათ მიერ მოგვარებული სიტუაცია, ანალოგიური პრობლემები, რომლებიც მათ უკვე შეხვედრიათ და გადაუჭრიათ.

ისევე, როგორც ინტეგრირებული გაკვეთილის შემთხვევაში, მასწავლებელმა პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილის დაგეგმვისას შეიძლება აღმოაჩინოს, რომ 45 წუთი არ არის საკმარისი მიზნის მისაღწევად. ამიტომ შეიძლება საჭირო გახდეს ცხრილში გაკვეთილების გადანაცვლება. შეწყვილებული გაკვეთილი საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, უფრო ჩაუღრმავდნენ პრობლემას და იფიქრონ მისი გადაჭრის გზებზე.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში გთავაზობთ პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილების თემების მაგალითებს სასწავლო მიზნებთან ერთად სხვადასხვა საგანში:

საგანი	თემა	მიზანი
ბიოლოგია	ორგანიზმის ინდივიდუალური განვითარება, ანუ ონტოგენეზი	<ul style="list-style-type: none"> ● მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესის გაღვივება და თვითგანათლების ხელშეწყობა; ● თვითკონტროლის უნარის განვითარება; ● ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია.
გეოგრაფია	დემოგრაფიული პოლიტიკა – ქვეყნის განვითარების ხელშეწყობი თუ ხელშეშლელი ფაქტორი?	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ასპექტზე (სოციალურ, ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე) „ჩინეთის ერთი ბავშვის პოლიტიკის“ გავლენის შეფასება (SWOT ანალიზის დახმარებით)
დაწყებითი განათლება	კოორდინატები	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● გარემოში ორიენტირება და ობიექტთა ურთიერთგანლაგების აღწერა, ორიენტირება რუკაზე ან საკოორდინატო სიბრტყეზე კოორდინატების გამოყენებით. <p>შენიშვნა: გამოწვევის ფაზაზე მასწავლებელი წარმართავს დისკუსიას თემაზე – თუ რა გვჭირდება ადამიანებს კონკრეტული ადგილის მიგნების, ან სხვისთვის ასახსნელად? დისკუსია იმგვარად უნდა წარიმართოს, რომ ამჟამად გამოიკვეთოს კოორდინატების აუცილებლობა. შინაარსის რეალიზების ფაზაზე მასწავლებელი დაასახელებს კოორდინატების გამოყენების</p>

საგანი	თემა	მიზანი
		ნიმუშებს მავ: ადგილი კინოთეატრში, ჭადრაკი, რუკა. რეფლექსიის ფაზაზე მასწავლებელი შესავაზებს მოსწავლეებს, ბადებე აღნიშნონ მითითებული კოორდინატების მქონე წერტილი.
ქართული ენა და ლიტერატურა	ლაპარაკობენ „შუშანიკის წამების“ მეორეხარისხოვანი პერსონაჟები (პროექტ-გაკვეთილი, „ქეისით“ სწავლება და ა.შ.)	მოსწავლემ შეძლოს: ნაწარმოებში ასახული პრობლემის წარმოდგენა მეორეხარისხოვანი პერსონაჟების (ჯოკის, ჯოჯი-კის ცოლის, სპარსის, მოგვი დედაკაცის, დიაკნის, მცველის) თვალთახედვიდან და ამ პრობლემის გაანალიზება სხვადასხვა პერსპექტივიდან.
ისტ	„ჩემი ელექტრონული დღიური“ (მოსწავლეები ელექტრონული ცხრილების საშუალებით შექმნიან ნიშნების ელექტრონულ დღიურს, გამოთვლიან პირად სემესტრულ ნიშნებს, რომელსაც გაუზიარებენ მშობელს).	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● ციფრული საშუალების შესაძლებლობების შეფასება და სხვადასხვა ინსტრუმენტის ადეკვატურად შერჩევა ელექტრონული დღიურის შექმნისას; ● მსჯელობა ციფრული ინფორმაციის გაზიარების სხვადასხვა ინსტრუმენტის შესახებ და მათ შორის ოპტიმალურის შერჩევა.
ისტორია	ტერორიზმი და თანამედროვეობა	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● ტერორიზმის წარმოშობის მიზეზების გაანალიზება.
მათემატიკა	სხვადასხვა სატარიფო გეგმების, ფასდაკლებების, ფასების ზრდის ერთმანეთთან შედარება ალგებრულად გამოსახული შესაბამისი ფუნქციების შესწავლით	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● მოდელის ელემენტების ინტერპრეტირება იმ რეალობის კონტექსტში, რომელსაც ეს მოდელი აღწერს და პირიქით – რეალური ვითარების დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების ინტერპრეტირება შესაბამისი მოდელის ენაზე; ● მოცემული მოდელის გაანალიზება და შეფასება, კერძოდ, მისი მოქმედების არეალისა და მოდელის ადეკვატურობის დადგენა; ● შესაძლო ალტერნატივების განხილვა და შედარება.
მუსიკა	თანამედროვე პროფესიული მუსიკის აღქმა – ი. ქსენაკისის ნაწარმოების მოსმენა პარტიტურის გრაფიკულ გამოსახულებასთან ერთად.	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● თანამედროვე პროფესიული მუსიკის აღქმის სირთულეების ეტაპობრივად დაძლევა.
სპორტი	პროექტი: „მავნე ჩვევების პრევენცია“.	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ● ადამიანის ორგანიზმზე მავნე ჩვევების (თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარების) უარყოფითი ზეგავლენის შეფასება; ● მავნე ჩვევების პრევენციისა და დაძლევის გზების ძიება;

საგანი	თემა	მიზანი
		<ul style="list-style-type: none"> თანამშრომლობითი უნარების განვითარება.
უცხოური ენა	ჯანსაღი ცხოვრების წესი	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> რჩევის მიცემისათვის საჭირო ენობრივი კონსტრუქციების გამოყენება; ჯანსაღი ცხოვრების წესის მნიშვნელობაზე მსჯელობა ნასწავლი ენობრივი კონსტრუქციების გამოყენებით.
ფიზიკა	<p>ატმოსფერული წნევის სიმაღლეზე დამოკიდებულების დადგენა.</p> <p><i>(პროექტ-გაკვეთილი)</i></p>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> სხვადასხვა სიმაღლეზე ატმოსფერული წნევის სიდიდის გაზომვა ჰაერის სხვადასხვა ტემპერატურების დროს, მიღებული მონაცემების შეგროვება და სისტემატიზაცია, მათი ანალიზი. კონკრეტული მონაცემების საფუძველზე ზოგადი დამოკიდებულების დადგენა, მისი ანალიზური ფორმულით გამოსახვა. მიღებული დამოკიდებულებისა და უკვე ცნობილი ფორმულის შედარება; თეორიისა და პრაქტიკის შედარება. კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილზე მიღებული შედეგებისა და უკვე არსებული მონაცემების შედარება.
ქიმია	<p>წყლის ქიმიური ანალიზი:</p> <p>ა) ჟინვალის წყალსაცავის;</p> <p>ბ) თბილისის ზღვის.</p> <p><i>(პროექტ-გაკვეთილი)</i></p>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <p>მიღებული შედეგების შეგროვებისა და ანალიზის (შედარების) საფუძველზე:</p> <ul style="list-style-type: none"> პრობლემის აქტუალობის გაცნობიერება და ამ პრობლემის გადაჭრის თეორიული და პრაქტიკული გზების მოძიება; ცოდნის განზოგადება; მიღებული ექსპერიმენტული მონაცემების სისტემატიზაცია და ამ მონაცემების საფუძველზე განზოგადებული დასკვნის გამოტანა.

3. გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი

როგორ ჩავატაროთ გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი?

გამჭოლი კომპეტენციები ეროვნული სასწავლო გეგმის (2011-2016 წ.წ.) განუყოფელი ნაწილია. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების დანერგვას სკოლებში დღემდე გარკვეული სირთულეები ახლავს, რადგან არ მომზადებულა სათანადო დამხმარე რესურსები, რომ-

ლებიც მასწავლებლებს თავიანთ საგნებში მოსწავლეთა შორის აღნიშნული კომპეტენციების განვითარებაში დაეხმარებოდა.

ხარვეზებს, რომლებიც გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლებას ახლავს, სხვა მიზეზებიც აქვს. კერძოდ, მასწავლებლები გაკვეთილებზე ძირითადად მხოლოდ იმ გამჭოლ კომპეტენციებზე მუშაობენ, რომელთა განვითარებაც ბუნებრივია იმ საგნისთვის, რომელსაც ისინი ასწავლიან. მაგ., წიგნიერების განვითარებას მხოლოდ ქართული ენა და ლიტერატურა უწყობს ხელს, ეკოწიგნიერებისას – გეოგრაფია, რაოდენობრივი წიგნიერებისას – მათემატიკა, სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციისას – სამოქალაქო განათლება და ა.შ. დანარჩენ გამჭოლ კომპეტენციების განვითარებაზე ზრუნვა კი სხვა საგნებისთვის აქვთ გადაბარებული.

ეროვნული სასწავლო გეგმა აღწერს 9 პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტენციას, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას, ხოლო მასწავლებლებისგან მოითხოვს, რომ თითოეული საგნის სწავლების კონტექსტში იყოს მოაზრებული. ეს კომპეტენციებია:

1. წიგნიერება;
2. მედიაწიგნიერება;
3. ციფრული წიგნიერება;
4. რაოდენობრივი წიგნიერება;
5. ეკოლოგიური წიგნიერება;
6. მრავალენობრივი (პლურილინგვური) კომპეტენცია;
7. სემიოტიკური კომპეტენცია;
8. სწავლის სწავლა;
9. სოციალური და სამოქალაქო კომპეტენცია.

ეროვნული სასწავლო გეგმის ახალ რედაქციაში მოსალოდნელი ცვლილებების თანახმად, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდიდან <http://ncp.ge>, ჩამონათვალს, სავარაუდოდ, დაემატება შემდეგი კომპეტენციები:

1. ეთიკა, როგორც კომპეტენცია;
2. მეწარმეობრივი კომპეტენცია;
3. ჯანსაღი ცხოვრების წესი;
4. შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნება.

აღნიშნული კომპეტენციების დამატების შემთხვევაში, სასურველია სამოდელო გაკვეთილების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს მათ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებიც.

სწორედ იმის გამო, რომ გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების დანერგვა განსაკუთრებით აქტუალურია, საჭიროდ მივიჩნით სამოდულო გაკვეთილის ერთ-ერთ ტიპად სწორედ ასეთი გაკვეთილი შეგვეთავაზებინა მასწავლებლებისთვის.

როგორ ჩამოვყალიბოთ იდეა?

ისევ და ისევ მასწავლებელი იდეის ჩამოყალიბებას იწყებს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. ის ანალიზებს საგნობრივი სტანდარტისა და გამჭოლი კომპეტენციების ურთიერთკავშირს. ჯერ კიდევ თემატური დაგეგმვის დროს მასწავლებელი ფიქრობს იმაზე, თუ რომელი თემა რომელი გამჭოლი კომპეტენციის განვითარებას შეუწყობს ხელს, ან რა მეთოდით და რა გზებით არის შესაძლებელი ამ მიზნის მიღწევა. სტანდარტისა და გამჭოლი კომპეტენციების შედარება შეიძლება წარმოდგენილი იყოს სქემატურად, ცხრილის სახით, რაც მასწავლებელს საშუალებას მისცემს სწორად დაგეგმოს თავისი საქმიანობა ამ მიმართულებით. არის კომპეტენციები, რომლებზეც მასწავლებელი მუდმივად უნდა მუშაობდეს, მაგალითად, ისეთზე, როგორიცაა სწავლის სწავლა.

როგორ უნდა დაიგეგმოს გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილი?

სტანდარტის ანალიზის შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს ხელმისაწვდომი რესურსები, სახელმძღვანელოს მიღმა მოიძიოს დამატებითი ინფორმაცია, აპლიკაციები, კომპიუტერული პროგრამები („სოფტები“) თუ სხვა ვიზუალური საშუალებები. ამის შემდეგ იწყება გაკვეთილის დაგეგმვის ეტაპი. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, თუ როგორ მუშაობენ სხვა მასწავლებლები აღნიშნული კომპეტენციების განვითარებისათვის, რომელი კომპეტენციები აქვთ მოსწავლეებს უკვე განვითარებული და რა დონეზე, რადგან შეუძლებელია თუნდაც ერთი წარმატებული და სრულფასოვანი გაკვეთილის ფარგლებში მოხერხდეს ბოლომდე რომელიმე ერთი კომპეტენციის განვითარება. ეს მხოლოდ და მხოლოდ კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია უწყვეტ პროცესში.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში გთავაზობთ გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილების თემების მაგალითებს სასწავლო მიზნებთან ერთად სხვადასხვა საგანში:

საგანი	თემა	მიზანი
ბიოლოგია	ბიომრავალფეროვნება და ქვეყნის ურბანისტული განვითარება. <i>(ეკოლოგიური წიგნიერება)</i>	მოსწავლემ შეძლოს: გაცნობიერება იმისა, თუ სად გადის მღვარი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას შორის და ურთიერთგანპირობებულობის შესახებ მსჯელობა.
გეოგრაფია	განვითარების ინდიკატორების სწავლება გეოგრაფიაში (სემიოტიკური და ციფრული კომპეტენციები).	მოსწავლემ შეძლოს: წერტილოვანი დიაგრამების გამოყენებით ქვეყნების განვითარების ტენდენციებისა და ანომალიების დადგენა (ჰუმანური განვითარების ინდექსი, სიცოცხლის ხანგრძლივობა...) gapminder.org/world/
დაწყებითი განათლება	საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები (მოსწავლეები მცირე ჯგუფებში ჩაატარებენ გამოკითხვას საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟების შესახებ). <i>(წიგნიერება; ციფრული წიგნიერება)</i>	გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემების წარმოდგენა ცხრილის/დიაგრამის სახით.
ქართული ენა და ლიტერატურა	ადამიანი და ბუნების კანონზომიერებები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში <i>(ეკოლოგიური წიგნიერება)</i>	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ვაჟა-ფშაველას შესწავლილი ნაწარმოებების („ხმელი წიფელი“, „ია“, „მთის წყარო“, „ვერხვი“, „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ღამე მთაში“) მიხედვით ბუნებაში არსებულ კანონზომიერებაზე მსჯელობა; ადამიანისა და ბუნების ურთიერთმიმართების დადგენა და ამ პრობლემის გამოხატვის მხატვრულ საშუალებებზე მსჯელობა.
ისტ	ელექტრონული ანიმირებული წიგნების შექმნა საპრეზენტაციო პროგრამაში. <i>(წიგნიერება)</i>	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ტექსტური, გრაფიკული და აუდიო მასალის ეფექტიან კომბინირება მიზნის შესაბამისი ელექტრონული ანიმირებული წიგნის შექმნისას; მეპირი, ვიზუალური, ნაბეჭდი, ციფრული ტექსტების გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარ-ჩვევების გამოუმუშავება მოსწავლეებში.
ისტორია	ჯვაროსნული ლაშქრობების შესახებ სხვადასხვა ავტორთა ნაშრომების გაცნობა და რეფერატის მომზადება. <i>(წიგნიერება)</i>	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> ტექსტების (წყაროების) შედარება და კრიტიკულად გაანალიზება; ანალიზის საფუძველზე თხზულების (რეფერატის) შექმნა.
მათემატიკა	კორელაციის კოეფიციენტი და საუკეთესო მისადაგების წრფე	მოსწავლემ შეძლოს: <ul style="list-style-type: none"> მონაცემთა შეგროვების და დასმული ამოცანის მიხედვით მონაცემთა წარმოდგენის ადეკვატური ხერხის შერჩევა;

საგანი	თემა	მიზანი
	<i>(ციფრული წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება)</i>	<ul style="list-style-type: none"> ● მონაცემთა ერთობლიობების შედარების კრიტერიუმების და ხერხების ადეკვატურად შერჩევა; ● მონაცემთა დამუშავების მიზნით ელექტრონული საშუალებების შერჩევა და ადეკვატურად გამოყენება.
მუსიკა	მრავალმიანიობის გავრცელების გეოგრაფიული არეალის მიხედვით ელექტრონული მუსიკალური რუკის შექმნა. <i>(სამოქალაქო კომპეტენცია, ციფრული წიგნიერება)</i>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● სხვადასხვა საგანში მიღებული ცოდნის გამოლიანება (ისტ-ში, გეოგრაფიასა და მუსიკაში მასალის მოძიება, დამუშავება) <p>მასწავლებელმა შეძლოს ინტერკულტურული ცნობიერების განვითარება მოსწავლეებში.</p>
სპორტი	სპორტული კომბინაციის სხვადასხვა სახეობაში <i>(სემიოტიკური კომპეტენცია)</i>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● სპორტული კომბინაციებისა და მათი გრაფიკული გამოსახულებების აღქმა, გააზრება და პრაქტიკაში გადატანა.
უცხოური ენა	კლოდ დებიუსის საფორტეპიანო პრელუდია“ მთვარის შუქის“ მიხედვით წერილობითი ტექსტის შექმნა. <i>(წიგნიერება, სემიოტიკური წიგნიერება)</i>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● მუსიკალური ნაწარმოების მიხედვით წერილობითი ტექსტის შექმნა; ● ინტერპრეტაციისა და შემოქმედებითი უნარების განვითარება.
ფიზიკა	ლინზა, თხელი ლინზის ფორმულა, გამოსახულების აგება ლინზაში, მისი გამოყენება ცოცხალ ორგანიზმებსა და აპარატურაში <i>(ციფრული წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება)</i>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ოპტიკის ნაწილის – ლინზების შესწავლა თვალსაჩინოებებით და ელექტრონული რესურსებით, კერძოდ, ვიდეო ანიმაციებით; ● ანალოგიების გატარება სამეცნიერო და საყოფაცხოვრებო ოპტიკურ დანადგარებსა და ბიოლოგიურ ოპტიკურ ხელსაწყოებს – თვალს შორის. მათი მოქმედების პრინციპების განხილვა და შედარება; ● თვალის ვირტუალური მოდელის შესწავლა, მხედველობის დეფექტების გასწორების ფიზიკური საფუძვლების გარჩევა; ● ბიოლოგიური და ფიზიკური ტერმინების შედარება და ერთმანეთში გამოყენება.
ქიმია	ელექტროლიზის მოვლენა და მისი როლი ტექნიკაში და მეცნიერებაში <i>(ციფრული წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება)</i>	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ვირტუალური ექსპერიმენტის განხილვის ფონზე ქიმიური და ელექტროლიზის ენერჯების ურთიერთკავშირის საფუძვლზე გალვანური ელემენტისა და ელექტროლიზის მუშაობის პრინციპის შედარება, რისთვისაც საჭიროა მომიჯნავე დისციპლინიდან (ფიზიკიდან) ისეთი სიდიდეებისა თუ ტერმინების გამოყენება, როგორებიცაა: ელექტროლი წრედი, სხვადასხვა მეტალისაგან დამზადებული ელექტროდები, დენის წყარო, ფარადის კანონი.

4. ინოვაციური გაკვეთილი

როგორ ჩავატაროთ ინოვაციური გაკვეთილი?

მასწავლებელი მუდმივად უნდა ცდილობდეს საკუთარი ცოდნის განახლებასა და თვალყურს ადევნებდეს საგანში სიახლეებს როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნულ დონეზე. საქართველოში საგნობრივი პროგრამები 5-წლიანი ვადით მტკიცდება, მასში ცვლილებების ასახვას ხანგრძლივი მუშაობა და განხილვა სჭირდება. ამიტომ სკოლის დასრულებისთვის ნასწავლი შეიძლება მოძველებული და უსარგებლო აღმოჩნდეს. ეს განსაკუთრებით ეხება ისტ-ს, რადგანაც ეს სფერო ყველაზე სწრაფი ტემპით ვითარდება. იგივე შეიძლება ითქვას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებზეც, აქ ბევრმა აღმოჩენამ ტრადიციულ ცოდნაში დიდი ცვლილებები შეიტანა. ასევე, შესაძლებელია საერთაშორისო დონეზე მოხდეს მრავალმხრივი შეთანხმების მიღწევა, ან განახლდეს რომელიმე კონვენცია, რისი ასახვაც საგნობრივ პროგრამაში ვერ მოესწროს დამტკიცებული ვადების გამო. ასევე მაგალითისათვის გამოდგება ეროვნულ დონეზე ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში, რომელშიც ქვეყნის მმართველობის მოდელი მთლიანად გადაიხედა, ახლებურად გადანაწილდა ფუნქციები სამთავრობო, საპარლამენტო და საპრეზიდენტო ინსტიტუციებს შორის. ცხადია, ეს ცვლილება 2011-2016 წწ. სასწავლო გეგმაში ვერ მოხვდებოდა. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეები ამის გამო მოძველებული ცოდნის ამარა დავტოვოთ.

ასევე მუდმივად იცვლება, ვითარდება და მრავალფეროვნდება სწავლების მეთოდიკაც. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ მასწავლებელმა თვალყური ადევნოს როგორც აკადემიურ, ისე მეთოდურ სიახლეებს საგანში და ასახოს ისინი თავის პრაქტიკაში.

როგორ ჩამოვაცალიბოთ იდეა?

მასწავლებელი კარგად უნდა იცნობდეს ეროვნული სასწავლო გეგმების მოთხოვნებს და, ამავდროულად, მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, თუ რა სამეცნიერო აღმოჩენებია მის სფეროში, რა ცვლილებები მიმდინარეობს ეროვნულ თუ გლობალურ დონეზე. სწორედ თანამედროვე სწრაფად ცვალებად სამყაროში, მასწავლებელი ახალი ცოდნის კვალდაკვალ უნდა ვითარდებოდეს, მისდევდეს სიახლეებს და მოსწავლეებსაც საჭირო დროს უზიარებდეს.

მაგალითისთვის გამოდგება „ათასწლეულის მიზნების“ დასრულება 2015 წლის დეკემბერში და ოქტომბერში გაეროს მსოფლიო კონფერენციაზე დამტკიცებული „მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების“ დაწყება 2016 წლის იანვრიდან.

მოსწავლეებს უნდა ჰქონდეთ საშუალება გაიაზრონ, თუ რატომ შეიცვალა 8 მიზანი, მოხერხდა თუ არა მათი განხორციელება, რა მიმართულებით განხორციელდა ცვლილებები და რატომ ჩანაცვლდა ისინი ახალი 17 მიზნით. ეს სიახლე შეიძლება განსხვავებული მეთოდების გამოყენებით შემოიტანოს მასწავლებელმა. თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მასზე შეიძლება სამოდულო გაკვეთილი დაიგეგმოს.

როგორ უნდა დაიგეგმოს ინოვაციური გაკვეთილი?

მას შემდეგ, რაც მასწავლებელი გაეცნობა სიახლეს და გადაწყვეტს მის შეტანას კლასში, იწყებს გაკვეთილის დაგეგმვას. თუკი ეს არ არის ეროვნულ დონეზე განხორციელებული ცვლილებები, მასწავლებელს დიდი დრო დაეხარჯება ქართულ ენაზე რესურსების მოსამზადებლად. თუმცა, ქართულ ენაზე ხელმისაწვდომია, მაგალითად, ჟურნალი „National Geographic საქართველო“, რომელიც სხვადასხვა საგნის მასწავლებელს (გეოგრაფიის, ისტორიის, ბიოლოგიის, ხელოვნების, სხვ.) მუდმივად აცნობს უახლეს მიღწევებს მეცნიერებაში.

რაც შეეხება სიახლეებს სწავლების მეთოდიკაში, მასწავლებლებს ვურჩევთ გაეცნონ შესაბამის ლიტერატურას, ასევე ქართულ და უცხოურ ვებ-გვერდებზე გამოქვეყნებულ სწავლების სტრატეგიებს, გამოსცადონ ისინი პრაქტიკაში, მიუდგნენ შემოქმედებითად და, საჭიროების შემთხვევაში, გაუკეთონ მათ მოდიფიცირება. მასწავლებელს შეუძლია თავად შეიმუშაოს სწავლების ახალი, უნიკალური მეთოდიკა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში გთავაზობთ ინოვაციური გაკვეთილების თემების მაგალითებს სასწავლო მიზნებთან ერთად სხვადასხვა საგანში:

საგანი	თემა	მიზანი
ბიოლოგია	როგორ იშორებს ტვინი მეტაბოლურ „ნაგავს“.	მოსწავლეებში სამეცნიერო სტატიის გამოყენებით შემეცნებითი ინტერესის გაღვივება.
გეოგრაფია	მდგრადი განვითარების გლობალური მიზნები და მათი მიღწევის გზები	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● მსოფლიოში არსებული გლობალური პრობლემების იდენტიფიცირება; ● პრობლემების კლასიფიცირება და მათი გადაჭრის გზების ძიება; ● „მდგრადი განვითარების მიზნების“ შედარება „ათასწლეულის განვითარების მიზნებთან“; ● „ათასწლეულის განვითარების მიზნების“ ფარგლებში მიღწეული და მიუღწეველი მიზნების გაანალიზების საფუძველზე „მდგრადი განვითარების მიზნებში“ რისკ-ფაქტორების გამოკვეთა.
დაწყებითი განათლება	მცენარის კვება	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● იმის გაგება, თუ როგორ იკვებება მცენარე;

საგანი	თემა	მიზანი
		<ul style="list-style-type: none"> ● ცდის ჩატარება, თუ რა გავლენას ახდენს სხვა-დასხვა ფერის წყალი მცენარის შეფერილობაზე. (მაგალითად, თეთრი ვარდის შეფერილობის ცვლილება – თუ მას მოვათავსებთ შავიანინიან წყალში).
ქართული ენა და ლიტერატურა	პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“, დამუშავებული „დისნეის სამი სკამის“ მეთოდით.	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● იღებოს გენერირება „ყვარყვარე თუთაბერის“ სცენურ ვერსიასთან დაკავშირებით; ● გააანალიზოს ვერსიების განხორციელების შესაძლო გზები და საშუალებები; ● კრიტიკულად შეაფასოს შემოთავაზებული ვერსიები.
ისტ	კითხვარების შექმნა ფორმების გამოყენებით (მოსწავლეები ტექსტურ რედაქტორში შექმნიან კითხვარს, ჩატარებენ სკოლაში კვლევას და ვიზუალურად წარმოადგენენ მიღებულ მონაცემებს).	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ისტ-ის ეფექტიანი გამოყენება ინფორმაციის ორგანიზებისას შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად; ● კვლევისა და ანალიზის უნარების განვითარება; ● ელექტრონული გამოკითხვის ფორმების უპირატესობისა და საჭიროების დანახვა.
ისტორია	II მსოფლიო ომი და სტატისტიკა (რაოდენობრივი მეთოდის გამოყენება ისტორიაში).	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ისტორიული მოვლენის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და კლასიფიკაცია; ● ისტორიული მოვლენის გაანალიზება რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით.
მათემატიკა	დისკრეტული მათემატიკის ცნებებისა და აპარატის გამოყენება მოდელირებისას და პრობლემების გადაჭრისას.	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● პრობლემების გადაჭრისას (მაგ.: ვარიანტების დასათვლელად, გეგმის/განრიგის შესადგენად, ოპტიმიზაციის სასრული ამოცანების ამოსახსნელად) დისკრეტული მათემატიკის სტრუქტურების (მაგ.: ხისებრი დიაგრამების, გრაფების, ალგორითმების) და პროცედურების ადეკვატურად შერჩევა და მათი გამოყენება.
მუსიკა	მუსიკალური საკრავები – კლასიფიკაცია, სიახლეების გაცნობა, ახალი საკრავის მახასიათებლებისა და საჭიროების განსაზღვრა.	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● მუსიკალურ საკრავთა დაჯგუფება ბგერის მიღების წესის მიხედვით; ● არატრადიციული და ახლადშექმნილი საკრავების გაცნობა ვიზუალურად და ჟღერადობის მიხედვით; ● ახალი საკრავის იდეის წარმოჩენა – მოდელის დახატვა, აღწერა, სავარაუდო რეპერტუარის მითითება.
სპორტი	ცეკვის როლი და ადგილი ფიზიკური აღზრდის სისტემაში.	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● ცეკვის ელემენტების გამოყენებით მორთული უნარ-ჩვევების გამომუშავება სპორტის გაცვეთილზე. <p>მასწავლებელმა შეძლოს მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება.</p>

საგანი	თემა	მიზანი
უცხოური ენა	ტრანსპორტის სახეობები და მასთან დაკავშირებული ლინგვისტური რეალიები (მეთოდი: „გაჩერებებით სწავლება“).	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● სატრანსპორტო საშუალებების სურათებთან შესაბამისობის დადგენა; ● მოძრაობის გამომხატველი ზმნების დაკავშირება სატრანსპორტო საშუალებებთან; ● ტრანსპორტთან დაკავშირებული ლინგვისტური რეალიების გამოყენება; ● საყვარელ სატრანსპორტო საშუალების აღწერას.
ფიზიკა	ფიზიკის ამოცანის ამოხსნა – ახალი მასალის ახსნის მეთოდი.	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● თავად აიღოს მასალის ახსნის პასუხისმგებლობა ამოცანის ამოხსნით (მაგ., ამოცანის ამოხსნით შესაძლებელია დრეკადობის ძალის პოტენციური ენერჯის გამოსათვლელი ფორმულის გამოყენება. ამისათვის მოსწავლე გამოთვლის ზამბარის გაჭიმვისას შესრულებულ მექანიკურ მუშაობას და აკავშირებს მას ენერჯის ცვლილებასთან).
ქიმია	ქიმიის ამოცანის ამოხსნა – ახალი მასალის ახსნის მეთოდი	<p>მოსწავლემ შეძლოს:</p> <ul style="list-style-type: none"> ● თავად აიღოს მასალის ახსნის პასუხისმგებლობა ამოცანის ამოხსნით. მაგ., ამოცანის ამოხსნით შესაძლებელია ავოგადროს კანონის ახსნა. ამისათვის განიხილავს რამდენიმე სვეტის შემცველ ცხრილს, რომლის მხოლოდ ერთი სვეტია შევსებული – სადაც შეტანილი იქნება წყალბადის, ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ქიმიური სიმკვრივების მნიშვნელობები, დანარჩენ სვეტებს თვითონ მოსწავლეები შეავსებენ პედაგოგის დახმარებით – ეს სვეტებია – ამ გაზების ქიმიური ფორმულების, მათი მოლური მასებისა და მოლური მოცულობების რიცხვით მნიშვნელობებს. მოსწავლეები იანგარიშებენ მოლურ მასებს და გამოთვლიან სამივე გაზის მოლურ მოცულობას მოლური მასის სიმკვრივეზე გაყოფით. ყველა გაზის შემთხვევაში მიიღებენ ერთი და იმავე რიცხვით მნიშვნელობას და ლოგიკურად მივლენ ავოგადროს კანონის ფორმულირებამდე.

სამოდელიო გაკვეთილების შეფასების რუბრიკა

წინამდებარე შეფასების რუბრიკა საერთოა ოთხივე ტიპის სამოდელიო გაკვეთილისთვის. გამონაკლისს წარმოადგენს მე-ნ კრიტერიუმი, რომელიც ჩაშლილია ოთხ ქვეკრიტერიუმად სამოდელიო გაკვეთილის ტიპის კათვალისწინებით. შეფასების ჯგუფმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი ქვეკრიტერიუმი იმის მიხედვით, თუ რომელი ტიპის სამოდელიო გაკვეთილს ატარებს მასწავლებელი.

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
1	გაკვეთილის მიზნის შესაბამისობა სამოძღვრო გაკვეთილის ტიპთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან ¹	მიზანი არის ზოგადი და არარეალისტური, არ შეესაბამება სამოძღვრო გაკვეთილის არცერთ ტიპს. არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მისალწვე შედეგს/ შედეგებს.	მიზანი ძნელად მისაღწევია და/ან აკლია კონკრეტულობა, თუმცა მეტნაკლებად იკვეთება სამოძღვრო გაკვეთილის ტიპი და/ან კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის მისალწვე შედეგებთან, ან მიზანი კონკრეტულია, მაგრამ არ ჩანს სამოძღვრო გაკვეთილის ტიპი და/ან კავშირი ეროვნული სასწავლო გეგმის მისალწვე შედეგებთან.	მიზანი ნაკლებად რეალისტურია, თუმცა მკაფიოდ არის გამოკვეთილი კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, გამოკვეთილია შერჩეული სამოძღვრო გაკვეთილის სპეციფიკა, ან მიზანი რეალისტურია, ფორმულირებულია მკაფიოდ; იკვეთება კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, თუმცა მკაფიოდ არ ჩანს შერჩეული სამოძღვრო გაკვეთილის სპეციფიკა.	მიზანი მკაფიოდ და ფორმულირებული და რეალისტურია; სრულად შეესაბამება სამოძღვრო გაკვეთილის ტიპსა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ შედეგს/ შედეგებს.
2	გაკვეთილის მიზნის, აქტივობების, სტრატეგიებისა და კლასის ორგანიზების ფორმების ურთიერთშესაბამისობა	აქტივობები, სტრატეგიები და კლასის ორგანიზების ფორმები ურთიერთშესაბამისა და არ უწყობს ხელს გაკვეთილის მიზნის მიღწევას.	აქტივობები, სტრატეგიები და კლასის ორგანიზების ფორმები ნაწილობრივ შეესაბამება ერთმანეთს და გაკვეთილის მიზანს, ან აქტივობები შეესაბამება გაკვეთილის მიზანს, მაგრამ არ შეესაბამება ორგანიზების ფორმებს და სტრატეგიებს, ან ორგანიზების ფორმები და სტრატეგიები შეესაბამება აქტივობებს, მაგრამ არ შეესაბამება გაკვეთილის მიზანს.	აქტივობები, სტრატეგიები და კლასის ორგანიზების ფორმები მეტწილად შესაბამისა ერთმანეთს და გაკვეთილის მიზანს, ან აქტივობები შეესაბამება გაკვეთილის მიზანს, ხოლო სტრატეგიები და კლასის ორგანიზების ფორმები ნაწილობრივ შეესაბამება აქტივობებს, ან სტრატეგიები და კლასის ორგანიზების ფორმები შეესაბამება აქტივობებს, მაგრამ აქტივობები ნაწილობრივ შეესაბამება გაკვეთილის მიზანს.	აქტივობები, სტრატეგიები და კლასის ორგანიზების ფორმები სრულად შეესაბამება ერთმანეთს და ხელს უწყობს მიზნის მიღწევას.

¹ შერჩეული სამოძღვრო გაკვეთილის ტიპიდან გამომდინარე, მიზანში ასახული უნდა იყოს შესაბამისი პუნქტი ეროვნული სასწავლო გეგმიდან.

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
3	გაკვეთილის მიზნის შესაბამისობა სამოდე 3 რესურსების მრავალფეროვნება და შესაბამისობა გაკვეთილის თემასთან, მიზანთან და აქტივობებთან ლო გაკვეთილის ტიპთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	რესურსები მწირია, მათი გამოყენების არეალი ვიწროა; რესურსები არ შეესაბამება გაკვეთილის თემას, მიზანს და აქტივობებს.	რესურსები არ არის მრავალფეროვანი და/ან საინტერესო მოწვევებისთვის, თუმცა გარკვეულწილად შეესაბამება გაკვეთილის თემას, მიზანს და აქტივობებს.	რესურსები მრავალფეროვანია, მათი უმეტესი ნაწილი შეესაბამება გაკვეთილის თემას, მიზანსა და აქტივობებს, თუმცა არ ახლავს საკმარისი ინსტრუქცია, რის გამოც მოწვევებს უჭირთ მისი სრულყოფილად აღქმა/გაგება და გამოყენება.	რესურსები მრავალფეროვანია (მათ შორის, მასწავლებლის მიერ შექმნილი) და სრულად შეესაბამება გაკვეთილის თემას, მიზანსა და აქტივობებს; საინტერესო მოსწავლეებისთვის; მათ აქვთ სრულფასოვანი ინსტრუქცია რესურსების გასაგებად და გამოსაყენებლად.
4	შეფასების მეთოდების სტანდარტთან /სასწავლო მიზანთან/ აქტივობებთან შესაბამისობა	შეფასების მეთოდები არ ეფუძნება სტანდარტს, არ შეესაბამება სასწავლო მიზანსა და აქტივობებს. საერთოდ არ გამოიყენება ან არაადეკვატურად გამოიყენება განმავითარებელი შეფასება.	შეფასების მეთოდები არ არის მრავალფეროვანი, სუსტია სტანდარტთან კავშირი, შესაბამისობა სასწავლო მიზანთან და აქტივობებთან მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი. საერთოდ არ გამოიყენება ან არასათანადოდ გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, არ ჩანს მასწავლებლის უკუკავშირი. ან შეფასების მეთოდები შეესაბამება სტანდარტს, მაგრამ შესაბამისობა სასწავლო მიზანთან და აქტივობებთან მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი. საერთოდ არ გამოიყენება ან	შეფასების მეთოდები ეფუძნება სტანდარტს და დაკავშირებულია სასწავლო მიზანთან, მეთოდები ძირითადად შეესაბამება აქტივობებს, თუმცა სათანადოდ არ გამოიყენება უკუკავშირი.	შეფასების მეთოდები სრულად შეესაბამება სტანდარტს და სასწავლო მიზანს, მეთოდები მრავალფეროვანია და კარგად არის მორგებული აქტივობებს, მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს სათანადო უკუკავშირს.

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
			არასათანადოდ გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, არ ჩანს მასწავლებლის უკუკავშირი.		
5	საგნობრივი ცოდნა, მასალის გადაცემის სიცხადე და დასახულ მიზნებთან/სტანდარტთან შესაბამისობა	იკვეთება ხარვეზები საგნობრივ ცოდნაში, მასალა არ შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ან ინფორმაცია ბუნდოვანია/არ არის გასაგები, მოყვანილი მაგალითები არ შეესაბამება გაკვეთილის თემას და მიზანს	ჩანს საგნობრივი ცოდნა, თუმცა მასალის/ინფორმაციის გადაცემის ფორმა არ უზრუნველყოფს მის გაგებას, მოყვანილი მაგალითები სცდება გაკვეთილის თემას და/ან მიზანს, გამოყენებული ლექსიკა არ შეესაბამება მოსწავლეთა ასაკს (ზედმეტად მარტივია ან რთული). ან შეიმჩნევა ხარვეზები საგნობრივ ცოდნაში, მასალის მიწოდების ფორმა არასწორია, რის გამოც ის მოსწავლეების ნაწილისთვის გაუგებარია ან რთულად აღსაქმელია, თუმცა მოყვანილი მაგალითები ადეკვატურია და შეესაბამება გაკვეთილის თემას და/ან მიზანს.	ჩანს საგნობრივი ცოდნა, მოყვანილი მაგალითები უკავშირდება გაკვეთილის თემას და მიზანს, გამოყენებული ლექსიკა ასაკის შესაბამისია, მასალის გადაცემის ფორმა უმეტესად სწორადაა შერჩეული, თუმცა ზოგჯერ თავს იჩენს მოსწავლეთა მიერ ათვისების და გაგების პრობლემები.	კარგად ჩანს საგნობრივი ცოდნა, მასალის გადაცემის ფორმა სწორადაა შერჩეული, რაც აადვილებს მის აღქმა-გაგებას, მოყვანილი მაგალითები შეესაბამება გაკვეთილის თემას და მიზანს, გამოყენებული ლექსიკა მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებზე.
6*	სამოდულო გაკვეთილის შედეგის მიღწევა ²				

² ეს კრიტერიუმი სპეციფიკურია ოთხივე ტიპის სამოდულო გაკვეთილისთვის. ამიტომ იგი ჩაშლილია ქვეკრიტერიუმებად. შეფასების ჯგუფი გაკვეთილის შესაფასებლად ირჩევს ერთ-ერთ ქვეკრიტერიუმს იმის მიხედვით, თუ რომელი ტიპის სამოდულო გაკვეთილს ატარებს მასწავლებელი.

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
6.1	ინტეგრირებული გაკვეთილის შედეგის მიღწევა	საგანთაშორისი ინტეგრირება ხელოვნურია და თვითმიზნური	საგანთაშორისი ინტეგრირება სუსტად არის გამოხატული / შედაპირულია; მოსწავლეები მხოლოდ ერთი საგნის პერსპექტივიდან გაიარებენ საკითხს/საკითხებს, რაც ინტეგრირებული საგნების ესგ-თი განსაზღვრული შედეგების მიღწევას ართულებს.	საგანთაშორისი ინტეგრირება ლოგიკურია, გათვალისწინებული არ არის ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი: მოსწავლეები ნაკლებად ავლენენ საკითხის/საკითხების მრავალმხრივი გააზრების უნარს; გათვალისწინებულია ინტეგრირებული საგნების ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები, თუმცა გაკვეთილი სრულად არ უწყობს ხელს ამ შედეგების მიღწევას	საგანთაშორისი ინტეგრირება ლოგიკურია, გათვალისწინებულია ინტეგრირებული საგნების ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგები, გაკვეთილი ხელს უწყობს ამ შედეგების სრულად მიღწევას; მოსწავლეები ავლენენ საკითხის/საკითხების მრავალმხრივი გააზრების უნარს.
6.2	პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილის შედეგის მიღწევა	პრობლემა არასწორად არის დასმული, ან მოსწავლეებისთვის არ არის აქტუალური, მარტივია, ან შედეგად რთული, რაც არ აღძრავს მათ მოტივაციას. გაკვეთილი ვერ უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას.	დასმული პრობლემა ნაკლებად აქტუალურია მოსწავლეებისთვის, არ არის მორგებული მათ გამოცდილებასა და შესაძლებლობებზე, რაც ვერ უზრუნველყოფს მოტივაციის შენარჩუნებას გაკვეთილის ბოლომდე; მოსწავლეები ნაკლებად ავლენენ პრობლემის გადაჭრის უნარს; გაკვეთილი ნაწილობრივ უწყობს ხელს შედეგის მიღწევას.	დასმული პრობლემა აქტუალურია მოსწავლეებისთვის, გათვალისწინებულია მათი ასაკობრივი თავისებურება და წინარე ცოდნა, რაც განაპირობებს მოსწავლეთა მოტივაციას; მოსწავლეები ავლენენ პრობლემის გადაჭრის უნარს, მაგრამ უჭირთ ალტერნატიული გზების ძიება და აქვთ ნაკლებად შემოქმედებითი მიდგომა; გაკვეთილი მთლიანობაში უწყობს ხელს შედეგის მიღწევას.	გაკვეთილი პასუხობს პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების ყველა მოთხოვნას. დასმული პრობლემა აქტუალურია მოსწავლეებისთვის, გათვალისწინებულია მათი ასაკობრივი თავისებურება და წინარე ცოდნა, რაც განაპირობებს მოსწავლეთა მაღალ მოტივაციას; მოსწავლეები ავლენენ პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიების უნარს; გაკვეთილი სრულად უწყობს ხელს შედეგის მიღწევას.

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
6.3	გამჭოლი კომპეტენციების განვითარებაზე ორიენტირებული გაკვეთილის შედეგის მიღწევა	დაგეგმილი აქტივობები არ იძლევა დასახული გამჭოლი კომპეტენციების განვითარების საშუალებას მოსწავლეებში და ვერ უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას.	დაგეგმილი აქტივობები ნაწილობრივ იძლევა დასახული გამჭოლი კომპეტენციების განვითარების საშუალებას; აქტივობები ისეა დაგეგმილი, რომ მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი აღწევს შედეგს.	დაგეგმილი აქტივობები უწყობს ხელს განზრახული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში; გაკვეთილი მთლიანობაში უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას.	დაგეგმილი აქტივობები მრავალფეროვანია და სრულად უწყობს ხელს განზრახული გამჭოლი კომპეტენციების განვითარებას მოსწავლეებში; გაკვეთილი სრულად უწყობს ხელს შედეგების მიღწევას.
6.4	ინოვაციური გაკვეთილის შედეგის მიღწევა	გაკვეთილის თემა და/ან შერჩეული მეთოდი/მეთოდები არ არის ინოვაციური, ან შინაარსობრივად არ არის სანდო, ან მეთოდი ვერ უწყობს ხელს მიზნის მიღწევას. შესაბამისად, გაკვეთილი ვერ უზრუნველყოფს შედეგის მიღწევას.	გაკვეთილზე არის თემატური და/ან მეთოდური სიახლის შემოტანის მცდელობა, მაგრამ მასწავლებელს არა აქვს კარგად გათავისებული, რის გამოც ვერ ახერხებს მოსწავლეთა დიდი ნაწილის დაინტერესებას. შედეგად ნაწილობრივია მიღწეული.	თემატური და/ან მეთოდური სიახლე თანმიმდევრულად არის მიწოდებული მოსწავლეებისთვის და მათი უმეტესობის ინტერესს იწვევს. გაკვეთილი მთლიანობაში შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა	თემატური და/ან მეთოდური სიახლე შემოქმედებითად და საინტერესოდ და საინტერესოდ არის მიწოდებული მოსწავლეებისთვის, რაც შედეგის სრულად მიღწევის საშუალებას იძლევა
7	გაკვეთილის გამოყენებითი ხასიათი კოლეგებისათვის	გაკვეთილი არ ბადებს მისი საკუთარ პრაქტიკაზე მორგების ან გამოყენების სურვილს.	გაკვეთილი ნაკლებად უწყობს ხელს კოლეგების პროფესიულ განვითარებას, თუმცა ზოგიერთი ელემენტის გათვალისწინება და გამოყენება შესაძლებელია.	გაკვეთილი მთლიანობაში ეხმარება კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში, მასწავლებელს უბიძგებს მისი ცალკეული ელემენტების საკუთარ პრაქტიკაზე მორგებისაკენ.	გაკვეთილი ეხმარება კოლეგებს პროფესიულ განვითარებაში, ბადებს მისი საკუთარ პრაქტიკაზე მორგების, გამოყენების დიდ სურვილს, უბიძგებს მასწავლებლებს ახალი იდეების პრაქტიკაში დანერგვისაკენ.

სამოდელო გაკვეთილი დადებითად შეფასდება, თუ ის დააგროვებს ქულების ჯამური რაოდენობის 61%-ს და მეტს, ანუ 28 ქულიდან მინიმუმ 17-ს.

შეფასების რუბრიკა ივსება ინდივიდუალურად, შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, ხოლო საბოლოო შეფასება გამოითვლება საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

თავი II

მასწავლებლის პროფესიული საქალაქო საქალაქო სექტორის შეფასება

რა არის მასწავლებლის პროფესიული საქალაქო?

სქემა გვთავაზობს მასწავლებლის პროფესიული საქალაქის განმარტებას: ეს არის „განსაზღვრული სტატუსის შესატყვისი კომპეტენციებისა და საქმიანობის შედეგების დამადასტურებელი დოკუმენტების (შემდგომში – დოკუმენტები) ორგანიზებული კრებული“.

სქემით განსაზღვრული მასწავლებლის ელექტრონული პროფესიული საქალაქი თავისი არსით განსხვავდება მასწავლებლის პორტფოლიოს კლასიკური გაგებისაგან, რადგან, მისგან განსხვავებით, პროფესიულ საქალაქში თავმოყრილია მხოლოდ იმ სავალდებულო და დამატებითი აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლებსაც სქემა ითვალისწინებს და რომლებსაც მასწავლებლისთვის მოაქვს კრედიტულები.

გარდა ამისა, დამატებითი აქტივობები შეირჩევა მასწავლებლის მიერ საკუთარი საჭიროებებიდან და/ან შესაძლებლობებიდან გამომდინარე. მასწავლებელი გარკვეული პერიოდისთვის განსახორციელებლად ირჩევს დამატებით აქტივობებს იმის მიხედვით, თუ რომელი მათგანის განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და სასარგებლო მოცემულ ეტაპზე მისი კომპეტენციის დადასტურებისა და პროფესიული განვითარებისთვის. ეს, რა თქმა უნდა, უპირველესად უნდა გამომდინარეობდეს თვითშეფასების კითხვარის შედეგებიდან. ასევე მასწავლებელს შეუძლია გაითვალისწინოს საკუთარი მზაობა და შესაძლებლობები კონკრეტული აქტივობის შესასრულებლად ისევე, როგორც მის ხელთ არსებული რესურსები.

როგორ ფასდება მასწავლებლის პროფესიული საქალაქი?

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ თანახმად, ნებისმიერი სტატუსის მქონე მასწავლებელი

ვალდებულია აწარმოოს საკუთარი ელექტრონული პროფესიული საქალაქი, რომელიც განთავსებულია eSchoo1-ის ელექტრონულ ბაზაში, მის პირად პროფილზე.

მასწავლებლის პირად პროფესიულ საქალაქებზე მუდმივი წვდომა, თავად მასწავლებლის გარდა, აქვს მასწავლებლის შეფასების ჯგუფის იმ შემადგენლობას, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტული მასწავლებლის შეფასებაზე, კერძოდ, შეფასების ჯგუფის მუდმივ წევრებს (დირექტორსა და დირექტორის მოადგილეს), არჩეულ წევრთაგან იმ ფასილიტატორს, რომლის პროფესიული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება კონკრეტული მასწავლებელი, ასევე შესაბამისი საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრიდან არჩეულ წევრს.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფის კონკრეტული შემადგენლობა დადგენილ ვადაში მასწავლებლის მიერ პროფესიულ საქალაქებში განთავსებული დამადასტურებელი დოკუმენტაციის საფუძველზე აფასებს მასწავლებლის მიერ გაწეულ საქმიანობას, რის შედეგადაც იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტულების მინიჭების შესახებ (მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ კრედიტულების მინიჭების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ დაწვრილებით შეგიძლიათ იხილოთ გზამკვლევის I ნაწილში, თავი II. სკოლა, ქვეთავი: დირექტორი, გვ. 48-49). შეფასების პროცესის დასრულებისას მასწავლებლისთვის მინიჭებული კრედიტულების ელექტრონულ სისტემაში განთავსებაზე უფლებამოსილია სკოლის დირექტორი, როგორც შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელი.

იმ შემთხვევაში, თუ ორ სკოლას ჰყავს ერთი შეფასების ჯგუფი, კონკრეტული მასწავლებლის პროფესიული საქალაქის შეფასების შედეგად მინიჭებული კრედიტულების ელექტრონულ სისტემაში განთავსებაზე უფლებამოსილია იმ სკოლის დირექტორი, რომელშიც არის რეგისტრირებული მასწავლებელი.

რა ხდება მაშინ, როცა ფასდება მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრის პროფესიული საქალაქი?

იმ შემთხვევაში, თუ ფასდება შეფასების ჯგუფის რომელიმე წევრის – ფასილიტატორის ან საგნის/ საგნობრივი კათედრიდან არჩეული წევრის პროფესიული საქალაქი, ჯგუფის ეს წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითთავის შესახებ.

თუ თვითთავის შესახებ განაცხადებს შეფასების ჯგუფის კათედრიდან არჩეული წევრი, სკოლას შეუძლია მიიღოს ქვემოთ ჩამოთვლილი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:

- სკოლა უფლებამოსილია შეფასების ჯგუფის ეს წევრი ერთჯერადად ჩაანაცვლოს იმავე კათედრის წევრით, რომელსაც ის წარმოადგენს შეფასების ჯგუფში.

- თუ კათედრაზე არ არის სხვა მასწავლებელი, რომელიც შეძლებს მის ჩანაცვლებას, მაგრამ შეფასების ჯგუფში რჩება 3 წევრი – დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ფასილიტატორი, რომელიც წარმოადგენს შესაბამის საგნობრივ ჯგუფს, ეს შემადგენლობა სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ შეაფასოს მასწავლებლის საქმიანობა და მიიღოს გადაწყვეტილებები მისთვის კრედიტულების მინიჭების თაობაზე. შესაბამისად, სკოლას ამ შემთხვევაში აქვს უფლება, საერთოდ არ ჩანაცვლოს საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი სხვა წევრით.
- იმ შემთხვევაში, თუ სკოლა ვერ შეძლებს კათედრის წარმომადგენლის ჩანაცვლებას სხვა წევრით იმავე საგნის ან საგნობრივი ჯგუფის კათედრიდან, ხოლო შეფასების ჯგუფში რჩება წევრების არასაკმარისი რაოდენობა (მაგალითად, დირექტორს არ ჰყავს მოადგილე და, შესაბამისად, შეფასების ჯგუფში რჩება მხოლოდ 2 წევრი – დირექტორი და ფასილიტატორი), სკოლას შეუძლია ერთ-ერთად და ჩანაცვლოს იგი მომიჯნავე საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის კათედრიდან არჩეული წევრით (მომიჯნავე საგნობრივ ჯგუფში იგულისხმება, მაგ., ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებაში გაერთიანებული საგნები და ა.შ.) ან მიმართოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შეფასების ჯგუფის შემადგენლობის შევსების მიზნით.

თუ თვითაცილების შესახებ განაცხადებს ფასილიტატორი, სკოლას შეუძლია განიხილოს შემდეგი ვარიანტები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება არსებული რეალობის მიხედვით:

- თუ სკოლას ჰყავს სხვა ფასილიტატორი, ამ შემთხვევაში მისი ერთჯერადად ჩანაცვლება ხდება სხვა ფასილიტატორით.
- თუ სკოლას არ ჰყავს სხვა ფასილიტატორი, მაგრამ შეფასების ჯგუფში რჩება 3 წევრი – დირექტორი, დირექტორის მოადგილე და საგნის/საგნობრივი ჯგუფის კათედრიდან არჩეული წევრი, რაც საკმარისია გადაწყვეტილების მისაღებად – სკოლას შეუძლია არ ჩანაცვლოს ფასილიტატორი.
- თუ სკოლა მცირეკონტინგენტიანია და მას არ ჰყავს სხვა ფასილიტატორი, ხოლო დირექტორს არ ჰყავს მოადგილე და, შესაბამისად, შეფასების ჯგუფის შემადგენლობაში რჩება მხოლოდ 2 წევრი, რაც არ არის საკმარისი გადაწყვეტილების მისაღებად, სკოლამ ამის შესახებ განცხადებით უნდა მიმართოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს შეფასების ჯგუფის შემადგენლობის შევსების მიზნით.

შეფასების ჯგუფის ხელმძღვანელი ვალდებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) ასახოს ინფორმაცია

მასწავლებლის შეფასების ჯგუფის შემადგენლობაში განხორციელებული დროებითი ცვლილების შესახებ და მიუთითოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორის ბრძანება, რომლის საფუძველზეც განხორციელდა შესაბამისი ცვლილება სისტემაში³.

როდის და რა ვადებში ფასდება მასწავლებლის პროფესიული საქალაქდე?

მასწავლებელი განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელ დოკუმენტაციას ატვირთავს სპეციალურად გამოყოფილ ელექტრონულ სივრცეში, საკუთარ პროფესიულ საქალაქდეში.

მასწავლებლის მიერ პროფესიულ საქალაქდეში განთავსებული დოკუმენტაციას მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აფასებს ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, ხოლო შესაბამის კრედიტულებს განათავსებს ელექტრონულ სისტემაში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სკოლებს განუსაზღვრავს ვადას, თუ როდის უნდა განთავსდეს ელექტრონულ სისტემაში მასწავლებლის პროფესიული საქალაქდის შეფასების შედეგები და მისთვის სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორი ამ ვადების გათვალისწინებით ყოველწლიურად გამოსცემს ბრძანებას, რომლითაც განსაზღვრავს მასწავლებლების მიერ საკუთარ პროფესიულ საქალაქდეში დოკუმენტაციის ატვირთვისა და მასწავლებლის შეფასების ჯგუფის მიერ პროფესიული საქალაქდეების შეფასების ვადებს. სკოლის დირექტორი ვადების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, ბუნებრივია, ითვალისწინებს სკოლის სპეციფიკას – კონკრეტული წლის ბოლოს შესაფასებელი მასწავლებლების რაოდენობას, რესურსებს და ამ მონაცემების საფუძველზე განსაზღვრავს, რა დრო დასჭირდება შეფასების ჯგუფს/ჯგუფებს ამ სამუშაოს შესასრულებლად.

მას მერე, რაც მასწავლებელი ატვირთავს განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელ დოკუმენტებს პროფესიულ საქალაქდეში, მას დოკუმენტაციის განსათავსებლად სკოლის დირექტორის მიერ განსაზღვრული ვადაში ექნება შესაძლებლობა, შეიტანოს ცვლილებები, ატვირთოს დამატებითი დოკუმენტაცია, განაახლოს ან ჩაანაცვლოს ისინი. ვადის ამოწურვის შემდეგ მასწავლებელს ცვლილებების განხორციელება არ შეეძლება.

³ მასწავლებლის შეფასების ჯგუფის eSchool-ში ასახვის ინსტრუქციას დაწვრილებით შეგიძლიათ გაეცნოთ eSchool-ის ავტორიზაციის გვერდზე.

როგორ ხდება შეფასების შედეგების გასაჩივრება?

მასწავლებელს შეფასების შედეგების გასაჩივრება შეუძლია შეფასების ჯგუფის მიერ ელექტრონულ სისტემაში შედეგების განთავსებიდან ერთი თვის განმავლობაში, რისთვისაც მან უნდა წარადგინოს საპრეტენზიო განაცხადი მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში. საპრეტენზიო განაცხადის ფორმა განთავსებული იქნება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე. აქვე იქნება განთავსებული საპრეტენზიო განაცხადის შევსებისა და წარდგენის ინსტრუქციაც. ცენტრის დირექტორი ბრძანებით დაამტკიცებს საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობას და შეიმუშავებს საპრეტენზიო კომისიის დებულებას, რომლის საფუძველზეც განიხილავს მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილ საპრეტენზიო განაცხადებს და შესაბამის გადაწყვეტილებას ასახავს ელექტრონულ სისტემაში.

სქემით გათვალისწინებული აქტივობები და მათი დამატატორი დოკუმენტაცია

სავალდებულო აქტივობები

რა არის პრაქტიკოსი მასწავლებლის სავალდებულო აქტივობები და რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მან მათ დასადასტურებლად?

სქემის თანახმად, პრაქტიკოსი მასწავლებელს მოეთხოვება მხოლოდ სავალდებულო აქტივობების განხორციელება, რომელთა საშუალებით 4 წლის განმავლობაში ის აგროვებს 19 კრედიტულას და მოიპოვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრაქტიკოსი მასწავლებელს არ შეუძლია სხვა, სქემით განსაზღვრული დამატებითი საქმიანობების განხორციელება ამ დროის განმავლობაში. თუკი პრაქტიკოსი მასწავლებელს ექნება ასეთი სურვილი, მას შეუძლია დამატებითი აქტივობების ჩამონათვალიდან განახორციელოს ნებისმიერი აქტივობა და შესაბამისი დოკუმენტაცია ატვირთოს საკუთარ პროფესიულ საქალაქში. ამ აქტივობებისთვის განსაზღვრული კრედიტულა პრაქტიკოსი მასწავლებელს უღიარდება მას შემდეგ, რაც მოიპოვებს უფროსი მასწავლებლის სტატუსს.

პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის სავალდებულოა შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- ა) თვითშეფასების კითხვარის შევსება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში;
- ბ) კითხვარის შევსების საფუძველზე პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა;
- გ) საგნის გამოცდის ჩაბარება,
- დ) 2 გაკვეთილის წარმართვა, რომელთაც დააკვირდება და შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

პრაქტიკოსი მასწავლებლის სავალდებულო აქტივობები	კრედიტულები	დამადასტურებელი დოკუმენტაცია
თვითშეფასების კითხვარის შევსება	არ ფასდება	კითხვარი განთავსებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). ამდენად, მასწავლებელს არ სჭირდება რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა	არ ფასდება	Word, Excel ან PDF-ის ფორმატში შექმნილი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, რომელსაც მასწავლებელი განთავსებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) სპეციალურ მოდულში – „კრედიტულების დაგროვების გეგმა“ ⁴ .
საგნის გამოცდა	10	საგნის გამოცდის შედეგები სპეციალური სერვისის საშუალებით, ავტომატურად აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). შესაბამისად, მასწავლებელს არ სჭირდება რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაციის დამატებით განთავსება პროფესიულ საქაღალდეში.
ორი გაკვეთილის წარმართვა, რომელსაც აკვირდება მასწავლებლის შეფასების ჯგუფი	4	გაკვეთილის გეგმა, გაკვეთილის რეფლექსია, რომელთაც მასწავლებელი განთავსებს ელექტრონულ პროფესიულ საქაღალდეში და შეფასების ჯგუფის ოქმი, რომლის ატივობაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.
მასწავლებლის პროფესიულ უნარებში პროფესიული განვითარების კურსის გავლა, რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა დაწესებულების მიერ.	5	სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული პროფესიული განვითარების აკრედიტებული კურსის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის / ცნობის დასკანერებული ასლი, რომელსაც მასწავლებელი განთავსებს ელექტრონულ პროფესიულ საქაღალდეში.

რა არის უფროსი მასწავლებლის სავალდებულო აქტივობები და რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მან მათ დასადასტურებლად?

უფროსი მასწავლებლისთვის სტატუსის შესანარჩუნებლად სავალდებულოა შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- ა) თვითშეფასების კითხვარის შევსება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში;
- ბ) კითხვარის შევსების საფუძველზე პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა;

⁴ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) აღნიშნული მოდულით სარგებლობის ინსტრუქცია განთავსებულია eSchool-ის ავტორიზაციის გვერდზე.

- გ) 2 გაკვეთილის წარმართვა, რომელთაც დააკვირდება და შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი;
- დ) გარე საგაკვეთილო დაკვირვება.

წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად კი უფროსმა მასწავლებელმა:

- ა) დამატებით უნდა გაიაროს შიდა საგაკვეთილო დაკვირვება, ანუ უნდა წარმართოს გაკვეთილი, რომელსაც სტანდარტიზებული რუბრიკით შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი;
- ბ) განახორციელოს საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, რომელსაც სტანდარტიზებული რუბრიკით შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

უფროსი მასწავლებლის სავალდებულო აქტივობები	კრედიტულები	დამადასტურებელი დოკუმენტაცია
თვითშეფასების კითხვარის შევსება	არ ფასდება	კითხვარი განთავსებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). ამდენად, მასწავლებელს არ სჭირდება რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა პროფესიულ საქალაქო დონეზე.
პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა	არ ფასდება	Word, Excel ან PDF-ის ფორმატში შექმნილი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, რომელსაც მასწავლებელი განათავსებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) სპეციალურ მოდულში – „კრედიტულების დაგროვების გეგმა“.
გაკვეთილის წარმართვა, რომელსაც აკვირდება მასწავლებლის შეფასების ჯგუფი	სტატუსის შესანარჩუნებლად 2 გაკვეთილი (4 კრედიტულა), წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად – 3 გაკვეთილი (6 კრედიტულა).	გაკვეთილის გეგმა, გაკვეთილის რეფლექსია, რომელთაც მასწავლებელი განათავსებს ელექტრონულ პროფესიულ საქალაქო დონეზე და შეფასების ჯგუფის ოქმი, რომლის ატვირთვაც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.
გარე საგაკვეთილო დაკვირვება	5	გარე საგაკვეთილო დაკვირვების შედეგები ავტომატურად აისახება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool), შესაბამისად, მასწავლებელს არ სჭირდება რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაციის დამატებით განთავსება პროფესიულ საქალაქო დონეზე.
საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა (სტატუსის ასამაღლებლად)	2	კვლევის ანგარიში ⁵ , რომელსაც მასწავლებელი განათავსებს ელექტრონულ პროფესიულ საქალაქო დონეზე და შეფასების ჯგუფის ოქმი, რომლის ატვირთვაც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.

⁵ პრაქტიკის კვლევის შესახებ დაწვრილებით იხილეთ ქვემოთ, ქვეთავში „პრაქტიკის კვლევა“, გვ. 58

რა არის წამყვანი მასწავლებლის სავალდებულო აქტივობები და რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მან მათ დასადასტურებლად?

წამყვანი მასწავლებლისთვის სტატუსით განსაზღვრული მაქსიმალური ვადის – ხუთი წლის განმავლობაში სტატუსის შესანარჩუნებლად განსახორციელებელი სავალდებულო აქტივობებია:

- ა) თვითშეფასების კითხვარის შევსება ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში;
- ბ) კითხვარის საფუძველზე პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა;
- გ) 5 სამოდელო გაკვეთილის ჩატარება, რომელთაც სტანდარტიზებული რუბრიკით შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი;
- დ) საკუთარი სკოლის საჭიროებების კვლევა;
- ე) სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა, რომელსაც სტანდარტიზებული კრიტერიუმებით შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად კი წამყვანმა მასწავლებელმა:

- ა) დამატებით უნდა ჩაატაროს 5 სამოდელო გაკვეთილი, რომელთაც სტანდარტიზებული რუბრიკით შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი.

წამყვანი მასწავლებლის სავალდებულო აქტივობები	კრედიტულები	დამადასტურებელი დოკუმენტაცია
თვითშეფასების კითხვარის შევსება	არ ფასდება	კითხვარი განთავსებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool). ამდენად, მასწავლებელს არ სჭირდება რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა პროფესიულ საქალაქო დონეზე.
პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა	არ ფასდება	Word, Excel ან PDF-ის ფორმატში შექმნილი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, რომელსაც მასწავლებელი განთავსებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) სპეციალურ მოდულში – „კრედიტულების დაგროვების გეგმა“.
სამოდელო გაკვეთილების ჩატარება, რომლებსაც შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი	სტატუსის შესანარჩუნებლად – 5 გაკვეთილი (5 კრედიტულა), მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად – 10 გაკვეთილი (10 კრედიტულა)	სამოდელო გაკვეთილის გეგმა, გაკვეთილის რეფლექსია, რომელთაც მასწავლებელი განთავსებს ელექტრონულ პროფესიულ საქალაქო დონეზე და შეფასების ჯგუფის ოქმი, რომლის ატვირთვაზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევა	3	კვლევის ანგარიში, რომელსაც მასწავლებელი განათავსებს ელექტრონულ პროფესიულ საქალაქო და შეფასების ჯგუფის ოქმი, რომლის ატივორთვაზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა	სტატია ან სტანდარტიზებული კრიტერიუმების შესაბამისი რესურსი – 1 კრედიტულა, მეთოდური ლიტერატურა – 2 კრედიტულა, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო – 4 კრედიტულა	სტანდარტიზებული კრიტერიუმების შესაბამისი რესურსის გამოყენების ინსტრუქცია და რეფლექსია, რომელთაც მასწავლებელი განათავსებს ელექტრონულ პროფესიულ საქალაქო და შეფასების ჯგუფის ოქმი, რომლის ატივორთვაზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. ელექტრონული პუბლიკაციის შემთხვევაში შესაბამისი ბმულის მითითება; ბეჭდური ლიტერატურის შემთხვევაში, შესაბამისი დასკანერებული გვერდები (დაწვრილებით იხ. ქვემოთ, გვ. 101).

რა არის მენტორის სავალდებულო აქტივობები და რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მან მათ დასადასტურებლად?

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ თანახმად, მენტორი სტატუსით განსაზღვრული 5 წლის განმავლობაში ერთხელ აგროვებს კრედიტულებს სტატუსის შესანარჩუნებლად, რის შემდეგაც მას ეს სტატუსი უვადოდ მიენიჭება.

მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად მასწავლებელი ვალდებულია განახორციელოს შემდეგი სავალდებულო აქტივობები:

- ა) თვითშეფასების კითხვარის შევსება;
- ბ) ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა;
- გ) 5 სამოდელო გაკვეთილის ჩატარება, რომელთაც სტანდარტიზებული რუბრიკის გამოყენებით შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი;
- დ) სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა, რომელსაც სტანდარტიზებული კრიტერიუმების მიხედვით შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი;
- ე) მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორობა;
- ვ) საკუთარი სკოლის საჭიროებების კვლევა;
- ზ) საკუთარი კოლეგების საჭიროებების შეფასება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;
- თ) სტუდენტების და/ან მასწავლებლების კონსულტირება.

მენტორის სავალდებულო აქტივობები	კრედიტულები	დამადასტურებელი დოკუმენტაცია
თვითშეფასების კითხვარის შევსება	არ ფასდება	კითხვარი განთავსებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSChool). ამდენად, მასწავლებელს არ სჭირდება რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა პროფესიულ საქალაქდემში.
პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა	არ ფასდება	Word, Excel ან PDF-ის ფორმატში შექმნილი ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, რომელსაც მასწავლებელი განათავსებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSChool) სპეციალურ მოდულში – „კრედიტულების დაგროვების გეგმა“.
5 სამოდულო გაკვეთილის ჩატარება, რომელსაც შეაფასებს მასწავლებლის შეფასების ჯგუფი	5	სამოდულო გაკვეთილის გეგმა, გაკვეთილის რეფლექსია, რომელთაც მასწავლებელი განათავსებს ელექტრონულ პროფესიულ საქალაქდემში და შეფასების ჯგუფის ოქმი, რომლის ატვირთვაზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჭიროებების კვლევა	3	კვლევის ანგარიში, რომელსაც მასწავლებელი განათავსებს ელექტრონულ პროფესიულ საქალაქდემში და შეფასების ჯგუფის ოქმი, რომლის ატვირთვაზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა	სტატია ან სტანდარტიზებული კრიტერიუმების შესაბამისი რეზიუმე – 1 კრედიტულა, მეთოდური ლიტერატურა – 2 კრედიტულა, გრიფ-მინიჭებული სახელმძღვანელო – 4 კრედიტულა	სტანდარტიზებული კრიტერიუმების შესაბამისი რესურსის გამოყენების ინსტრუქცია და რეფლექსია, რომელთაც მასწავლებელი განათავსებს ელექტრონულ პროფესიულ საქალაქდემში და შეფასების ჯგუფის ოქმი, რომლის ატვირთვაზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. ელექტრონული პუბლიკაციის შემთხვევაში შესაბამისი ბმულის მითითება; ბეჭდური ლიტერატურის შემთხვევაში, შესაბამისი დასკანერებული გვერდები (დაწვრილებით იხ. ქვემოთ გვ.101).
მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორობა	2	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSChool) ასახული ინფორმაცია.
მასწავლებლების საჭიროების შეფასება და მის საფუძველზე მასწავლებლებისათვის პროფესიული განვითარების ღონისძიებების წარმართვა	3	ღონისძიების გეგმა, რეფლექსია, რომელსაც მენტორი განათავსებს პროფესიულ საქალაქდემში და შეფასების ჯგუფის ოქმი, რომლის ატვირთვაზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.
სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტირება	2	კონსულტირების ანგარიშები, რომელთაც მენტორი განათავსებს პროფესიულ საქალაქდემში და შეფასების ჯგუფის ოქმი, რომლის ატვირთვაზეც პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.

დამატებითი აქტივობები

რას მოიცავს დამატებითი საქმიანობები და რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ მასწავლებლებმა მათ დასადასტურებლად?

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით, მასწავლებლის დამატებითი საქმიანობებია:

- პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში (კონფერენციები, სემინარი) მომხსენებლად მონაწილეობა;
- სტაჟირება პროფესიული განვითარების მიზნით;
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის შექმნა (დამატებითი საქმიანობა პრაქტიკოსი და უფროსი მასწავლებლებისთვის);
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი შემდეგი რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნა (დამატებითი საქმიანობა პრაქტიკოსი და უფროსი მასწავლებლებისთვის):
 - სტატია;
 - მეთოდური ლიტერატურა;
 - გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები.
- სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტირება (დამატებითი საქმიანობა მხოლოდ უფროსი მასწავლებლისათვის);
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა დაწესებულების აკრედიტებული ტრენინგ-მოდულის ავტორობა;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული ტრენინგის ან/და სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტებული ტრენინგის გავლა;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ პროგრამებში/პროექტებში მონაწილეობა.

დამატებითი საქმიანობების ჩამონათვალი	კრედიტულა	დამადასტურებელი დოკუმენტაცია	
<p>მასწავლებლის შეფასების ჯგუფის წევრობა (გარდა მენტორისა)</p>	<p>მასწავლებლის პროფესიული განვითარების ფასილიტატორისათვის</p>	<p>3 (ერთი წლისთვის 1 კრედიტულა)</p>	<p>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) სკოლის მიერ განთავსებული ინფორმაცია</p>
	<p>მასწავლებლის შეფასების ჯგუფის სხვა წევრებისათვის</p>	<p>1</p>	<p>ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემაში (eSchool) სკოლის მიერ განთავსებული ინფორმაცია</p>
<p>პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებში (კონფერენციაში, სემინარზე) მომხსენებლად მონაწილეობა</p>		<p>1</p>	<ul style="list-style-type: none"> - კონფერენციის დღის წესრიგის / პროგრამის დასკანერებული ასლი; - საკუთარი მოხსენების / პრეზენტაციის ელექტრონული ვერსია Word-ის, PDF, Power Point-ის, ან Excel-ის ფორმატში ან მისი დასკანერებული ასლი.
<p>სტაჟირება პროფესიული განვითარების მიზნით</p>		<p>1</p>	<ul style="list-style-type: none"> - სერტიფიკატი ან ცნობა; - სტაჟირების ანგარიში და/ან რეზიუმე.
<p>მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული ლიტერატურის შექმნა</p>	<p>სტატია ან სტანდარტიზებული კრიტერიუმების შესაბამისი რესურსი – 1 კრედიტულა, მეთოდური ლიტერატურა – 2 კრედიტულა, გრიფინიტიზებული სახელმძღვანელო – 4 კრედიტულა</p>	<p>1</p>	<ul style="list-style-type: none"> - სტანდარტიზებული კრიტერიუმების შესაბამისი რესურსის გამოყენების ინსტრუქცია და რეზიუმე, რომელთაც მასწავლებელი განათავსებს ელექტრონულ პროფესიულ საქალაქო და შიდა სასწავლო საიტებზე და ატვირთავს პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. - ელექტრონული პუბლიკაციის შემთხვევაში, შესაბამისი ბმულის მითითება; - ბეჭდური ლიტერატურის შემთხვევაში, შესაბამისი დასკანერებული გვერდები.
<p>სტუდენტების ან/და მასწავლებლების კონსულტირება</p>		<p>2</p>	<p>კონსულტირების ანგარიშები, რომელთაც მენტორი განათავსებს პროფესიულ საქალაქო და შიდა სასწავლო საიტებზე და ატვირთავს პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი.</p>

<p>მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგ-მოდულის ავტორობა. სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული ტრენინგის აკრედიტებული ტრენინგ-მოდულის ავტორობა</p>		<p>2</p>	<ul style="list-style-type: none"> - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდულის ელექტრონული ვერსია; - სხვა ორგანიზაციის / დაწესებულებისა და აკრედიტებული ტრენინგ-მოდულის სახელწოდებისა და კოდის მითითება და ამ ორგანიზაციის დასკანერებული ცნობა, ატვირთული ელექტრონულ საქალაქში.
<p>მასწავლებლის პროფესიული განვითარების მიზნით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ან/და სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული აკრედიტებული ტრენინგის გავლა</p>		<p>25 საათი – 1 კ/ქ</p>	<p>სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ან სხვა დაწესებულების მიერ ორგანიზებული პროფესიული განვითარების აკრედიტებული ტრენინგის გავლის დამადასტურებელი სერთიფიკატის / ცნობის დასკანერებული ასლი, რომელსაც მასწავლებელი განათავსებს eschidol-ში, საკუთარ პროფესიულ საქალაქში.</p>

რომელ კონფერენციებში მომხსენებლად მონაწილეობისთვის მიენიჭება მასწავლებელს კრედიტქულა?

მასწავლებელს დამატებით აქტივობად ჩაეთვლება მომხსენებლად მონაწილეობა მხოლოდ იმ საერთაშორისო ან ეროვნულ კონფერენციებში ან სემინარებში, რომლებიც ორგანიზებულია სამოქალაქო, სასწავლო-საგანმანათლებლო და/ან სამეცნიერო პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციის, ადგილობრივი ან უცხოური უნივერსიტეტის, ადგილობრივი ან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების მიერ, აგრეთვე, საჯარო და/ან კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინიციატივით და ზემოთ ჩამოთვლილი ორგანიზაციების მხარდაჭერითა და მონაწილეობით.

რომელ პროგრამებში / პროექტებში მონაწილეობისთვის მიენიჭება მასწავლებელს კრედიტქულა და რამდენი?

სქემით გათვალისწინებულია დამატებითი კრედიტქულების მოპოვება პროგრამებსა და პროექტებში, რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერე-

ბის მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქნება განსაზღვრული.

ამ მიზნით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში წინასწარ შემუშავებული ფორმის მიხედვით პროექტის/პროგრამის განმახორციელებელმა ინსტიტუციებმა განსახილველად წარმოადგინეს თავიანთი პროგრამები. მათში წარმოდგენილი იყო: ა) ინფორმაცია პროგრამაში/პროექტში მასწავლებლების ჩართულობის ხარისხის შესახებ; ბ) პროფესიული განვითარების ძირითადი აქტივობ(ებ)ის აღწერა 2015-2016 სასწავლო წლისთვის, მისალწვევი შედეგები და კავშირი მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტთან; გ) მასწავლებლების მხარდაჭერი ღონისძიებები; დ) პროგრამაში ჩართული მასწავლებლების შეფასება: გამოყენებული შეფასების კრიტერიუმები, ინსტრუმენტები, ვადები და შემფასებელი ინსტიტუციები; ე) მასწავლებლისთვის მისანიჭებელი კრედიტულების ოდენობა და სხვა დამატებითი ინფორმაცია.

განსახილველად წარმოდგენილი პროგრამები/პროექტები შეფასდა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. შეფასება ეყრდნობოდა რამდენიმე უმთავრეს კრიტერიუმს, კერძოდ: რა სარგებელს მოუტანს აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობა მასწავლებელს; როგორ აისახება ამ პროგრამაში/პროექტში მონაწილეობა მის პროფესიულ განვითარებაზე; რა სარგებელს მოუტანს აღნიშნული პროგრამა/პროექტი მოსწავლეებს და სკოლას; იქონიებს თუ არა ის დადებით გავლენას სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე სკოლაში.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია პროგრამების/პროექტების ჩამონათვალი, რომლებში ჩართვაც მასწავლებლებს კრედიტულებს მოუტანს:

N	წარმომდგენი ორგანიზაცია	სამაჩნე კუთვნი	საკრედიტო პროგრამის დასახელება	რას მოიცავს პროგრამის შინაარსი	კამური კრედიტ-მულების ოდენობა	პროექტის/პროგრამის სახელწოდება წარმოდგენ ორგანიზაციაში
1.	შპს ინგლისური წიგნი საქართველოში	პროგრამაში ჩართული ინგლისური ენის მასწავლებლები	ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგს (ორი 21 საკონტაქტო საათიანი, ჯამში – 42 საკონტაქტო საათი), სემინარებს, ვებინარს, გაკვეთილებს და კვირვებს	2	ინგლისური ენის მასწავლებლის პროფესიული განვითარების პროგრამა
2.	PH International საქართველო	480 პროგრამაში ჩართული სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლები	სამოქალაქო განათლების მასწავლებლების პროფესიული განვითარება	პროგრამა #1 – ტრენინგებს „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ (24 საკონტაქტო საათი); „სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოების გამოყენება“ (6,5 საკონტაქტო საათი); სადისკუსიო სემინარებს; სახელმძღვანელოების დანერგვასა და პროფესიულ გაზიარებას კრიტიკული მეგობრის ჯგუფებში	3	მომავლის თაობა

N	წარმომდგენი ორგანიზაცია	სამხმენ ჯგუფი	საკრედიტო პროგრამის დასახელება	რას მოიცავს პროგრამის შინაარსი	ჯამური კრედიტ-ტულენობის ოდენობა	პროექტის/პროგრამის სახელწოდება წარმდგენ ორგანიზაციაში
				<p>პროგრამა #2 – ტრენინგებს „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ (24 საკონტაქტო საათი);</p> <p>„სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოების გამოყენება“ (6,5 საკონტაქტო საათი);</p> <p>„სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტების განხორციელება“ (6,5 საკონტაქტო საათი);</p> <p>სასკოლო სასწავლო კლუბის მუშაობის წარმართვას (6,5 საკონტაქტო საათი);</p> <p>სადისკუსიო სემინარებს; სახელმძღვანელოების დანერგვასა და პროფესიულ გაზიარებას კრიტიკული მეგობრის ჯგუფებში;</p> <p>საკლასო, სასწავლო და კვლევით პროექტების შესწავლას;</p> <p>საგრანტო პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას</p>	4	
				<p>პროგრამა #3 – ტრენინგებს „დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლება“ (24 საკონტაქტო საათი);</p> <p>„სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელოების გამოყენება“ (6,5 საკონტაქტო საათი);</p> <p>„სამოქალაქო განათლების საკლასო პროექტების განხორციელება“ (6,5 საკონტაქტო საათი);</p> <p>სასკოლო სასწავლო კლუბის მუშაობის წარმართვას (6,5 საკონტაქტო საათი);</p> <p>სახელმძღვანელოების დანერგვას; სადისკუსიო სემინარებს; პროფესიულ გაზიარებას კრიტიკული მეგობრის ჯგუფებში;</p> <p>სასკოლო სასწავლო კლუბის საქმიანობის ხელშეწყობას;</p> <p>საგრანტო პროექტების დაგეგმვა-განხორციელებას</p>	4	

N	წარმომადგენელი ორგანიზაცია	სამომწინვე წევრი	საკრედიტო პროგრამის დასახელება	რას მოიცავს პროგრამის შინაარსი	ჯამური კრედიტ-ტულების ოდენობა	პროექტის/პროგრამის სახელწოდება წარმოდგენ ორგანიზაციაში
3.	PH International საქართველო	ინგლისური ენის 60 მასწავლებლისთვის სამოქალაქო ღირებულებების კომპეტენციების განვითარება	ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგს „ინგლისური ენა სამოქალაქო განათლების გამოყენებით“ (60 საკონტაქტო საათი); ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების საზაფხულო ბანაკს (12 დღე)	3	ინგლისური ენა სამოქალაქო განათლების გამოყენებით
4.	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	ნებისმიერი საგნის პროგრამაში ჩართული მასწავლებელი	მასწავლებლების პროფესიული განვითარება	მასწავლებლების მხარდაჭერ ტრენინგს პროექტების დაწერაში, ციფრული რესურსების გამოყენებაში და ონლაინ პლატფორმაზე სამუშაოდ (25 საათი); სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობას; ინიცირებული პროგრამის და მასში დასახული აქტივობების განხორციელებას / ჩართვას ევროპელი კოლეგების ინიცირებულ პროექტში და მისი განხორციელებას	2	სკოლის მასწავლებელთა ონლაინ სისტემაში ჩართვა და დამეგობრება ევროპის ქვეყნების მასწავლებლებთან (eTwinning Plus)
5.	სსიპ საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ	ისტორიის, გეოგრაფიისა, სამოქალაქო განათლებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის პროექტში ჩართული მასწავლებელი	ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო განათლებისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	სემინარში მონაწილეობას; პროექტის ინიცირებასა და განხორციელებას ევროკავშირისა და/ან ნატოს სწავლების, ცნობიერების ამაღლების შესახებ	1	მასწავლებელი მეგობარი ევროპისკენ
6.	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროექტში ჩართული საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლები	ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განვითარება ტრენინგის საშუალებით (25 საკონტაქტო საათი); შექმნილი უნარების სასწავლო პროცესში გამოყენებას	1	ჯაჭური რეაქცია
7.	ევროპის საბჭო	გამყოფი ხამის გასწვრივ მდებარე სკოლებიდან საბაზო და საშუალო სკოლის ინგლისური ენის 10 მასწავლებელი		ტრენინგებს სწავლების თანამედროვე მეთოდებზე, უცხო ენის სწავლების სტრატეგიებზე, ინტერკულტურული და პლურლინგვური მიდგომები, კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიები, მრავალფეროვნების	1	„ერთად გადავუმჯობესოთ პედაგოგიური პრაქტიკა“

N	წარმომდგენი ორგანიზაცია	სამომხმე ქვეყნი	საკრედიტო პროგრამის დასახელება	რას მოიცავს პროგრამის შინაარსი	ჯამური კრედიტ-ტოლების ოდენობა	პროექტის/პროგრამის სახელწოდება წარმომდგენ ორგანიზაციაში
				მართვა სასწავლო გარემოში; ტრენინგების შედეგების სასწავლო გარემოში გადატანა, ელექტრონული პორტფოლიოს წარმოება, ნამუშევრების წარდგენა და შემაჯამებელი შეხვედრა.		
8.	გოეთეს ინსტიტუტი	გერმანული ენის მასწავლებლები	გერმანული ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	<p>ტრენინგს „მოდერნიზაციის ტექნიკები“ (25 საკონტაქტო საათი)</p> <p>ტრენინგს „პროექტზე ორიენტირებული სწავლება“ (25 საკონტაქტო საათი)</p> <p>ტრენინგს „გრამატიკის სწავლება – მეთოდოლოგია, სასწავლო ტექნიკა და სტრატეგიები“ (25 საკონტაქტო საათი)</p> <p>ტრენინგს „პროდუქტიული უნარ-ჩვევების განვითარება, ლაპარაკისა და წერის კომპეტენციების სწავლება“ (25 საკონტაქტო საათი)</p> <p>ტრენინგს „რეცეფციული უნარ-ჩვევების განვითარება, კითხვისა და მოსმენის კომპეტენციების სწავლება“ (25 საკონტაქტო საათი)</p> <p>ტრენინგს „დავალდებათა ტიპოლოგია გერმანული ენის გაკვეთილზე“ (25 საკონტაქტო საათი)</p> <p>ტრენინგს „ინტერნეტ-რესურსები გერმანული ენის გაკვეთილზე“ (25 საკონტაქტო საათი)</p> <p>ტრენინგს „კონკრეტული პოეზია გერმანული ენის შესწავლის პროცესში“ (25 საკონტაქტო საათი)</p>	1	გერმანული ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარების პროგრამა

N	წარმომდგენი ორგანიზაცია	სამსწრე ჩანაწერი	საკრედიტო პროგრამის დასახელება	რას მოიცავს პროგრამის შინაარსი	ჯამური კრედიტ-ტულების ოდენობა	პროექტის/პროგრამის სახელწოდება წარმომდგენ ორგანიზაციაში
				ტრენინგს „მეთოდების სკივრი – მოსწავლის გამააქტიურებელი მუშაობის ფორმები“ (25 საკონტაქტო საათი)	1	
				ტრენინგს „კომუნიკაციების სპეციალური გერმანიის მასწავლებლებისთვის“ (100 საკონტაქტო საათი)	4	
9.	ბრიტანეთის საბჭო საქართველოში	პროექტებში ჩართული ინგლისური ენის მასწავლებლები	ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	<p>ტრენინგს „სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენება ინგლისურის გაკვეთილზე“ (25 საკონტაქტო საათი)</p> <p>ტრენინგს, მოკლე სემინარებს – სასწავლო მეთოდოლოგიების გაუმჯობესებას ინგლისურში, საგაკვეთილო დაკვირვებას პროფესიული განვითარების ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის მომზადების სწავლებასა და შემუშავებას პედაგოგთა ჩართვას სოციალურ ქსელებში და გამოცდილების გაზიარებას ზამთრის სკოლას (ჯამური 178 საათი)</p> <p>ტრენინგს ინგლისურის პედაგოგებისთვის სასწავლო ტექნოლოგიების გამოყენებით</p>	1	<p>ინგლისური ენის ციფრული რესურსები მოსწავლეებისთვის, მასწავლებლის სახელმძღვანელო წიგნის შექმნა და სატრენინგო პროგრამა</p> <p>სასწავლო მეთოდოლოგიების გაუმჯობესება და ინგლისური ენის პედაგოგების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა საქართველოში</p> <p>„განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების კონფერენცია და სატრენინგო პროგრამა ინგლისური ენის პედაგოგებისთვის“</p>
10.	ქემონიქსი საქართველო	პროგრამაში ჩართული დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები	დაწყებით საფეხურზე ქართული ენის, როგორც მეორე ენისა და მათემატიკის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგებს, გაკვეთილებზე დაკვირვებას, ელექტრონულ ტრენინგ-პროგრამებში მონაწილეობას, სასწავლო რესურსების გამოყენება-დანერგვას	2	აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი (G-PriEd)

N	წარმომდგენი ორგანიზაცია	სამომხმადებელი	საკრედიტო პროგრამის დასახელება	რას მოიცავს პროგრამის შინაარსი	ჯამური კრედიტ-ტულების ოდენობა	პროექტის/პროგრამის სახელწოდება წარმდგენ ორგანიზაციაში
			დაწყებით საფეხურზე ქართული ენისა და მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება (მხოლოდ პროგრამის ფარგლებში სასწავლო ჯგუფების ფასილიტატორებისთვის)	ტრენინგებს, გაკვეთილებზე დაკვირვებას, ელექტრონულ ტრენინგ-პროგრამებში მონაწილეობას, სასწავლო რესურსების გამოყენება-დანერგვას	4	
			ქართულის, როგორც მეორე ენის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარება (მხოლოდ პროგრამის ფარგლებში სასწავლო ჯგუფების ფასილიტატორებისთვის)	ტრენინგებს, გაკვეთილებზე დაკვირვებას, ელექტრონულ ტრენინგ-პროგრამებში მონაწილეობას, პროგრამის ფარგლებში ფასილიტაციას	1	
			არაქართულენოვანი სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება (მხოლოდ პროგრამის ფარგლებში სასწავლო ჯგუფების ფასილიტატორებისთვის)	ტრენინგებს, გაკვეთილებზე დაკვირვებას, ელექტრონულ ტრენინგ-პროგრამებში მონაწილეობას, ფასილიტაციას	1	
			I-VI კლასის დამრიგებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგებს, გაკვეთილებზე დაკვირვებას, ელექტრონულ ტრენინგ-პროგრამებში მონაწილეობას, ფასილიტაციას	1	

N	წარმომდგენი ორგანიზაცია	სამაზნე ქვეფი	საკრედიტო პროგრამის დასახელება	რას მოიცავს პროგრამაში შინაარსი	ჯამური კრედიტ-ტოლის ოდენობა	პროექტის/პროგრამის სახელწოდება წარმოდგენ ორგანიზაციაში
11.	აშშ შვედობის კორპუსი საქართველოში	სკოლებში, სადაც მოხალისე პედაგოგები მუშაობენ ინგლისური ენის ადგილობრივი მასწავლებლები	ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	უცხოელ მასწავლებლებთან თანამშრომლობას, გაკვეთილების ერთობლივ დაგეგმვას, ურთიერთდასწრებას, წყვილში სწავლებას, ტრენინგებს, საბაზო უსწავლო ბანაკებში მონაწილეობას	2	ინგლისური ენის სწავლების პროგრამა
12.	სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	სკოლებში, სადაც მოხალისე პედაგოგები მუშაობენ ინგლისური ენის ადგილობრივი მასწავლებლები	ინგლისური ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	უცხოელ მასწავლებლებთან თანამშრომლობას, გაკვეთილების ერთობლივ დაგეგმვას, ურთიერთდასწრებას	1	ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად
13.	ბავარიის ბუნების კონსერვაციისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის აკადემია	ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლები (19 მასწავლებელი)	ბიოლოგიისა და გეოგრაფიის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგების გავლას ბიომრავალფეროვნებაში ორი მიმართულებით პეპლების მოდული და ტიანგელების მოდული; მოსწავლეებისთვის ექსპერიმენტული სწავლების დანერგვა ცოცხალი ორგანიზმების სასწავლო გარემოში შეტანით; მოსწავლეებში კვლევითი კომპეტენციების განვითარებას	2	ბუნების მიმართ ცნობიერების ამაღლების ექსპერიმენტული სწავლება და განათლება (ELENA)
14.	ფრანგული ენის სწავლების ხელშეწყობისა და განვითარების ფონდი საქართველოში	ფრანგულის მასწავლებლები დაწყებით საფეხურზე	ფრანგული ენის მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგებს შემდეგ თემებზე: აქტივობების შერჩევა გაკვეთილისთვის, პედაგოგიური დოკუმენტების მოძიება, შერჩევა და დიდაქტივობა, მიზნებისა და აქტივობების განსაზღვრა, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შედგენა; მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრებას; სასწავლო აქტივობების შექმნას; ფრანკოფონიის დღეებისთვის მზადებას.	2	საქართველოს საჯარო სკოლებში ფრანგული ენის გაძლიერებული სწავლების პროგრამა
15.	ეკოვიჟენი – კავშირი მდგრადი განვითარებისთვის	სამზადებელი-ვი მენიერებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები	სამზადებელი-ვი მენიერებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლების პროფესიული განვითარება	ტრენინგებს შემდეგ თემებზე: ენერგოდაზოგვა, ენერგოეფექტურობა, ნარჩენების, კლიმატის, ბიომრავალფეროვნების მდგრადი განვითარება, ბუნებრივი რესურსების	3, შე-საძღ-ბელია კრე-დიტუ-ლების ნაწი-	ენერჯისა და რესურსების გამოყენების საერთაშორისო სასკოლო პროექტი

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მოთხოვნაა მასწავლებლებში პრაქტიკული კვლევების კომპეტენციის უნარის ფლობა: მასწავლებელი კვლევებთან ერთად გეგმავს სპეციალურ კვლევით სამუშაოებს, ახორციელებს მათ და იყენებს პრაქტიკულ საქმიანობაში (პროფესიული განვითარება, მუხლი 133,, 1); შეუძლია საკვლევო საკითხის დამოუკიდებლად განსაზღვრა, კვლევის ჩატარება, მონაცემთა დამუშავება-ინტერპრეტაცია, კვლევის შედეგების გამოყენება საკუთარი და კოლეგების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად. (პროფესიული განვითარება, მუხლი 139, 2). სწორედ ამიტომ „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად ერთ-ერთი სავალდებულო აქტივობაა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იდენტიფიცირებული საჭიროებების ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული კვლევის განხორციელება, ხოლო მენტორის სტატუსის მოსაპოვებლად – პრაქტიკული კვლევების განხორციელება სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე.

შიშრად მასწავლებლებში დაბნეულობასა და უკმაყოფილებას იწვევს პრაქტიკის კვლევის კომპეტენციის მოთხოვნა, რადგან მათ ეს ზედმეტად რთულ საქმიანობად მიაჩნიათ. თუ ყურადღებით გავცნობით მოცემულ თავს, დავინახავთ, რომ პრაქტიკის კვლევა არ არის მოწყვეტილი მასწავლებლის პრაქტიკას, იგი მისი ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია.

რა არის პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა?

კვლევა არის ახალი ცოდნის ძიება, მისი სისტემატური დოკუმენტირება და გაფორმება კვლევის ანგარიშის, სტატიის, პროექტის და სხვა სახით. განასხვავებენ ფუნდამენტურ და გამოყენებით კვლევებს. ფუნდამენტურია კვლევა, რომელიც ემსახურება მეცნიერული ცოდნის გაღრმავებას ახალი თეორიების შექმნით და აქამდე უცნობი მექანიზმებისა და ტექნოლოგიების ანალიზით. გამოყენებითი კვლევის ძირითადი მიზანი კი თეორიების, მექანიზმების, ტექნოლოგიების პრაქტიკაში გამოყენება და დანერგვაა.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მიეკუთვნება გამოყენებით კვლევათა რიცხვს. ეს არის პროფესიული სიტუაციების სისტემური კვლევა, ჩატარებული მასწავლებელთა მიერ საკუთარი პროფესიონალიზმის დახვეწის, სასწავლო პროცესისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

პროფესიონალია მასწავლებელი, რომელსაც შეუძლია პედაგოგიური საქმიანობის დროს წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება, მისი გადაჭრის გზების ძიება და პოვნა, ახალი იდეების, ინოვაციების, სტრატეგიების პედაგოგიურ პრაქტიკაში დანერგვა.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა მართო წამოჭრილი სიძნელეების დროს კი არ არის საჭირო, არამედ ახალი იდეების, ინოვაციების გამოსაცდელად, საკუთარი ძლიერი მხარისა და პოტენციალის აღმოსაჩინად, საჭირო უნარ-ჩვევების გასავი-

თარებლად და, რაც მთავარია, სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.

რა განსხვავებაა ტრადიციულ საგანმანათლებლო და პედაგოგიური პრაქტიკის კვლევებს შორის?

ტრადიციულად საგანმანათლებლო კვლევების განმხორციელებლები არიან უნივერსიტეტის პროფესორები და მეცნიერები. ტრადიციული საგანმანათლებლო კვლევის მიზანი არის „განათლების ფენომენის ახსნა, განჭვრეტა და კონტროლი“ (გეი და სხვები, 2006, გვ. 5). ამისათვის მკვლევარები ცდილობენ ცვლადებით (ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ კონკრეტული სწავლების შედეგებზე) მანიპულირებას და მათ კონტროლს, რათა შეამოწმონ ჰიპოთეზა (განცხადება, რომლითაც მკვლევარი წინასწარ განჭვრეტს, რა მოხდება ან განმარტავს, თუ რა იქნება კვლევის შედეგი). პრაქტიკის კვლევის ჩამტარებელი პირები განსხვავდებიან ტრადიციული მკვლევარებისაგან, რადგან ისინი უმეტესწილად არიან სკოლის მასწავლებლები და დირექტორები, რომლებიც თავად არიან საგანმანათლებლო კვლევის სუბიექტები. ამგვარად, ისინი მონაწილეობენ კვლევებში, რომლებიც გამომდინარეობს როგორც საკუთარი, ისე სკოლის საჭიროებებიდან და ერთდროულად მოქმედებენ, როგორც პედაგოგები და როგორც მკვლევარები. კვლევაში ჩართული პედაგოგები ცდილობენ საკუთარი კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, პოზიტიური ზეგავლენა მოახდინონ სწავლა-სწავლების პროცესებსა თუ შედეგებზე და არ დაკმაყოფილდნენ მხოლოდ კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების სხვებისათვის გაზიარებით.

ცხრილში მოცემულია განსხვავება ტრადიციულ და პრაქტიკის კვლევებს შორის:

ტრადიციული და პრაქტიკის კვლევების შედარება

რა?	ტრადიციული კვლევა	პრაქტიკული კვლევა
ვინ?	უნივერსიტეტის პროფესორებისა და მეცნიერების მიერ ექსპერიმენტული და საკონტროლო ჯგუფების მაგალითზე.	პედაგოგებისა და დირექტორების მიერ მათი პედაგოგიური პრაქტიკის საჭიროებიდან გამომდინარე.
სად?	გარემოში, სადაც შესაძლებელია ცვლადების მართვა.	ბუნებრივ გარემოში – სკოლებსა და საკლასო ოთახებში.
როგორ?	მეტწილად რაოდენობრივი მეთოდის გამოყენებით, წინასწარ დადგენილი სტატისტიკის მიხედვით ვაჩვენებთ ცვლადებს შორის არსებულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს.	უმეტესად თვისებრივი მეთოდის გამოყენებით აღვწერთ, თუ რა ხდება, ვახორციელებთ ინტერვენციას/ჩარევას და ვიგებთ პედაგოგიური ჩარევის შედეგს.

რისთვის?	გამოვიტანოთ დასკვნები და გავცეთ რეკომენდაციები, რაც შესაძლოა განზოგადდეს ფართო მასებისათვის.	მივიღოთ ქმედითი ზომები და პოზიტიური გავლენა მოვახდინოთ გამოკვლევულ კონკრეტულ სასკოლო გარემოში საგანმანათლებლო ცვლილებებზე.
----------	--	--

მაშასადამე, **პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა** არის პედაგოგების, დირექტორების, სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მიერ ჩატარებული ნებისმიერი სახის მეთოდური გამოკვლევა კონკრეტული მასწავლებლის, სკოლის საქმიანობის, სწავლა-სწავლების და მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შესახებ ინფორმაციის შეგროვებისა და გაუმჯობესების მიზნით.

პრაქტიკის კვლევის განმხორციელებელმა პირებმა უნდა გააცნობიერონ, რომ კვლევაში ჩართვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საუკეთესო საშუალებაა, პროფესიულად მზარდი მასწავლებელი მუდმივად განაახლებს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, რაც სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესების აუცილებელი პირობაა.

პედაგოგებს ხშირად უჩნდებათ კითხვა: როგორ ვისწავლოთ პრაქტიკის კვლევა?

კვლევაში გამოცდილი პედაგოგები გვიჩვენებენ, რომ კვლევის პროცესი ყველაზე უკეთ გვასწავლის, თუ როგორ უნდა ჩავატაროთ კვლევა. ასე რომ, პრაქტიკის კვლევა ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკის ყოველდღიურ შემადგენელ ნაწილად უნდა ვაქციოთ. იმისათვის, რომ ყოველდღიური სწავლების პროცესში პრაქტიკის კვლევის შედეგიანად გამოყენება შევძლოთ, საჭიროა:

- შევეცადოთ, დავარწმუნოთ საკუთარი თავი იმაში, რომ შედეგი ღირს დახარჯულ დროდ და ენერჯიად;
- დახმარებისთვის მივმართოთ კოლეგებს, რომელთაც აქვთ პრაქტიკის კვლევის გამოცდილება; სანამ გამოცდილებას შევიძენთ, მათთან ერთად დავგეგმოთ, განვახორციელოთ და შევაფასოთ კვლევის შედეგები.

რა ეტაპებისაგან შედგება პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა?

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა შეგვიძლია შემდეგ ეტაპებად/ფაზებად დავყოთ:

1. საკვლევი თემის განსაზღვრა და კვლევის მიზნის ჩამოყალიბება;

2. კვლევის პროცესის დოკუმენტირება – კვლევის დღიურის წარმოება;
3. საკითხთან დაკავშირებული არსებული კვლევებისა და ლიტერატურის შესწავლა და ანალიზი;
4. კვლევის მეთოდის შერჩევა და ექსპერტიზა (სხვა კოლეგებისთვის გაცნობა ან მეთოდის მოსინჯვა – საპილოტე კვლევა);
5. მონაცემთა შეგროვება;
6. მონაცემთა ანალიზი, რომელიც ყველაზე საინტერესო და ამავე დროს კვლევის ყველაზე რთული პროცესია;
7. ქმედება (ინტერვენცია, ანუ ჩარევა), მისი პრაქტიკაში დანერგვა და მიღწეული შედეგების შეფასება, რაც არ ნიშნავს აუცილებლად ყველა პრობლემის გადაჭრას, არამედ ძიებას, გამოცდილების შეძენას, რაღაცის გაუმჯობესებას და კვლევის პროცესის ახალ ფაზაში გადასვლას;
8. მოპოვებული ცოდნისა და გამოცდილების პრეზენტაცია, რაც შეიძლება განხორციელდეს კვლევის ანგარიშის შექმნით და მისი კათედრის სხდომასა თუ სემინარზე განხილვით, კონფერენციაზე წარდგენით, პუბლიკაციით და ა.შ.

განვიხილოთ პრაქტიკის კვლევის თითოეული ეტაპი ცალ-ცალკე.

1. საკვლევი თემის განსაზღვრა.

კვლევის პროცესის პირველი ნაბიჯი არის იმ პრიორიტეტული სფეროს პოვნა და ფორმულირება, რომელიც იქნება არჩეული კვლევის საფუძველი და მიზანი.

მასწავლებელმა კვლევის დაწყების წინ საკუთარ თავს შემდეგი კითხვები უნდა დაუსვას:

- ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან რომელია პრიორიტეტული საკითხი, რომლითაც უნდა დავიწყო კვლევა?
- გასწვდება ჩემი ძალები და შესაძლებლობები ამ საკითხების კვლევას?
- ჩემი კოლეგებიდან ვის შემოძლია მივმართო დახმარებისათვის?
- კიდევ რომელი კოლეგისთვის/კოლეგებისთვის იქნება ჩემ მიერ შერჩეული საკითხი პრიორიტეტული, რათა ერთობლივად დავგვემოთ კვლევა?
- რამდენად მაქვს/გვაქვს წარმატების შანსი? და ა.შ.

რამ შეიძლება მისცეს ბიძგი მასწავლებელს, განსაზღვროს საკვლევი თემა?

- სასწავლო პროცესზე დაკვირვებამ და არსებულმა გამოცდილებამ; მაგ. ჯგუფუ-

რი პროექტის მიმდინარეობაზე დაკვირვების დროს მასწავლებელმა აღმოაჩინა, რომ კლასში არის თანამშრომლობითი უნარების დეფიციტი.

- უკუკავშირისა და შეფასების შედეგებმა. მაგ., პედაგოგმა შეაჯამა კლასში სემესტრის განმავლობაში ჩატარებული ტესტირების შედეგები და აღმოაჩინა, რომ პირველი ტესტირების შედეგები გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე შემდგომისა. ამან უბიძგა მასწავლებელს ეკვლია შეფასების შედეგების ასეთი ცვლილების მიზეზები და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე განეხორციელებინა შესაბამისი ინტერვენციები.
- სკოლის განვითარების პროგრამებში, პროექტებსა და კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებში მონაწილეობამ. მაგ., მასწავლებელთა ერთი ჯგუფი ჩართული იყო საერთაშორისო პროექტში, რომელიც ეხებოდა მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობას სასკოლო ცხოვრებაში და რადგანაც მათი სკოლისათვისაც აქტუალური იყო ეს საკითხი, იქ მიღებულ გამოცდილებებზე დაყრდნობით განახორციელა კვლევა – როგორ გავზარდოთ მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.
- ცნობისმოყვარეობამ და „თეორიულმა ინტერესებმა“. ახალი იდეები სულაც არ არის საჭირო საკუთარი გამოცდილებიდან მოდიოდეს. ის შეიძლება დაიბადოს კოლეგების საქმიანობაზე დაკვირვებებიდან, საკითხავი მასალიდან და ა.შ. მაგ., თუკი მასწავლებელს მოეწონა საკუთარი კოლეგის მიერ გამოყენებული სტრატეგია და დაინახა მისი ეფექტიანობა, მან შეიძლება იფიქროს, როგორ დანერგოს ეს სტრატეგია საკუთარ პრაქტიკაში და როგორ შეაფასოს მისი შედეგები.

როგორ უნდა გადაამოწმოს მასწავლებელმა, სწორად აქვს თუ არა შერჩეული საკვლევი თემა?

ამისათვის მას შეუძლია საკუთარ თავს დაუსვას კითხვები:

- მოქმედების არეალი:
 - მომდინარეობს თუ არა ჩემ მიერ არჩეული საკვლევი თემა ჩემი პედაგოგიური პრაქტიკიდან?
 - მაქვს თუ არა ამის განსახორციელებლად საკმარისი შესაძლებლობები, თუ ზედმეტად ვარ დამოკიდებული სხვა პიროვნებებსა და ინსტანციებზე?
 - არიან თუ არა კოლეგები მზად ჩემთან თანამშრომლობისთვის?
- მნიშვნელოვნება:
 - რამდენად მნიშვნელოვანია საკვლევი თემა ჩემი პროფესიული ზრდისთვის, ჩემი სკოლისა და მოსწავლეებისათვის?

- აქვს თუ არა მას აღმზრდელობითი ღირებულება?
- ვარ თუ არა მზად, ენერგია და დრო დავახარჯო ამ საკითხის კვლევას?
- მაქვს თუ არა სურვილი, ამ საკითხის კვლევით რამე შეიცვალოს, გაუმჯობესდეს, განვითარდეს?
- დაძლევადობა:
 - ნუ აირჩევთ დასაწყისში თქვენთვის რთულ საკვლევ საკითხებს. თუ ყოყმანობთ, შეჩერდით უფრო კონკრეტულ, შემოსაზღვრულ გეგმებზე.
- შესაბამისობა:
 - რამდენად შეუწყობს ხელს ჩემ მიერ შერჩეული საკითხი ჩემს პროფესიულ განვითარებას?
 - რამდენად აქტუალურია იგი ჩემი სკოლისათვის?
 - რამდენად დამენამარება ის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაში?

სარეკომენდაციოდ გთავაზობთ პედაგოგიურ პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემებიდან პრიორიტეტული საკვლევი საკითხის დადგენის ცხრილს:

გადაუდებელი

მნიშვნელოვანი				კრიტიკული (აუცილებლად)
				მნიშვნელოვანი (საჭირო)
				სასარგებლო (არა აუცილებელი)
				უმნიშვნელო
	დრო გადაძვრებით არ არის	ბრძელვაღიანი	უნდა გააქმდეს გაღე	სასწრაფოდ

ცხრილის გამოყენებით უნდა შევძლოთ საკვლევად გამოვლენილი საკითხების რანჟირება მათი მნიშვნელობის მიხედვით. პირველ რიგში დავიწყეთ იმ საკითხზე მუშაობა, რომელიც კრიტიკულად აუცილებელი და სასწრაფოა და, ამასთანავე, ადამიანური და მატერიალური რესურსების ოპტიმალურად გამოყენების შემთხვევაში შევძლებთ გავუმკლავდეთ.

2. კვლევის დღიური – კვლევის პროცესის მეგზური

პედაგოგიური კვლევის პროცესში მასწავლებლები აწარმოებენ ე.წ. კვლევის დღიურს, რომელშიც შეაქვთ სტრუქტურირებული და არასტრუქტურირებული დაკვირვების შედეგები, საკუთარი იდეები, გეგმები, ინტერვიუები, მონაცემთა ანალიზის შედეგები და ა.შ.

კვლევის დღიური არის მასწავლებლის უმნიშვნელოვანესი იარაღი. იგი კვლევის პროცესის თანამგზავრია, რადგან მასში აღწერილია კვლევის პროცესის ყველა ეტაპი. დღიური ეხმარება მასწავლებელს კვლევის პროცესის კორექტირებასა და დასკვნების გამოტანაში.

სასურველია, მასწავლებელი დროდადრო მიუბრუნდეს საკუთარი კვლევის დღიურის ჩანაწერებს, გადაიკითხოს ისინი და ხელახლა გაიაზროს. კვლევის დღიურში ჩანიშვნების გაკეთება თავში მოსული ღირებული იდეების დავიწყებისგანაც დაგვიცავს.

3. არსებული კვლევების / ლიტერატურის შესწავლა და ანალიზი

საკვლევი საკითხის იდენტიფიცირების შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს პროფესიული ლიტერატურა, გადახედოს სხვების გამოცდილებას, საკითხთან დაკავშირებით არსებულ კვლევებს, რათა უკეთ გაერკვეს იმ პრობლემაში, რომლის გამოკვლევაც გადაწყვიტა. ლიტერატურის მიმოხილვამ შესაძლოა მას დაანახოს პრობლემის გადაჭრის სხვა გზებიც და დაეხმაროს საინტერესო ნოვატორული მიდგომის პოვნაში.

მას შემდეგ, რაც მასალა შეგროვდება, მასწავლებელმა საკუთარ თავს უნდა დაუსვას კითხვები: *რამდენად სანდოა მოძიებული მასალა? ინფორმაცია ვინმეს პირადი აზრია თუ კვლევის შედეგი? იშველიებს თუ არა ავტორი დამამტკიცებელ საბუთს თვალსაზრისების გასამყარებლად? დაბოლოს, შემატებს თუ არა აღნიშნული მასალა რამეს საკვლევ თემაზე უკვე შეგროვებულ ინფორმაციას? აღრმავებს თუ არა აღნიშნული მასალა მასწავლებლის ცოდნას და ღირს თუ არა, რომ მიაქციოს მას ყურადღება?*

განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს მასწავლებელს ინტერნეტრესურსების გამოყენებისას. ინტერნეტით მოძიებული მასალა საგულდაგულოდ უნდა შემოწმდეს – ხომ არ არის იგი ტენდენციური, მიკერძოებული, სავარაუდოა თუ ზუსტი.

4. კვლევის მეთოდის შერჩევა, მონაცემთა შეგროვება და ანალიზი

მონაცემთა შეგროვება და ამ მონაცემების ანალიზი კვლევის პროცესის ერთ-ერთი საკვანძო და საპასუხისმგებლო ფაზაა. მის სწორად და კვალიფიციურად წარმართვაზე ბევრადაა დამოკიდებული კვლევის საბოლოო შედეგები.

რა არის კვლევის მეთოდი?

კვლევის პროცესში გამოყენებულ საშუალებებს, რომელთაც ობიექტურ დასკვნებამდე მივყავართ, კვლევის მეთოდები ეწოდება.

კვლევის მეთოდებს ორ ძირითად ჯგუფად ყოფენ: თვისებრივ (დაკვირვება, დიალოგი, სიღრმისეული ინტერვიუ, ფოკუსჯგუფები და ა.შ.) და რაოდენობრივ (მაგ., მასობრივი ზეპირი თუ წერილობითი გამოკითხვა – ანკეტირება) მეთოდებად. კვლევის თვისებრივი მეთოდები მიზნად ისახავს საკვლევი საგნის სიღრმისეულ, ხარისხობრივ შესწავლას, ხოლო რაოდენობრივი მეთოდები ადგენს შესასწავლი საგნის რაოდენობრივი გავრცელების სურათს.

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კვლევის პროცესში რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლივი გამოყენება უზრუნველყოფს კვლევის სანდოობასა და მაღალ ხარისხს.

ამავე ქვეთავში განვიხილავთ იმ მეთოდებს, რომლებსაც მასწავლებლები ყველაზე ხშირად იყენებენ პედაგოგიური კვლევების ჩატარების დროს.

5. მონაცემთა ანალიზი და ინტერპრეტაცია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მონაცემთა ანალიზი არის კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და, ამასთანავე, ყველაზე რთული პროცესი. თუ კვლევის სერიოზულ, ღრმა ანალიზზე ვსაუბრობთ, მას მართლ მასწავლებელი ვერ გაართმევს თავს, ანალიზში ჩართულნი უნდა იყვნენ სულ მცირე სოციოლოგი და ფსიქოლოგი; მაგრამ საკუთარი პედაგოგიური კვლევების მარტივი ანალიზი მასწავლებელს დამოუკიდებლადაც შეუძლია წარმართოს.

კვლევის ანალიზის შედეგები მკვლევარ-მასწავლებელს შესაძლებლობას აძლევს, გადავიდეს კვლევის პროცესის შემდგომ ეტაპზე, რაც გულისხმობს **კვლევის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ინტერვენციების სტრატეგიების შემუშავებას, დანერგვასა და მათი ეფექტიანობის შეფასებას**. კვლევის პროცესის ბოლო ეტაპი კვლევის ანგარიშის მომზადებაა.

პედაგოგიური კვლევის მეთოდები

კვლევის რა მეთოდის გამოყენებაა მიზანშეწონილი ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად? ეს ის არსებითი კითხვაა, რომელიც შემდგომი კვლევის წარმატებასა და შედეგების ადეკვატურობას განსაზღვრავს.

განვიხილოთ კვლევის რამდენიმე მეთოდი, რომელთაც მასწავლებლები ყველაზე ხშირად იყენებენ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას.

კვლევის თვისებრივი მეთოდები

დაკვირვება ყველაზე უფრო ხელმისაწვდომი და გავრცელებული მეთოდია პედაგოგიური პრაქტიკის შესასწავლად. ამ ცნების ქვეშ იგულისხმება საკვლევი ობიექტის, პროცესის ან მოვლენის ორგანიზებული აღქმა ბუნებრივ პირობებში.

განასხვავებენ დაკვირვების ორ ტიპს: „უბრალო“ და „ჩართულ“ დაკვირვებას. „უბრალო“ დაკვირვების დროს მკვლევარი საერთოდ არ იღებს მონაწილეობას სიტუაციაში. მაგ., მასწავლებელი წინასწარ შემუშავებული დაკვირვების ოქმის გამოყენებით გარედან აკვირდება, როგორ ემზადებიან მოსწავლეები საახალწლო საღამოსთვის. „ჩართული“ დაკვირვების დროს მასწავლებელი არის არა დამკვირვებელი, არამედ უშუალოდ მონაწილეობს იმ სიტუაციაში, რომელთაც შეისწავლის. მაგ., მასწავლებელი, რომელიც აქტიურად არის ჩართული ზემოთ მომზადებაში, აკვირდება, როგორ ემზადებიან მოსწავლეები საღამოსთვის და დაკვირვების შედეგები გადააქვს დაკვირვების ოქმში. ჩართული დაკვირვების დროს მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს კვლევის დამატებითი მეთოდებიც – არაფორმალური გასაუბრება მოსწავლეებთან ან ინტერვიუ.

დაკვირვების სამ ეტაპს გამოყოფენ: **აღწერითს, ფოკუსირებულსა და შერჩევითს**. ხშირად დაკვირვების ეს სამივე ეტაპი ერთი კვლევის ფარგლებში განხორციელებული თანმიმდევრული ფაზებია.

აღწერით დაკვირვებას მიმართავს მკვლევარი კვლევის საწყის ეტაპზე. მაგ., მასწავლებელი აკვირდება, როგორ ამზადებენ მოსწავლეები საახალწლო საღამოს, აკვირდება ყველაფერს, რაც იქ ხდება, მას სურს გაერკვეს ზოგად სიტუაციაში. ასეთი ტიპის დაკვირვებისთვის დამახასიათებელია დიფუზიურობა, ყურადღება გაფანტულობა, დეტალები იკარგება, მკვლევარის შეფასება ამ დროს არაკონტროლირებადია და მან შეიძლება ისიც ვერ დაინახოს, რაც აუცილებელია. დაკვირვების ეს ეტაპი ზედაპირულობით ხასიათდება და მისი ძირითადი მიზანია დაგვეხმაროს იმის დადგენაში, თუ რაზე უნდა გავაკეთოთ ფოკუსირება.

ფოკუსირებული დაკვირვება დაკვირვების მეორე ეტაპია, როდესაც მკვლევარი მკაფიოდ გამოკვეთს კვლევის კონკრეტულ ელემენტებს. მაგ., საახალწლო საღამოს მომზადების დროს მასწავლებელი აკვირდება, რამდენად აქვთ მოსწავლეებს განვითარებული ერთობლივი მუშაობის უნარები. მაშასადამე, ამ უნარებზე დაკვირვებაა მისი კვლევის ინტერესი.

შერჩევითი დაკვირვების დროს მკვლევარის ინტერესები გარკვეულწილად

ვიწროვდება და მოითხოვს დამკვირვებლის ყურადღების სფეროს კიდევ უფრო დაზუსტებასა და შეზღუდვას, ფოკუსირებული დაკვირვების ეტაპზე გამოყოფილი შესწავლის ერთეულების ამა თუ იმ დამახასიათებელი ნიშნის შესწავლას. მაგ., მასწავლებელი სახალწლო ბეიმის მომზადების დროს აკვირდება, რამდენად აქვთ მოსწავლეებს ერთმანეთის მოსმენისა და აზრების გათვალისწინების უნარი.

რაც უფრო შემოსაზღვრულია დაკვირვება, მით უფრო ზუსტია იგი, მაგრამ მას თავისი სუსტი მხარეც აქვს – შემოსაზღვრული დაკვირვების დროს უფრო დიდია იმის რისკი, რომ შედეგები მხოლოდ პატარა, უმნიშვნელო საკითხს უკავშირდებოდეს.

დაკვირვების ამ მეთოდის ერთ-ერთი ნაკლი ისაა, რომ ის არ იძლევა პედაგოგიური მოვლენების სიღრმისეულად ახსნის საშუალებას. მისი გამოყენებისას შეუძლებელია კვლევისათვის საჭირო სრული ინფორმაციის მოპოვება, მაგრამ ეს უნდა განვიხილოთ, როგორც მეთოდის თავისებურება და არა როგორც მისი ნაკლი. ჩვეულებრივ, ეს მეთოდი გამოიყენება კვლევის საწყის ეტაპებზე სხვა მეთოდებთან ერთად.

გვახსოვდეს, რომ ეფექტიანობის ასამაღლებლად დაკვირვება უნდა იყოს ხანგრძლივი, ობიექტური, სისტემატური, მრავალმხრივი და მასობრივი.

რამდენიმე რჩევა მასწავლებელს, თუ როგორ წარმართოს დაკვირვება:

- თავდაპირველად ჩაინიშნეთ თემები, რომლებსაც გსურთ, რომ დააკვირდეთ (მაგ., მოსწავლეთა თანამშრომლობა);
- გამოყავით დაკვირვების ობიექტი;
- ჩამოაყალიბეთ დაკვირვების მიზანი და თქვენი მოლოდინები;
- განსაზღვრეთ კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეაფასებთ დაკვირვების ობიექტს (მაგ., რა მიმანიშნებს კარგ თანამშრომლობაზე?);
- შეიმუშავეთ დაკვირვების ოქმები;
- ჩამოწერეთ, რას, როდის, რა ხანგრძლივობით და ინტენსივობით დააკვირდებით;
- შედეგები ჩაიწერეთ;
- მიღებული შედეგები გააანალიზეთ.

ინტერვიუ დიალოგის თანამედროვე ფორმაა, რომელიც პედაგოგიკაში სოციოლოგიიდან შემოვიდა. არსებითი განსხვავება დიალოგსა და ინტერვიუს შორის არის ის, რომ ინტერვიუს დროს მკაცრად არის განსაზღვრული ინტერვიუერისა და რესპონდენტის როლები, რაც მკვეთრად არ არის გამიჯნული დიალოგის დროს.

აღნიშნული მეთოდი გამოირჩევა თავისი მიზანმიმართულებით, ჩანს პიროვნების დამოკიდებულება ამა თუ იმ საკითხისადმი, ამიტომ, მაგალითად, „როგორ ფიქ-

რობთ?“ და „რატომ მიგაჩნიათ?“ კითხვები ყველაზე მეტად შედეგიაანია კვლევის ამ მეთოდის გამოყენებისას.

უნდა აღინიშნოს, რომ იგი მეტად რთული და არცთუ ყოველთვის საიმედო მეთოდია. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, ინტერვიუება გამოიყენება, როგორც კვლევის დამატებითი მეთოდი მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად.

მართალია, ინტერვიუერმა წინასწარ უნდა ჩამოაყალიბოს კითხვები, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ზუსტად მიჰყვეს მათ, რადგან სიტუაციამ შეიძლება ახალი კითხვები უკარნახოს მას.

როგორ მოვემზადოთ ინტერვიუსათვის?

1. ჩამოაყალიბეთ კითხვები;
2. გადაარჩიეთ და დააჯგუფეთ ჩამოყალიბებული კითხვები;
3. განსაზღვრეთ კითხვების თანმიმდევრობა;
4. სათანადოდ მოამზადეთ ყველა მასალა თუ მოწყობილობა, რომლებიც ინტერვიუსთვის გესაჭიროებათ.

როგორ წავიყვანოთ ინტერვიუ?

1. აუხსენით რესპონდენტებს ინტერვიუს მიზანი; არ დაგავიწყდეთ ეთიკის ნორმების დაცვა; ინტერვიუს პირველივე წუთებიდან „გაალღვეთ ყინული“, მოიპოვეთ რესპონდენტის ნდობა და გულწრფელობა. მოსწავლეებმა ინტერვიუ უნდა განასხვავონ მასწავლებელთან კომუნიკაციის სხვა ფორმებისაგან. თუ ისინი ინტერვიუს ისე აღიქვამენ, როგორც, მაგალითად, ზეპირ გამოცდას, ისეთ პასუხებს გასცემენ, რომლების მოსმენაც, მათი რწმენით, მასწავლებელს სურს.
2. უმჯობესია, ინტერვიუ ჩაიწეროთ. ამით მიიღებთ ავთენტურ მასალას, უკეთ მოახდენთ კონცენტრირებას რესპონდენტის პასუხებზე და შეგეძლებათ, საჭიროების შემთხვევაში, არაერთხელ მიუბრუნდეთ ჩანაწერს.
3. იყავით აქტიური და ემპათიური მსმენელები – აზრის მსვლელობა რესპონდენტს არ უნდა შეაწყვეტინოთ; მიეცით მათ პაუზის გაკეთების საშუალება, რადგან ფიქრის დროს დაყოვნება ბუნებრივია; მშვიდად მოისმინეთ მათი ყველა აზრი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც არ ეთანხმებით; თავი აარიდეთ დადებითი ემოციის ზედმეტად გამოხატვასაც, რადგან ამ შემთხვევაში რესპონდენტი (აქ: მოსწავლე) იტყვის მხოლოდ იმას, რაც ინტერვიუერს (აქ: მასწავლებელს) მოსწონს.
4. გამოხატეთ ინტერესი რესპონდენტის მიმართ; აგრძნობინეთ, რომ მის აზრს პატივს სცემთ. დაუსვით დაახლოებით ასეთი კითხვები: როგორ უყურებ ამას? რას ფიქრობ ამაზე?

5. თავდაპირველად დაუსვით რესპონდენტს ღია კითხვები, რათა თავისუფლად გამოხატოს აზრი;
6. ინტერვიუს დროს არ გამოხატოთ საკუთარი პოზიცია. ეს გავლენას ახდენს რესპონდენტზე;
7. ინტერვიუს ბოლოს მადლობა გადაუხადეთ რესპონდენტს კვლევაში დახმარებისთვის.

ფოკუსჯგუფი ჯგუფური ინტერვიუს, დისკუსიის სახეობაა. ამ დროს რამდენიმე რესპონდენტს ვესაუბრებით (ყველაზე ეფექტიანია, როდესაც ჯგუფში 8-10 მონაწილეა). ამ მეთოდს „ჯგუფურ დისკუსიასაც“ უწოდებენ. ფოკუსჯგუფის დროს, აზრთა გაცვლის პროცესში, რესპონდენტები უკეთ ავლენენ თავიანთ დამოკიდებულებას პრობლემისადმი, განწყობებსა და ემოციებს, რაც შესაძლებელია მანამდე არცკი ჰქონდათ გაცნობიერებული.

ინტერვიუსთან შედარებით, ფოკუსჯგუფს ის უპირატესობა აქვს, რომ რამდენიმე ადამიანისაგან შემდგარ ჯგუფში ყოველთვის აღმოჩნდება ისეთი, ვინც განსაკუთრებული გულახდილობით გამოირჩევა. ამან კი შეიძლება წაახალისოს დანარჩენებიც, რომ გულახდილად ისაუბრონ. ამასთანავე, ფოკუსჯგუფის დროს რესპონდენტები უფრო თამამები და თავდაჯერებულები არიან.

ფოკუსჯგუფის დროს ყველა მონაწილეს უნდა მიეცეს აზრის თავისუფლად და სრულად გამოთქმის საშუალება. ფოკუსჯგუფის წარმატებას დიდად განსაზღვრავს ჯგუფის წამყვანის, ანუ მოდერატორის ოსტატობა. მისი მთავარი დანიშნულებაა გაუძღვეს დისკუსიას წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით. მოდერატორმა ხელი უნდა შეუწყოს მონაწილეებს, იყვნენ გულახდილები, მაქსიმალურად ჩაერთონ ჯგუფურ დისკუსიაში. ის უნდა იყოს აქტიური მსმენელი და უნდა შეძლოს ჯგუფში მეგობრული, ღია და დადებითი ატმოსფეროს შექმნა. გამოცდილმა მოდერატორმა უნდა შექმნას ისეთი გარემო, რომ ფოკუსჯგუფის ჩატარებისას რესპონდენტებმა თავისუფლად იგრძნონ თავი, თუმცა, ამავე დროს, უნდა აკონტროლოს დისკუსიის მსვლელობა და მოახერხოს ყველა საკვლევი კითხვაზე პასუხის მიღება.

ფოკუსჯგუფის მეთოდის უპირატესობები

ეს მეთოდი მასწავლებელს საშუალებას აძლევს:

- თვალი ადევნოს, თუ როგორ ყალიბდება მონაწილეთა აზრები;
- დაფიქრდეს, რატომ აქვთ ამა თუ იმ საკითხზე სწორედ ასეთი მოსაზრება და არა სხვაგვარი;
- სხვა თვალთ დაინახოს ესა თუ ის საკითხი;

- გამოკვეთოს მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეიძლება არცკი გამოაშკარავებულიყო ფორმალიზებული ინტერვიუს დროს;
- აღმოაჩინოს ახალი თემები და წამოაყენოს ახალი ჰიპოთეზები.

ფოკუსჯგუფი მიზნად არ ისახავს რაიმე გადაწყვეტილების მიღებას, მისი მთავარი დანიშნულებაა, რომ ყველა რესპონდენტს მიეცეს თავისი აზრის გამოთქმის საშუალება.

ისევე, როგორც ინტერვიუ, ფოკუსჯგუფებიც კვლევაში ჩართულ მასწავლებელს საშუალებას აძლევს, რესპონდენტის ვერბალურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიტანოს დასკვნები, რაც გარკვეულწილად ამცირებს შედეგების სანდოობას, რადგან ეს ინფორმაცია შეიძლება ყოველთვის არ შეესაბამებოდეს სინამდვილეს.

ფოკუსჯგუფის მომზადებისას და ჩატარებისას მასწავლებელმა წინასწარ უნდა მოამზადოს დისკუსიის გეგმა და გაითვალისწინოს, რომ ფოკუსჯგუფის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ორ საათს.

ფოკუსჯგუფები კარგად იძლევა კვლევის სხვა მეთოდებთან შეთავსების საშუალებას. ამიტომ იგი ხშირად გამოიყენება, მაგალითად, მასობრივ გამოკითხვასთან ერთად. ფოკუსჯგუფების შედეგად მიღებული თვისებრივი ინფორმაცია, როგორც წესი, ამდიდრებს რაოდენობრივ შედეგებს და სასარგებლო მასალას იძლევა მასობრივი გამოკითხვის კითხვარის შესადგენად.

როგორ გავაანალიზოთ კვლევის თვისებრივი მეთოდების შედეგად მიღებული მონაცემები?

არ არსებობს თვისებრივი მეთოდების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავების უნიფიცირებული მიდგომა. ვინაიდან თავად ეს მეთოდები არ არის ფორმალიზებული, მათი შედეგების დამუშავების ფორმალიზება ძალიან რთულია, ზოგ შემთხვევაში კი – შეუძლებელი. მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ინტერვიუს შედეგების დამუშავება ისევე, როგორც ნებისმიერი თვისებრივი მონაცემებისა, არ ხდება იზოლირებულად. მათი აზრით, მონაცემთა ანალიზი პირველი ინტერვიუს დასრულებისთანავე უნდა დაიწყოს, რადგანაც შედეგების ანალიზი დაგვეხმარება, უკეთ შევარჩიოთ კითხვები შემდეგი ინტერვიუებისათვის. მკვლევართა ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ანალიზის დაწყება ინტერვიუების დამთავრებამდე ნაადრევია.

ფოკუსჯგუფის ჩატარების შემდეგ ჩაწერილი საუბარი სრულად უნდა იქნას გადართანილი ქალაქდღმე. იქმნება საუბრის ტრანსკრიპტი, რის საფუძველზეც მკვლევარი

ამზადებს ანგარიშს, რომელიც, კვლევის მიზნების თანახმად, შეიცავს პასუხებს საკვლევ კითხვებზე.

ვინაიდან ფოკუსჯგუფი ახლოს დგას სიღრმისეულ ინტერვიუსთან, ამ ორი მეთოდის გამოყენების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება შესაძლებელია ანალოგიურად. მათი ანგარიშები ანალიტიკური დოკუმენტებია, რომლებიც, როგორც წესი, შეიცავს ციტატებს რესპონდენტთა საუბრიდან, ასევე მკვლევრის დასკვნებს და, ხშირად, პრაქტიკულ რეკომენდაციებს.

დაკვირვების შედეგების დამუშავება ეყრდნობა დაკვირვების ოქმებში გაკეთებულ ჩანაწერებს. ჩანაწერების შესწავლის დროს მკვლევარი გამოყოფს იმ დეტალებს, შემთხვევებს, ფაქტებს და ციტატებს, რომლებიც მნიშვნელოვანია შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით და ცდილობს გააკეთოს დასკვნები.

რაოდენობრივი კვლევები

აღზრდის, განათლების, სწავლების პროცესები კოლექტიური ხასიათისაა, ამიტომ პედაგოგიური კვლევების ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდი არის მასობრივი გამოკითხვა. ეს შეიძლება იყოს როგორც ზეპირი ინტერვიუ, ისე წერილობითი გამოკითხვა, ანუ ანკეტირება.

ანკეტირება არის ინტერვიუს სტრუქტურირებული (ფორმალიზებული) სახე. განსხვავება ანკეტირებასა და ინტერვიუს შორის ის არის, რომ ანკეტირებისას ინტერვიურს რესპონდენტის პასუხებზე უშუალო რეაგირების საშუალება არა აქვს, მას არ შეუძლია არც დამაზუსტებელი კითხვების დასმა. ამასთანავე, ინტერვიუსაგან განსხვავებით, რომლის დროსაც ძირითადად ღია კითხვებია გამოყენებული, ანკეტირებისას შეკითხვები უმეტესწილად დახურულია.

გავრცელებულია შეხედულება, რომ ინტერვიუს ორგანიზება გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, მაშინ, როცა ანკეტირება მონაცემთა შეგროვების მარტივი და უპრობლემო ინსტრუმენტია. ეს არ არის სწორი. მართალია, ანკეტირება ზოგადად ბევრ დროს და შრომას მონაცემთა შეგროვებისას, მაგრამ მას თავისი სირთულეები ახლავს. ანკეტირების ვარგისიანობა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია კითხვების ხარისხზე. თვით მაშინაც კი, როცა კითხვა კორექტულად არის ფორმულირებული, ანკეტირების შედეგი მოსალოდნელზე ნაკლებია, რადგან იგი საკითხის სიღრმისეული დამუშავების საშუალებას ნაკლებად იძლევა.

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ერთ-ერთ საერთაშორისო სკოლის მიერ ჩატარებული კვლევა, რომლისთვისაც მონაცემთა შეგროვების მეთოდად ანკეტირება იყო გამოყენებული. პროექტში მონაწილე ერთ-ერთმა მასწავლებელმა შეესვებუ-

ლი ანკეტებიდან ამოარჩია კითხვები, რომლებიც ეთიკურ კატეგორიას ეკუთვნოდა და შეადარა ერთმანეთს საჯარო და კერძო სკოლების მონაცემები (ამ უკანასკნელის საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო მოსწავლეებში ეთიკური ღირებულებების ჩამოყალიბება). შედეგების ანალიზმა გააოცა მასწავლებელი – აღმოჩნდა, რომ ეთიკურ ღირებულებებზე ორიენტირებული სკოლის მოსწავლეები სწორედ უფრო არა-ეთიკურები, უხეშები და უდისციპლინოები აღმოჩნდნენ. სურათის სრულყოფისათვის მასწავლებელმა გადაწყვიტა, ამავე მოსწავლეებთან ჩატარებინა თვისებრივი კვლევა – ინტერვიუ, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა, თუ რა მიანდა უხეშობად, უზრდელობად, უდისციპლინობად ერთი სკოლის მოსწავლეებს და რა – მეორესას. თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ მათ აბსოლუტურად განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდათ მორალურ და ეთიკურ ღირებულებებზე. მაგ., ინტერვიუს დროს მასწავლებელმა სთხოვა მოსწავლეებს დაეკონკრეტებინათ, რას გულისხმობდნენ „სკოლაში, ტრანსპორტში ან სხვა საჯარო ადგილებში რაიმეს განზრახ გაფუჭებაში“. საჯარო სკოლის მოსწავლის პასუხი ასეთი იყო: „მე და ჩემს რამდენიმე თანაკლასელს ცუდი ნიშნები და ბევრი გაცდენა გვქონდა, ამიტომ მშობელთა კრების წინ საკლასო ჟურნალი მოვიპარეთ და დავწვით“, ხოლო კერძო სკოლის მოსწავლისა – ასეთი: „ქიმიის კაბინეტში ლომონოსოვის სურათს უღვაშები მივახატე“.

მასწავლებლის მიერ ჩატარებული ეს მცირე კვლევა გვიჩვენებს, რომ შედეგების სანდოობის გასაზრდელად საჭიროა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ერთობლივად გამოყენება.

კვლევებში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ანკეტები: **დახურული, ღია, სახელობითი, ანონიმური.**

ანკეტა დახურულია, როდესაც კითხვას თან ახლავს პასუხის შესაძლო ვარიანტების ჩამონათვალი. მაგ.:

არის შემთხვევები, როცა შენ სხვებთან ერთად ცელქობ და სისულელეებს ჩადიხარ?

ძალიან ხშირად ხშირად ხანდახან არასდროს

ღიაა კითხვა, რომელიც არ სთავაზობს რესპონდენტებს პასუხის შესაძლო ვარიანტებს, მაგალითად, ასეთი:

რა ღირსება და ნაკლი ჰქონდა თქვენს ერთობლივად მუშაობას?

.....

ამ ტიპის კითხვების გამოყენება მიზანშეწონილია, რადგან ისინი რესპონდენტს არ ზღუდავს პასუხის გაცემის დროს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მათი სტატისტიკური დამუშავება ძალიან შრომატევადია. ამიტომ ღია კითხვებს უფრო ფართოდ იყენებენ თვისებრივი კვლევებისთვის.

ანონიმური ანკეტის უპირატესობა სახელობით ანკეტასთან შედარებით ის არის, რომ ხშირად ანონიმურობის დაცვის შემთხვევაში რესპონდენტი უფრო გულწრფელია და, შესაბამისად, მის მიერ გაცემული პასუხები უფრო ზუსტი და სანდოა.

როგორ უნდა მოემზადოს მასწავლებელი ანკეტირებისთვის?

გთავაზობთ რამდენიმე რჩევას:

- შეძლებისდაგვარად დეტალურად გაიაზრეთ, რისთვის გჭირდებათ რესპონდენტთა პასუხები. რაც უფრო ზუსტად გეჩვენებათ ჩამოყალიბებული კვლევის მიზანი, მით უფრო სტრუქტურირებული იქნება ანკეტა;
- კითხვების ფორმულირებისას კიდევ ერთხელ გააანალიზეთ, რამდენად მიგალწევინებთ ეს კითხვები შედეგს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიღებთ ბევრ უსარგებლო მონაცემს და ნაკლებ მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- უარი თქვით კომპლექსურ, რთულად გასაგებ, ორაზროვან კითხვებზე;
- სამუშაოს დაწყების წინ იფიქრეთ იმაზე, თუ ვინ მოახდენს მონაცემთა კოდირებას და იზრუნებს მონაცემთა კომპიუტერში შეყვანაზე.

ყოველთვის არ არის საჭირო, რომ კითხვარი მასწავლებელმა შეადგინოს. არსებობს სხვადასხვა საკვლევი თემის სტანდარტიზებული კითხვარები, რომელთა ადაპტირება და საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისთვის გამოყენება თავისუფლად არის შესაძლებელი.

როგორ გავაანალიზოთ რაოდენობრივი კვლევის მეთოდების შედეგად მოპოვებული მონაცემები?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევის ანალიზი არის კვლევის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და, ამასთანავე, ყველაზე რთული ეტაპი. თუ რაოდენობრივი კვლევის სერიოზულ, ღრმა ანალიზზე ვლავარაკობთ, რა თქმა უნდა, ამას მასწავლებელი მარტო ვერ გაართმევს თავს და მასში უნდა ჩაერთონ სოციოლოგიც და ფსიქოლოგიც, მაგრამ საკუთარი პედაგოგიური კვლევების მარტივი ანალიზის ჩატარება მასწავლებელს დამოუკიდებლადაც შეუძლია.

ის, თუ როგორ უნდა ჩატარდეს მონაცემების რაოდენობრივი ანალიზი, შევეცდებით წარმოვიდგინოთ კონკრეტული მაგალითის საფუძველზე: მასწავლებლებელმა მიზნად დაისახა გამოეკვლია, თუ რამდენი მოსწავლეა ჩართული სკოლის მიერ შეთავაზებულ კლასგარეშე მომსახურებაში (წრეებში), ძირითადად, რომელ წრეებში არიან ისინი გაერთიანებულნი, ასევე რომელ მათგანს ანიჭებენ უპირატესობას სქესისა და სწავლების საფეხურების მიხედვით.

ამ მიზნით მასწავლებელმა ჩამოაყალიბა კვლევის ამოცანები. კერძოდ: კითხვარის შემუშავება, კვლევის ჩატარება, მონაცემთა დამუშავება და კვლევის ანგარიშის დაწერა.

მასწავლებლის მიერ შემუშავებული კითხვარი ასეთი იყო:

1. სქესი:

- 1.1. გოგონა
- 1.2. ვაჟი

2. სწავლების საფეხური:

- 2.1. დაწყებითი
- 2.2. საბაზო
- 2.3. საშუალო

3. დადისართ რომელიმე წრეზე?

- 3.1. დიახ (*გადაღით მე-4 შეკითხვაზე*)
- 3.2. არა

4. რომელ წრეზე დადისართ?

- 4.1. ცეკვის;
- 4.2. მუსიკის;
- 4.3. ხატვის;
- 4.4. ფოტოხელოვნების;
- 4.5. კარატეს.

მონაცემთა ანალიზისთვის აუცილებელია, რომ პასუხები გადაყვანილ იქნას რიცხობრივ მაჩვენებლებში. ამ პროცესს კოდირება ეწოდება.

როგორც წესი, კოდირება ხდება ან კითხვარის შედგენისას, ან მონაცემების მოპოვების შემდეგ. დახურულ შეკითხვებზე პასუხების კოდირება კითხვარის შედგენისას

ხდება, ღია შეკითხვებზე პასუხების კოდირება კი შეუძლებელია კითხვარის შევსებამდე. ასეთ დროს კოდირების ორი ძირითადი გზა არსებობს: 1. შესაძლოა გამოყენებულ იქნეს წინასწარ დადგენილი კოდების სქემა. მაგალითად, სწავლების საფეხურის მიხედვით მოსწავლეები შეგვიძლია მივაკუთვნოთ წინასწარ დადგენილ კატეგორიებს – დაწყებითს, საბაზოს, საშუალოს; 2. ღია კითხვების არსებობის შემთხვევაში, მოსწავლეთა პასუხები შეიძლება დაჯგუფდეს გარკვეული კატეგორიების მიხედვით და შემდგომ მიენიჭოს კოდები. მაგალითად, ჩვენს შემთხვევაში ღია რომ ყოფილიყო შეკითხვა, თუ რომელ წრეებზე დადიან მოსწავლეები, უნდა მოგვეხდინა შემოსული პასუხების კატეგორიზაცია, შემდგომ კი – კოდების მინიჭება. მაგრამ ამ დროს დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ეს კატეგორიები არ არის ურთიერთგამომრიცხავი და თითოეული მათგანი განსხვავებულ ინფორმაციას შეიცავს, ანუ თითოეული მოსწავლე/რესპონდენტი ცვლადის მხოლოდ ერთ კატეგორიაში უნდა იყოს შეყვანილი (მაგ., მოსწავლე დადის სახელოვნებო წრეზე ან სპორტულ სექციაზე).

როგორც აღვნიშნეთ, კოდირება დახურული შეკითხვებისთვის კოდების მიწერით იწყება. ეს, ჩვეულებრივ, კითხვარის შედგენისას ხდება. მოსალოდნელი შეკითხვები და მათი შესაბამისი კოდები კითხვარში იბეჭდება. თითოეულ კითხვარს საკუთარი საიდენტიფიკაციო ნომერი (IDD) უნდა ჰქონდეს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყოს გარკვეული კითხვარის მოძებნა და მონაცემების შემოწმება. ამავდროულად, უნდა უზრუნველვყოთ ინფორმაციის კონფიდენციალობა.

დავუშვათ, ჩვენს გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 10-მა მოსწავლემ. აღნიშნული მონაცემები შეგვიძლია შევიტანოთ ცხრილშიც. შესაძლებელია მათი ხელით დათვლა, ან Excel-ის ცხრილში შეტანა მისი მეშვეობით დათვლა.

ID #	1.1 გოგონა	1.2 ვაჟი	2.1 დაწყებითი	2.2 საბაზო	2.3 საშუალო	3.1 დიახ	3.2 არა	4.1 მეკვა	4.2 მუსიკა	4.3 ხატვა	4.4 ფოტოხელოვნება	4.5 კარატე
01	1		1			1		1				
02		1		1		1			1			
03		1			1	1			1			
04	1				1	1			1			
05		1			1	1			1			
06	1			1		1						1
07		1	1			1			1			
08	1			1		1						1
09		1			1	1				1		
10		1	1			1				1		
ჯამი	4	6	3	3	4	10		1	5	2		2

მიღებული მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ მასწავლებელმა გამოკითხა 6 ვაჟი და 4 გოგონა.


აღნიშნული მონაცემის წარმოდგენა მასწავლებელს შეუძლია რაოდენობრივი ან პროცენტული მონაცემების სახით.

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა:

გოგონა	ვაჟი
4 (40%)	6 (60%)

მონაცემების წარმოდგენა შესაძლებელია, აგრეთვე, სვეტოვანი დიაგრამის სახითაც.

გამოკითხულ მოსწავლეთა რაოდენობა



გამოკითხულ მოსწავლეთაგან 3 სწავლობს დაწყებით საფეხურზე, 3 – საბაზო საფეხურზე, ხოლო 4 – საშუალო საფეხურზე.

აღნიშნული მონაცემის წარმოდგენაც შესაძლებელია როგორც ცხრილის, ისე დიაგრამის სახით.


მოსწავლეთა განაწილება სწავლების საფეხურების მიხედვით:

დაწყებითი	საბაზო	საშუალო
3 (30%)	3 (30%)	4 (40%)

მიღებული მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ მოსწავლეთა 100% დადის წრეზე.

რაც შეეხება წრეების არჩევანს, მიღებული მონაცემი შეგვიძლია შემდეგნაირად წარმოვადგინოთ ცხრილში:


მოსწავლეთა განაწილება სწავლების საფეხურების მიხედვით



ციკლა	მუსიკა	ხატვა	კარატე
1 (10%)	4 (40%)	3 (30%)	2 (20%)

ამავე მონაცემის წარმოდგენა დიაგრამის სახითაც შეგვიძლია:

მოსწავლეთა განაწილება ზრეების მიხედვით



მაშასადამე, ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს მუსიკის წრე, არც ერთი მოსწავლე არ დადის ფოტოხელოვნების სექციაზე.

რაც შეეხება სქესის მიხედვით მონაცემთა დამუშავებას, აღმოჩნდა, რომ გოგონებიდან 2 დადის კარატეზე, 1 – ცეკვაზე და 1 – სიმღერაზე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გამოკითხული გოგონები უპირატესობას კარატეს ანიჭებენ.

რაც შეეხება ვაჟებს, 4 მათგანი დადის მუსიკაზე, ორი – ხატვაზე. მაშასადამე, მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვაჟები უპირატესობას მუსიკაზე სიარულს ანიჭებენ.


თუ მონაცემებს გავაანალიზებთ სწავლების საფეხურების მიხედვით, დავინახავთ, რომ დაწყებით საფეხურზე 1 მოსწავლე დადის ცეკვაზე, 1 – მუსიკაზე და 1 – ხატვაზე. საბაზო საფეხურზე 1 მოსწავლე დადის მუსიკაზე, 2 კი – კარატეზე, ხოლო საშუალო საფეხურზე 3 მოსწავლე დადის მუსიკაზე, ხოლო 1 – ხატვაზე.

მონაცემები ცხრილის სახით ამგვარად შეგვიძლია წარმოვადგინოთ:

წრე	დაწყებითი	საბაზო	საშუალო
ცეკვა	1 (10%)		
მუსიკა	1(10%)	1(10%)	3 (30%)
ხატვა	1(10%)		1 (10%)
კარატე		2 (20%)	

თუ აღნიშნულ მონაცემს წარმოვადგენთ დიაგრამის სახით, მაშინ მივიღებთ შემდეგ სურათს:

წრეებზე მოსიარულე მოსწავლეები სწავლების საფეხურის მიხედვით



დასკვნები და რეკომენდაციები:

1. გამოიკითხა სკოლის 10 მოსწავლე, რომელთაგან 3 სწავლობს დაწყებით საფეხურზე, 3 – საბაზო საფეხურზე, ხოლო 4 – საშუალო საფეხურზე. მათგან 4 არის გოგონა, 6 კი – ვაჟი;
2. გამოკითხულ მოსწავლეთაგან ყველა (100 %) დადის წრეზე;
3. გამოკითხული მოსწავლეებიდან 1 დადის ცეკვაზე, 4 – მუსიკაზე, 3 – ხატვაზე და 2 – კარატეზე. არცერთი მოსწავლე არ დადის ფოტოხელოვნების წრეზე. მაშასადამე, ფოტოხელოვნების წრე ნაკლებად პოპულარულია მოსწავლეებში. საჭიროა მისი მეტად პოპულარიზაცია, ან შესაძლებელია მისი გაუქმება სკოლაში.
4. გამოკითხულ გოგონათაგან 2 დადის კარატეზე, 1 – ცეკვაზე და 1 – სიმღერაზე. რაც შეეხება ვაჟებს, 4 მათგანი დადის მუსიკაზე, ხოლო 1 – ხატვაზე.
5. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთაგან 1 დადის ცეკვაზე, 1 – მუსიკაზე, 1 – ხატვაზე, არცერთი – კარატეზე;
6. საბაზო საფეხურის მოსწავლეთაგან 1 დადის მუსიკაზე, ხოლო 2 – კარატეზე. არცერთი მათგანი არ დადის ცეკვასა და ხატვაზე.
7. რაც შეეხება საშუალო საფეხურს, 3 მოსწავლე დადის მუსიკაზე, ხოლო 1 ხატვაზე. არცერთი მოსწავლე არ დადის ცეკვასა და კარატეზე.

ჩვენ წარმოვადგინეთ ძალზე მცირე შერჩევაზე ჩატარებული კვლევა, რომლის განზოგადებაც, ბუნებრივია, არ შეგვიძლია მთელ სკოლაზე. მეტად დიდ შერჩევაზე ჩატარებული კვლევა მოგვცემდა ინფორმაციას, თუ რომელ წრეებს ანიჭებენ უპირატესობას მოსწავლეები სწავლების სხვადასხვა საფეხურზე, რაც სკოლას მისცემდა შესაძლებლობას, შესაბამისად შეერჩია წრეები, მოეწვია პედაგოგები, ან დაეგემა შეხვედრები მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან არაპოპულარული წრის/წრეების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაწოდებლად.

რა არის კვლევის ეთიკა?

კვლევის პროცესში აუცილებელია ეთიკური ნორმების დაცვა, რათა მოვიპოვოთ კვლევაში ჩართულ პირთა ნდობა. მკვლევარმა უარი უნდა განაცხადოს დევიზზე – მიზანი ამართლებს საშუალებას. ეთიკის დაცვა განსაკუთრებით საჭიროა პედაგოგიური კვლევების ჩატარების დროს, რადგან აქ სამიზნე ჯგუფს, ძირითადად, მოსწავლეები წარმოადგენენ. პედაგოგიური კვლევები უნდა წარიმართოს იმგვარად, რომ არ დაზარალებდეს არცერთი ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი. მათი მიზანი უნდა იყოს დადებითი აღმზრდელობით-სასწავლო ეფექტის მიღწევა.

როგორ დავიცვათ კვლევის ეთიკა?

(რჩევები კვლევაში ჩართული მასწავლებლებისთვის)

გთავაზობთ რამდენიმე რეკომენდაციას, რომლებიც დაგეხმარებათ პრაქტიკის კვლევისას ეთიკური პრინციპების დაცვაში:

- **ეთიკური ხედვა** – კვლევის პროცესში ხშირად წარმოიქმნება უხერხული სიტუაციები, რომელთა თავიდან აცილება გაგიადვილდებათ, თუ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ჩამოაყალიბებთ საკუთარ ეთიკურ ნორმებს, განსაზღვრავთ ფასეულობებს და იმოქმედებთ მათ მიხედვით;
- **ინფორმირებული თანხმობა** – თუ საჭიროება მოითხოვს, უნდა მოიპოვოთ კვლევაში მონაწილე პირების თანხმობა. მაგალითად, თუ თქვენ იყენებთ ფოტოსურათებს ან ვიდეოჩანაწერებს, როგორც მონაცემებს, და განზრახული გაქვთ მათი საჯაროდ გამოტანა (მაგალითად, კონფერენციაზე პრეზენტაციის სახით), ასეთ შემთხვევაში აუცილებელია კვლევაში მონაწილე პირების თანხმობა მასალების გამოყენებაზე;
- **კონფიდენციალობის დაცვა** – კონფიდენციალობის დაცვა კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთიკური ასპექტია. იგი იცავს კვლევის მონაწილეებს უხერხულობისა ან ინფორმაციის გამჟღავნებისაგან. მაგალითად, პედაგოგთა გუნდს, რომელიც პასუხისმგებელია სკოლის მასშტაბით პრაქტიკის კვლევის ჩატარებაზე, სავარაუდოდ, კოლეგები გაანდობენ საკუთარ დამოკიდებულებას სკოლის ცხოვრების ამა თუ იმ ნაკლოვანების შესახებ. კვლევის ჩამტარებელმა პედაგოგებმა არ უნდა დაუშვან თავიანთი კოლეგების მიერ მოწოდებული ინფორმაციის გახმაურება;
- **კვლევაში ჩართულ პირთა პატივისცემა** – პრაქტიკის კვლევა, ისევე როგორც ნებისმიერი სახის კვლევა, არ უნდა იყოს აგებული ტყუილზე. მაგალითად, თუ ინტერვიუს დროს კოლეგა, შშობელი, მოსწავლე ან კვლევაში ჩართული ნებისმიერი პირი რაიმეს გაგიმხელთ და გთხოვთ, რომ საუბრის შინაარსი კვლევაში არ აისახოს, მიუხედავად მოწოდებული ინფორმაციის მნიშვნელოვნებისა, თქვენ პასუხისმგებელი ხართ, პატივი სცეთ ინტერვიუერის თხოვნას კონფიდენციალობაზე. არ შეიძლება ფარული მიკროფონის გამოყენება ინტერვიუერის საუბრის ჩასაწერად. თუ საუბრის ჩაწერა გსურთ, მოიპოვეთ თანხმობა კვლევაში ჩართული პირებისგან;
- **სიზუსტე** – მონაცემების სიზუსტეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პრაქტიკის კვლევისათვის. არაეთიკური და არამეცნიერულია მონაცემების გაყალბება იმისთვის, რომ გაამყაროთ საკუთარი აზრი ან მნიშვნელობა შესძინოთ მას. პირადი შეხედულების გასამყარებლად მონაცემთა გაყალბების ნებისმიერი მცდელობა არაეთიკურია.

დასკვნის სახით დავძენთ, რომ პრაქტიკის კვლევაში ჩართული პედაგოგებმა უნდა შეიმუშაონ ეთიკური ხედვა, რაც საშუალებას მისცემს მათ, მიიღონ სწორი გადაწყვეტილება, როდესაც რთული ეთიკური დილემის პირისპირ აღმოჩნდებიან.

როგორ მივდივართ ქმედებამდე (ინტერვენციამდე)?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პრაქტიკის კვლევის აუცილებელი კომპონენტი გახლავთ ინტერვენციები და ამ დროს გამოყენებული სტრატეგიების ეფექტიანობის შეფასება, მაგრამ სანამ მასწავლებელი კვლევის ამ ეტაპამდე მივა, მან უნდა განსაზღვროს საკვლევი თემა, ჩამოაყალიბოს კვლევის მიზანი, განსაზღვროს სამიზნე ჯგუფი, საკვლევი კითხვები, შეარჩიოს კვლევის შესაბამისი მეთოდები და მოახდინოს შეგროვილ მონაცემთა ანალიზი, რომლის საფუძველზეც დაგეგმავს ჩარევის (ინტერვენციის) სტრატეგიებს.

გთავაზობთ პრაქტიკის კვლევის გეგმის ნიმუშს, რომელიც სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე შეიმუშავა თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგთა ჯგუფმა:

- **საკვლევი თემის განსაზღვრა** – სკოლაში გამოიკვეთა შემდეგი პრობლემა: პარალელური მეხუთე კლასების მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები იყო დაბალი. ამას ადასტურებდა მოსწავლეთა შემაჯამებელი შეფასების შედეგებიც; მოსწავლეები ემოციურად რეაგირებდნენ დაბალ ნიშნებზე; შშობლები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ პედაგოგების მიმართ დაწერილი ქულების გამო.

მასწავლებელთა კვლევის ჯგუფმა გამოკვეთილი პრობლემები დაუკავშირა იმ ფაქტს, რომ მეხუთე კლასიდან მოსწავლეები განმავითარებელთან ერთად ფასდებიან განმსაზღვრელი შეფასებით, რასთან შეგუებაც მათ უჭირთ.

აქედან გამომდინარე, პედაგოგთა ჯგუფმა საკვლევი საკითხი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: **„განმსაზღვრელ შეფასებაზე გადასვლით გამოწვეული პრობლემები დაწყებით საფეხურზე და მათი გადაჭრის გზები“.**

კვლევის მიზნად განისაზღვრა: მე-5 კლასში მოსწავლეთა დაბალი აკადემიური შედეგების გამომწვევი მიზეზების დადგენა, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა, განხორციელება და მიღწეული შედეგების შეფასება.

- **სამიზნე ჯგუფი** – მე-4 და მე-5 კლასის მოსწავლეები.

- **საკვლევი კითხვების ფორმულირება** – კვლევის ჯგუფმა განსაზღვრა რა კვლევის მიზანი, ჩამოაყალიბა საკვლევი კითხვები, რომლებზეც პასუხების გაცემა მასწავლებელთა კვლევის ჯგუფს დაეხმარა კვლევის სწორი მიმართულების არჩევაში.

კვლევის მთავარი კითხვა იყო – რა არის დაწყებით საფეხურზე, კერძოდ, მე-5 კლასში, განმსაზღვრელი შეფასების შემოღებით გამოწვეული პრობლემების მიზეზები?

კვლევის მთავარ კითხვაზე პასუხის გასაცემად მკვლევართა ჯგუფმა ჩამოაყალიბა შემდეგი ქვეკითხვები:

- რამდენად აკმაყოფილებს მასწავლებლების მიერ გაცემული განმავითარებელი კომენტარები ეფექტიანი უკუკავშირის კრიტერიუმებს?
- იყენებენ თუ არა მასწავლებლები მე-5 კლასებში განმსაზღვრელთან ერთად ეფექტიან განმავითარებელ შეფასებას?
- რატომ იწვევს განმსაზღვრელი შეფასება მშობლების პროტესტს?
- იცნობენ თუ არა მშობლები მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმებს?
- უზიარებენ თუ არა პედაგოგები ერთმანეთს საკუთარ გამოცდილებას მოსწავლის შეფასების პროცესში წარმოქმნილი სირთულეებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ?

- **მონაცემთა შეგროვება და ანალიზი** – საკვლევი კითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებული იყო კვლევის შემდეგი მეთოდები:

- ჩატარდა მასწავლებლებთან ფოკუსჯგუფი, რომლის მიზანი იყო იმის დადგენა, რამდენად იცნობდნენ მასწავლებლები ეფექტიანი უკუკავშირის პრინციპებს და რამდენად იყენებდნენ მათ პრაქტიკულ საქმიანობაში, ასევე, რამდენად თანამშრომლობდნენ კოლეგები შეფასების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების გადასაჭრელად.
- გაანალიზდა მოსწავლეთა ნამუშევრებზე მასწავლებლების მიერ გაკეთებული განმავითარებელი კომენტარები მათი ეფექტიანობის დადგენის მიზნით.
- ჩატარდა მშობლებთან ფოკუსჯგუფი, რომლის მიზანი იყო მშობლების უკმაყოფილების მიზეზის დადგენა და იმის გარკვევა, რამდენად იცოდნენ მშობლებმა, რა კრიტერიუმებით ფასდებოდა მათი შვილების ცოდნა.
- მე-4 და მე-5 კლასებში განხორციელდა ფოკუსირებული დაკვირვება, რომლის მიზანი იყო მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასების ეფექტიანობისა და განმსაზღვრელი შეფასების გამჭვირვალობის დადგენა.

● **კვლევის შედეგების ანალიზი** – კვლევის შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ:

- მე-4 კლასებში მასწავლებლები მოსწავლეებს აფასებდნენ ინდივიდუალურად შემუშავებული სიმბოლოებით (მაგალითად, მზე, გაღიმებული მზე, „ყოჩაღ“, ღიმილიანი სტიკერი, ვარსკვლავი და ა.შ.) და ნაკლებად კეთდებოდა აქცენტი მოსწავლეთა ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. ასევე, იშვიათად სთავაზობდნენ მოსწავლეებს კონკრეტულ რეკომენდაციებს უკეთესი შედეგების მისაღწევად. გაცემული რეკომენდაციები იყო ზოგადი და ბუნდოვანი;
- არც მშობლები და არც მოსწავლეები არ იცნობდნენ იმ კრიტერიუმებს, რომელთა მიხედვითაც მასწავლებლები აფასებდნენ მოსწავლეებს;
- მეოთხე კლასში მასწავლებლები განმავითარებელი შეფასების მიცემის დროს იყვნენ ბევრად უფრო ღმობიერები, ვიდრე მეხუთეში ქულებით შეფასების დროს;
- მეხუთე კლასის მასწავლებლებს გადაჭარბებული მოთხოვნები და მოლოდინები ჰქონდათ მოსწავლეთა მიმართ, რადგან ისინი ნაკლებად იცნობენ მეოთხე კლასის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების მისაღწევ შედეგებს და მოსწავლეთა შესაძლებლობებს;
- მეხუთე კლასიდან განმავითარებელი შეფასება ნაკლები ინტენსივობით ხორციელდებოდა, ამიტომ განმავითარებელი კომენტარებს უმეტესად ზოგადი ხასიათის ჰქონდა.

● **ჩარევის (ინტერვენციის) დაგეგმვა:**

გაანალიზებულ შედეგებზე დაყრდნობით დაიგეგმა შემდეგი ინტერვენციები:

- დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებლის მიერ დაწყებითი საფეხურის სტანდარტის დეტალურად გაცნობა და გაანალიზება;
- შეფასების ურთიერთშეთანადებული სისტემის შემუშავება მე-4 და მე-5 კლასებისათვის, ანუ შეფასების კრიტერიუმების დაახლოება; შეფასების რუბრიკების შექმნა მე-4 კლასში კონკრეტული სასწავლო აქტივობებისათვის მე-5 კლასის პედაგოგებთან ერთად;
- შეფასების კრიტერიუმების გაცნობა მშობლებისა და მოსწავლეებისათვის;
- მასწავლებელთა გადამზადება ეფექტიანი განმავითარებელი კომენტარის პრინციპების გაცნობისა და გამოყენების მიზნით;
- მე-5 კლასში მოსწავლეთა შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი და შედეგების გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების მიცემა.

ამის შემდეგ ჯგუფმა დაიწყო დაგეგმილი ინტერვენციები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ინტერვენციები საჭიროებენ შეფასებას, რათა დადგინდეს, რომელი

ინტერვენცია იყო მეტად ეფექტიანი, რომელი – ნაკლებად. ინტერვენციების შედეგების ანალიზის საფუძველზე კვლევის ჯგუფმა უნდა შეიმუშავოს რეკომენდაციები როგორც საკუთარი, ისე კოლეგების პედაგოგიური პრაქტიკის გასაუმჯობესებლად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სკოლაში თანამშრომლობას, სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებასა და, შესაბამისად, მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებას.

როგორ გავაფორმოთ კვლევის ანგარიში?

მას შემდეგ, რაც მასწავლებელს კვლევის დღიურში დოკუმენტირებული აქვს პრაქტიკის კვლევის ყველა ეტაპი – იდენტიფიცირებული საკვლევი საკითხი, შემუშავებული სამოქმედო გეგმა, ჩარევა და მისი შედეგების ანალიზი, შეფასება, – იგი უკვე იწყებს კვლევის ანგარიშის მომზადებას.

კვლევის ანგარიშის გაფორმების დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი კომპონენტები:

- **სათაური** – პრაქტიკის კვლევის სათაური ჩამოყალიბებული უნდა იყოს ლაკონურად, მასში უნდა იკითხებოდეს კვლევის საგანი და ფოკუსი;
- **სარჩევი** – ნაშრომს აუცილებლად წინ უნდა უძღოდეს სარჩევი, რომელშიც მითითებული იქნება კვლევის ანგარიშში გამოყოფილი თავები და ქვეთავები, ცხრილებისა და გრაფიკების ჩამონათვალი შესაბამისი გვერდების მითითებით. სარჩევი ნაშრომს აძლევს სტრუქტურირებულ სახეს და მკითხველს უადვილებს ტექსტში ორიენტაციას;
- **შესავალი** – მისი მიზანია საკვლევი სივრცის შექმნა და მკითხველის მოპოვება. შესავალში წარმოჩენილი უნდა იყოს საკვლევი საკითხის, პრობლემის აქტუალურობა; ნათლად უნდა იყოს ფორმულირებული კვლევის მიზანი; სასურველია, დასაწყისშივე იყოს მოცემული ნაშრომის სტრუქტურა, ძირითადი დასკვნები, რომლებშიც მოკლედ იქნება შეჯამებული ნაშრომის თითოეული ნაწილი, ასევე მიღებული შედეგები და მათი ანალიზი. ამგვარად სტრუქტურირებული შესავალი კვლევის ანგარიშს უფრო კარგად აღსაქმელსა და გამჭვირვალეს ხდის;
- **ლიტერატურის მიმოხილვა** – მიმოხილული და გაანალიზებული უნდა იყოს ამ საკითხებზე არსებული წყაროები;
- **კვლევის დიზაინი** – კვლევის ანგარიშის ამ ნაწილში ჩამოყალიბებული უნდა იყოს ძირითადი საკვლევი კითხვები; მითითებული უნდა იყოს სამიზნე ჯგუფი, კვლევის მეთოდები, როგორ განხორციელდა მონაცემთა ანალიზი და რა მიგნებები გამოიკვეთა, ასევე, რა ქმედებები/ინტერვენციები დაიგეგმა და როგორ განხორციელდა ისინი;

- ქმედებების/ინტერვენციების შედეგების შეფასება – ამ ნაწილში გაანალიზებული უნდა იყოს, რა გზით/მეთოდით შეფასდა განხორციელებული ინტერვენციის შედეგანობა. ასევე გამოკვეთილი უნდა იყოს კვლევის ნაკლოვანებები და რეკომენდაციები, როგორ შეიძლება ამ ნაკლოვანებების დაძლევა;
- დასკვნები – სადაც უნდა შეჯამდეს მიღებული შედეგები და მათგან გამომდინარე დასკვნები. სასურველია, გამოიკვეთოს მომავალი კვლევისთვის მნიშვნელოვანი საკითხები;
- ბიბლიოგრაფია – მითითებული უნდა იყოს გამოყენებული წყაროები;
- დანართი – თუ კვლევის პროცესისა და შედეგების სრულყოფილად წარმოსაჩენად გვაქვს ისეთი მონაცემები და საილუსტრაციო მასალა, რომლებიც პირველადი მნიშვნელობის არ არის და ძირითად ტექსტში ვერ თავსდება, მაშინ შესაძლებელია ისინი წარმოვადგინოთ დანართის სახით.

გთავაზობთ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შეფასების რუბრიკას, რომელზე დაყრდნობითაც შეფასდება მასწავლებლების მიერ განხორციელებული კვლევა.

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
1.	საკვლევი პრობლემის აქტუალობა	საკვლევი პრობლემა/საკითხი არ არის, ან არარელევანტურად არის იდენტიფიცირებული, არ არის დასაბუთებული საკვლევი საკითხის აქტუალობა. არ არის აღწერილი სარგებელი რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღოს მასწავლებელმა/სკოლამ.	საკვლევი პრობლემა/საკითხი ბუნდოვნად არის იდენტიფიცირებული, ზერელად, ან საერთოდ არ არის დასაბუთებული საკვლევი საკითხის აქტუალობა. არ არის, ან არადამაჯერებლად არის აღწერილი სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღოს მასწავლებელმა/სკოლამ.	საკვლევი პრობლემა/საკითხი იდენტიფიცირებულია. დასაბუთებულია საკვლევი საკითხის აქტუალობა, თუმცა არ არის მოყვანილი და გაანალიზებული შესაბამისი მაგალითები პრაქტიკიდან. აღწერილია სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღოს მასწავლებელმა/სკოლამ, ან საკვლევი პრობლემა/საკითხი იდენტიფიცირებულია, არასაკმარისადაა დასაბუთებული საკვლევი საკითხის აქტუალობა, მაგალითები პრაქტიკიდან არ არის საკმარისად გაანალიზებული. აღწერილია სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღოს მასწავლებელმა/სკოლამ.	საკვლევი პრობლემა/საკითხი კარგად არის იდენტიფიცირებული. მკაფიოდ და დამაჯერებლად არის დასაბუთებული საკვლევი საკითხის აქტუალობა, მოყვანილი და გაანალიზებულია შესაბამისი მაგალითები პრაქტიკიდან. ამომწურავად არის აღწერილი სარგებელი, რაც შეიძლება აღნიშნული კვლევისგან მიიღოს მასწავლებელმა/სკოლამ.

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
2.	კვლევის მიზანი და მისი შესაბამისობა საკვლევ პრობლემატიკასთან.	კვლევის მიზნები/საკვლევი საკითხები არ არის, ან არაადექვატურად არის ჩამოყალიბებული და არ შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.	კვლევის მიზნები/საკვლევი საკითხები ბუნდოვნად არის ჩამოყალიბებული და ნაკლებად შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.	კვლევის მიზნები/საკვლევი საკითხები ჩამოყალიბებულია და შესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.	კვლევის მიზნები/საკვლევი საკითხები ნათლად არის ჩამოყალიბებული და სრულად შეესაბამება საკვლევ პრობლემატიკას.
3.	საკითხის ირგვლივ არსებული ლიტერატურის წარმოჩენა; საკითხის განხილვის სისრულე; წყაროების სანდოობა.	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა არასაკმარისია კვლევის წარმოებისთვის. ლიტერატურა არ არის საკვლევ საკითხის რელევანტური. წამოდგენილი ლიტერატურა მხოლოდ აღწერილია ზედაპირულად. ბიბლიოგრაფია არ არის დამოწმებული.	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა მწირია კვლევის წარმოებისთვის. განხილული ლიტერატურა ნაწილობრივ არის საკვლევ საკითხის რელევანტური. წარმოდგენილი ლიტერატურა არ არის გაანალიზებული. გამოყენებული ლიტერატურა არ არის დამოწმებული, ან დამოწმებულია ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების დაცვის გარეშე.	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა საკმარისია კვლევისთვის. განხილული ლიტერატურა არის საკვლევ საკითხის რელევანტური, წარმოდგენილი ლიტერატურა გაანალიზებულია. მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა, მაგრამ ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების დაცვით. ან წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა საკმარისია კვლევისთვის. განხილული ლიტერატურა არის საკვლევ საკითხის რელევანტური, თუმცა წარმოდგენილი ლიტერატურა არასრულად არის გაანალიზებული. მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების დაცვით.	წარმოდგენილი მონაცემები და ლიტერატურა ამომწურავია კვლევის წარმოებისთვის. განხილული ლიტერატურა არის ადეკვატური, თანამედროვე და ავტორიტეტული. წარმოდგენილი ლიტერატურა გაანალიზებულია და მსჯელობა საკითხის გარშემო ლოგიკურია. მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა ბიბლიოგრაფიის დამოწმების წესების სრული დაცვით.
4.	კვლევის მეთოდების შესაბამისობა კვლევის მიზანთან.	ჩატარებული კვლევა არ პასუხობს პრაქტიკის კვლევის პრინციპებს და კვლევის ანგარიშში კვლევის ეტაპები არაა სრულყოფილად ასახული. გამოყენებული კვლევის მეთოდები არ უწყობს ხელს კვლევის მიზნის მიღწევას.	ჩატარებული კვლევა შეტნაკლებად პასუხობს პრაქტიკული კვლევის პრინციპებს, მაგრამ კვლევის ანგარიშში კვლევის ყველა ეტაპი არაა ასახული. გამოყენებული კვლევის მეთოდები არასაკმარისია მიზნის მისაღწევად. არ არის,	ჩატარებული კვლევა პასუხობს პრაქტიკის კვლევის პრინციპებს და კვლევის ანგარიშში ასახულია კვლევის ყველა ეტაპი: თანამშრომლობა, მონაწილეობა, ცვლილების/ინტერვენციების დანერგვა, ინტერვენციების შედეგების შეფასება და ა.შ	ჩატარებული კვლევა სრულად პასუხობს პრაქტიკის კვლევის პრინციპებს და კვლევის ანგარიშში ასახულია კვლევის ყველა ეტაპი: თანამშრომლობა, მონაწილეობა, ცვლილების/ინტერვენციების დანერგ-

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
		<p>მონაცემების დამუშავების მეთოდები არ არის მითითებული, ან სრულიად არარელევანტურია.</p>	<p>ან არასაკმარისად და არადაზარალებლად არის დასაბუთებული გამოყენებული კვლევის მეთოდების ადეკვატურობა. მონაცემების დამუშავების მეთოდები არ არის მითითებული, ან ნაკლებად რელევანტურია.</p>	<p>გამოყენებული კვლევის მეთოდები შესაბამისად კვლევის მიზანს, თუმცა მათი ადეკვატურობის დასაბუთებას აკლია დამაჯერებლობა. მონაცემები დამუშავებულია კვლევის მეთოდების შესაბამისად.</p>	<p>ვა, ინტერვენციების შედეგების შეფასება და ა.შ დამაჯერებლად არის დასაბუთებული გამოყენებული კვლევის მეთოდების სრული შესაბამისობა კვლევის მიზანთან. მონაცემები დამუშავებულია კვლევის მეთოდების შესაბამისად.</p>
5.	<p>არგუმენტაციისა და დასკვნის ლოგიკურობა და კავშირი ძირითად საკვლევ საკითხთან.</p>	<p>კვლევის ანგარიში არ არის, ან მოყვანილია შესაბამის არგუმენტები და დასკვნები. დასკვნები არ არის დაკავშირებული ძირითად საკვლევ საკითხთან.</p>	<p>კვლევის ანგარიშში მოყვანილია არგუმენტები და დასკვნები, თუმცა მათი ნაწილი არ არის შესაბამისი, დამაჯერებელი და თანმიმდევრული. დასკვნები ნაწილობრივ დაკავშირებულია ძირითად საკვლევ საკითხთან. კვლევის ანგარიშის სტრუქტურა გაუმართავია.</p>	<p>კვლევის ანგარიშის ყველა ნაწილს შესაბამისი არგუმენტაცია და დასკვნები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად საკვლევ საკითხთან, თუმცა არგუმენტებს აკლია დამაჯერებლობა, თანმიმდევრულობა. კვლევის ანგარიში სტრუქტურულად გამართულია.</p>	<p>კვლევის ანგარიშის ყველა ნაწილს აქვს ამომწურავი, დამაჯერებელი და თანმიმდევრული არგუმენტაცია და დასკვნები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითად საკვლევ საკითხთან. კვლევის ანგარიში სტრუქტურულად გამართულია, მის კომპონენტებს შორის კავშირი ლოგიკურია.</p>

შენიშვნა: წარმოდგენილი ნაშრომი არ შეფასდება, თუ ავტორი კვლევის პროცესში არ იცავს კვლევის ეთიკის ნორმებს.

კვლევის ანგარიში დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუ ის დააგროვებს ქულების ჯამური რაოდენობის 51%-ს და მეტს, ანუ 20 ქულიდან მინიმუმ 11-ს.

შეფასების რუბრიკა ივსება ინდივიდუალურად, შესაბამისი კრიტერიუმების მიხედვით, ხოლო საბოლოო შეფასება გამოითვლება საშუალო არითმეტიკულის საფუძველზე.

სტუდენტების/მასწავლებლების კონსულტირება

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით მასწავლებელს მოეთხოვება კოლეგებს გაუზიაროს საკუთარი გამოცდილება, პროფესიულ შეხვედრებზე მიღებული ცოდნა, სიახლეები, შესთავაზოს რეკომენდაციები პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

ბესებლად (მუხლი 13³, 3; მუხლი 13⁹, 3, 4). მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ეს მოთხოვნა ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც პროფესიული ურთიერთობა მაღალკვალიფიციურ, გამოცდილ მასწავლებელ-ექსპერტსა და ნაკლებად გამოცდილ, დამწყებ და/ან მომავალ მასწავლებლებს შორის. თანამშრომლობის ამ ფორმის მიზანი დამწყები, გამოუცდელი მასწავლებლისა და/ან მომავალი მასწავლებლის დახმარებაა მათ პროფესიულ განვითარებაში.

მაშასადამე, გამოცდილი მასწავლებელი/ექსპერტი არის კოლეგა, რომელიც ერთგვარი გზამკვლევი, შემფასებელი, ნდობით აღჭურვილი პირია დამწყები და/ან მომავალი მასწავლებლებისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ პროფესიული თანამშრომლობით სარგებელს იღებს არა მხოლოდ დამწყები თუ მომავალი მასწავლებელი, არამედ თავად გამოცდილი კოლეგაც.

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ერთ-ერთი ძირითადი მიზანია სკოლებში თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრებითა და ურთიერთსწავლების გზით არა მარტო მოქმედი მასწავლებლების, არამედ მომავალი კადრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სწორედ ამიტომ უფროსი და წამყვანი მასწავლებლის სტატუსის შესანარჩუნებლად თუ მომდევნო სტატუსის მოსაპოვებლად და მენტორის სტატუსის შესანარჩუნებლად, სხვა მრავალ დამატებით აქტივობასთან ერთად, ერთ-ერთს წარმოადგენს სტუდენტებისა და მასწავლებლების კონსულტირება. სტატუსის ვადაში აღნიშნული აქტივობის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში მასწავლებელს მიენიჭება 2 კრედიტქულა.

სტუდენტების კონსულტირება

„მასწავლებლის საქმიანობის დაწყების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა“ არეგულირებს არა მარტო არსებული მასწავლებლების პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას, არამედ მასწავლებლის საუნივერსიტეტო მომზადებას, რომლის ძირითადი მიზანია თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, პრაქტიკაზე ორიენტირებული კადრების მომზადება მასწავლებლის პროფესიისთვის. მასწავლებლის საუნივერსიტეტო მომზადების ახალი კონცეფციის მიხედვით სასკოლო პრაქტიკა უნდა იქცეს სასწავლო პროცესის განუყოფელ ნაწილად, რომელიც უნდა გასდევდეს მთლიან სასწავლო პროცესს. მასწავლებლის მომზადების საუნივერსიტეტო პროგრამებში სასკოლო პრაქტიკა შესაძლებელია იყოს როგორც სასწავლო კურსებში ჩაშენებული, ისე დამოუკიდებელი სასკოლო

პრაქტიკის კურსი. ჩაშენებული პრაქტიკა ფოკუსირებული იქნება იმ თემატიკაზე, რომელსაც ითვალისწინებს შესაბამისი სასწავლო კურსი, ხოლო დამოუკიდებელი სასკოლო პრაქტიკა გაამთლიანებს იმ ცოდნას, უნარებსა და გამოცდილებას, რომელთაც სტუდენტი დაეუფლა თეორიული და გამოყენებითი კურსებისა და ამ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკის პერიოდში. ასევე, მასწავლებლის საუნივერსიტეტო მომზადების ახალი კონცეფციის მიხედვით, გათვალისწინებულია სტუდენტისთვის ერთწლიანი სასკოლო პრაქტიკის გავლა, როდესაც სტუდენტი კიდევ უფრო აქტიურად ერთვება სასკოლო ცხოვრებაში, ასისტირებას უწევს პრაქტიკის ხელმძღვანელ მასწავლებელს, მისი ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებლად ატარებს გაკვეთილებს, ახორციელებს სასწავლო პროექტებსა თუ პრაქტიკის კვლევას, ჩართულია სკოლის არაფორმალურ ცხოვრებაში და სხვა. სასკოლო პრაქტიკის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელია უნივერსიტეტებისა და სკოლების აქტიური თანამშრომლობა, რომელსაც დაარეგულირებს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელშიც კონკრეტულად იქნება გაწერილი როგორც უნივერსიტეტის, ისე სკოლისა და პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის უფლებამოვალეობები.

პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის საქმიანობას საბოლოოდ აფასებს და კრედიტულებს ანიჭებს სკოლის შეფასების ჯგუფი, რომელიც ეყრდნობა პრაქტიკაზე მყოფი სტუდენტებისა და შესაბამისი კურსის/კურსების პროფესორის/პროფესორების უკუკავშირს. მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აანალიზებს სტუდენტებისა და პროფესორების მიერ შევსებულ პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის შეფასების ფორმას (შეფასების ფორმას მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივად შეიმუშავებენ კონკრეტული უნივერსიტეტი და სკოლის ადმინისტრაცია).

სტუდენტებთან პრაქტიკის ხელმძღვანელი მასწავლებლის შეფასება სასურველია განხორციელდეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

- პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს ეხმარება პრაქტიკის საორგანიზაციო მხარის მოგვარებაში;
- პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს ეხმარება პრაქტიკის სამოქმედო გეგმის შემუშავებაში, განხორციელებასა და შეფასებაში;
- პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს ხელს უწყობს საუნივერსიტეტო კურსით განსაზღვრული სავალდებულო რაოდენობის საგაკვეთილო საათებზე დაკვირვებაში, ასისტირებასა და ჩატარებაში;
- პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებს უზიარებს საკუთარ გამოცდილებას;

- პრაქტიკაზე მყოფ სტუდენტებთან მართავს საქმიან შეხვედრებს და აძლევს კონსტრუქციულ უკუკავშირს;
- პრაქტიკის კომპონენტის საჭიროებიდან გამომდინარე და პრაქტიკანტის დაინტერესების შემთხვევაში, რთავს მას კლასგარეშე და/ან სკოლისგარეშე აქტივობებში;
- უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული პრაქტიკის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით აფასებს პრაქტიკანტს და შეფასებას წერილობით გადასცემს უნივერსიტეტს; აწვდის შესაბამის რეკომენდაციებს;
- მონაწილეობს უნივერსიტეტის მხრიდან დაგეგმილ პრაქტიკასთან დაკავშირებულ სამუშაო შეხვედრებსა და სემინარებში.

მასწავლებლების კონსულტირება

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სტუდენტების გარდა, მასწავლებელი კონსულტირებას უნდა უწევდეს საკუთარ კოლეგებსაც, როგორც დამწყებ, ასევე იმ მასწავლებლებს, რომლებსაც საკუთარი საქმიანობის სრულყოფისათვის სჭირდებათ უფრო გამოცდილი და კომპეტენტური კოლეგის რჩევები. ეს არის თანამშრომლობის ფორმა, რომელიც ერთნაირად სასარგებლოა როგორც რჩევის მიმღების, ისე გამცემისათვის. ისევე, როგორც სტუდენტების კონსულტირების შემთხვევაში, მასწავლებელი თავის კოლეგებს უზიარებს გამოცდილებას, ეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და უკეთ წარმართვაში, ესწრება გაკვეთილზე და აძლევს კონსტრუქციულ უკუკავშირს. ის ეხმარება თავის კოლეგებს პროფესიული საჭიროებების დადგენაში და აძლევს რჩევებს პროფესიული განვითარების დაგეგმვასთან დაკავშირებით.

განსხვავებით სტუდენტებისაგან, უკვე მოქმედი მასწავლებლების კონსულტირებისას მან უნდა გაითვალისწინოს ზრდასრულთა განათლებისა და თანასწორთა სწავლების პრინციპები. ეს მასწავლებლისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ტაქტს, ზომიერებას. მას შეუძლია გამოიყენოს ე.წ. პასუხისმგებლობის ეტაპობრივი გადაცემის მოდელი. ეს მოდელი შეიძლება სამ ეტაპად იყოს წარმოდგენილი: **დემონსტრირება** (როცა მასწავლებელი ატარებს გაკვეთილს და/ან სხვა სასწავლო აქტივობებს, უფრო გამოცდილი კოლეგა კი აკვირდება მის მუშაობას), **ერთობლივი სწავლება** (როცა ორივე მასწავლებელი ერთობლივად გეგმავს და ატარებს გაკვეთილებს, ასევე სხვა სასწავლო აქტივობებს), **დაკვირვება** (რჩევების მიმღები მასწავლებელი ატარებს გაკვეთილს და/ან სხვა სასწავლო აქტივობებს, უფრო გამოცდილი მასწავლებელი კი აკვირდება და აძლევს მას შესაბამის რეკომენდაციებს).

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი პროფესიული რჩევების მიმღები მასწავლებლის უკუკავშირის საფუძველზე აფასებს გამოცდილი მასწავლებლის საქმიანობის ეფექტიანობას და იღებს გადაწყვეტილებას ამ უკანასკნელისთვის კრედიტულის მინიჭების თაობაზე.

სასწავლო რესურსი

როგორც ცნობილია, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მიხედვით, დამატებითი აქტივობების ჩამონათვალში შედის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული კრიტერიუმის შესაბამისი სასწავლო რესურსის ან რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნაც, რაც სავალდებულო აქტივობაა წამყვანი მასწავლებლისა და მენტორისათვის სტატუსის შესანარჩუნებლად. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სურვილისა და შესაბამისი ძალისხმევის შემთხვევაში, თუ პრაქტიკოსი მასწავლებელი ასეთ რესურსს შექმნის, ის „თამაშგარე მდგომარეობაში“ დარჩება. რადგანაც რესურსი ან პროფესიული ლიტერატურა არ არის / არ უნდა იყოს ერთჯერადი გამოყენების, მასწავლებელს შეუძლია აღნიშნული აქტივობისათვის კრედიტი მომდევნო საფეხურზე მიიღოს.

რესურსი სასწავლო პროცესის აუცილებელი კომპონენტია, ამიტომაც ეთმობა მას ცალკე თავი ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სადაც ვკითხულობთ: „სასწავლო პროცესში აუცილებელია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსების გამოყენება როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის (ესგ, შესავალი, თავი II, მუხლი 8., 2011-2016), რაც, შესაბამისად, ასახულია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტშიც.

რა სახის სასწავლო რესურსები შეფასდება სქემის ფარგლებში?

1. ელექტრონული რესურსები:

- 1) კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები;
- 2) საგანმანათლებლო ვებ-გვერდი;
- 3) სასწავლო მიზნით შექმნილი მულტიმედიაური პროდუქტები (მაგ., ვიდეორგოლი, ფილმი, აუდიოჩანაწერი / აუდიოწიგნი, ანიმაცია...)

2. თვალსაჩინოება:

- 1) პლაკატი (ტაბულა, სქემა, ცხრილი...);
- 2) რუკა/ატლასი;

- 3) მასალა საგანმანათლებლო თამაშებისათვის (მაგ., მოძრავი ანბანი, ლოტო...);
- 4) მასალების კოლექცია (მაგალითად, მინერალები, ძველი მონეტები, ჭერბა-რიუმი...);
- 5) დანადგარი / ხელსაწყო/მაკეტი/დეკორაცია;
- 6) ინტერაქტიური პრეზენტაცია Power Point-ის გამოყენებით.

რატომ არის სასწავლო პროცესში რესურსების გამოყენება მნიშვნელოვანი?

- რესურსი ეხმარება მოსწავლეს მასალის უკეთ გაგებასა და გააზრებაში;
- მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება უპასუხებს სხვადასხვა სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებას;
- სასწავლო პროცესი ხდება სახალისო და საინტერესო;
- იზრდება მოსწავლეთა მოტივაცია;
- იზრდება მოსწავლეთა ჩართულობა;
- მაღლდება მოსწავლეების აკადემიური მიღწევები.

აქედან გამომდინარე, კარგად დაგეგმილი სასწავლო პროცესი გულისხმობს სხვა კომპონენტებთან ერთად სასწავლო რესურსების მოძიებას, მობილიზებასა და შექმნას. მასწავლებლები ხშირად მოსწავლეთა წარუმატებლობის მიზეზად რესურსების ნაკლებობას ასახელებენ, თუმცა, საბედნიეროდ, სისტემაში არიან ისეთებიც, რომლებიც საიდანღაც რესურსების მუდმივი მოლოდინის ნაცვლად თავად ქმნიან საინტერესო რესურსებს. მცირედი შემოქმედებითობა და შეიძლება გადასაყრელად გამზადებული ნივთები თუ ძველი ჟურნალ-გაზეთები მასწავლებლის ხელში მოსწავლეებისათვის მამოტივირებელ, ინტერესის აღძვრისა და საკითხში ჩაღრმავების წყაროდ იქცეს.

თავად მასწავლებლის მიერ სასწავლო რესურსის შექმნას ან უკვე შექმნილის მოდიფიცირებას ერთი არსებითი უპირატესობა აქვს: მას შეუძლია ამ რესურსის მორგება კონკრეტული კლასის, ასაკის, ჯგუფის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებზე. თუ მასწავლებელი კარგად იცნობს საკუთარ მოსწავლეებს, იცის მათი ინტერესები, ინდივიდუალური თავისებურებები, ადვილად მოახერხებს დააკმაყოფილოს მათი სასწავლო საჭიროებები, გაამრავალფეროვნოს სასწავლო პროცესი, გაზარდოს მოსწავლეთა ჩართულობა და, შესაბამისად, უზრუნველყოს უკეთესი შედეგები.

იმისათვის, რომ მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი იყოს ერთდროულად ეფექტურიც და ეფექტიანიც, აუცილებელია შემდეგი ასპექტების გათვალისწინება:

1. რესურსის მართებულად გამოყენება ნიშნავს იმას, თუ რამდენად შეესაბამება ის გაკვეთილის მიზანს. რესურსის შექმნისას მასწავლებელს მკაფიოდ უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი, რა ეფექტი შეიძლება ჰქონდეს მის მიერ შექმნილ რესურსს, დაეხმარება თუ არა ის დასახული შედეგების მიღწევაში;
2. მასწავლებლის მიერ შექმნილი რესურსი უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეების ცხოვრებისეულ თუ სასწავლო გამოცდილებას. მან იმდენად უნდა დააინტერესოს მოსწავლე, რომ მას იმავე თემის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის გაგებისა და მოძიების სურვილი გაუჩნდეს;
3. რესურსმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა ჩართულობა და გაუძლიეროს მათ თანამშრომლობის სურვილი. რესურსი, რომელიც მოითხოვს ერთად ფიქრს, ერთად კეთებას და ამ კეთებით რაღაცის აღმოჩენას (მით უმეტეს, თუ ეს „რალაც“ საერთო ძალისხმევის შედეგია), ამ შემთხვევაში შეგვიძლია თქვა, რომ ჩვენ მიერ შექმნილმა „პროდუქტმა“ გაამართლა;
4. მნიშვნელოვანია, რომ რესურსი არ იყოს ორიენტირებული მოსწავლეების რომელიმე ერთი უნარის განვითარებაზე, არამედ იძლეოდეს უნარების კომპლექსურად განვითარების საშუალებას. მაგალითად, სასწავლო ფილმის შექმნისას მასწავლებელს შეუძლია ჩართოს მოსწავლეები სცენარის წერაში (წერის უნარი), ფილმის გახმოვანებაში (ზეპირმეტყველების უნარი), მიიღოს მათგან რჩევები ხედებისა და რაკურსების შესარჩევად (სივრცითი ინტელექტი), დააფიქროს განათების წყაროებზე (ფიზიკაში მიღებული ცოდნის ტრანსფერის უნარი) და ა.შ.;
5. რესურსი უნდა მისდევდეს გარკვეულ სქემას და იყოს თანამიმდევრული. ორგანიზებულობა მნიშვნელოვანი კომპონენტია რესურსის შედგენისას. როცა მასწავლებელს თავიდანვე აქვს განსაზღვრული რესურსის მიზნები, შეძლებს თანამიმდევრულად დაალაგოს მასალა, რომელიც მოსწავლეებს მისცემს საკითხის აღქმის, გააზრებისა და განზოგადების საშუალებას.
6. რესურსმა უნდა წაახალისოს მოსწავლეები ჩაუღრმავდნენ საკითხს, გააანალიზონ, შეხედონ მას სხვადასხვა კუთხიდან, დაადგინონ კანონზომიერებები;
7. რესურსს უნდა ერთვოდეს მკაფიო და ადვილად გასაგები ინსტრუქცია, მიწოდებული იმ ენით, რომელიც შეესაბამება სამიზნე მოსწავლეთა ცოდნის დონეს;
8. რესურსმა უნდა უბიძგოს მოსწავლეებს, გამოიყენონ სწავლის სხვადასხვა სტრატეგია, რათა შემდეგ თავად შეძლონ დამოუკიდებლად საკუთარი სწავლის პროცესის დაგეგმვა, საკუთარ თავისებურებებზე მორგებული ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენება;
9. რესურსი უნდა ემყარებოდეს სანდო წყაროებს. მოსწავლეებმა უნდა აღიქვან, მოისმინონ და წაიკითხონ ის მასალა, რომლის მეშვეობითაც გაიღრმავებენ

ცოდნას, ამიტომ აუცილებელია, რესურსის შექმნისას მასწავლებელმა იხელმძღვანელოს ავთენტური წყაროებით - ენციკლოპედიით, სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომებით, სხვადასხვა სახის ლექსიკონებით, რომლებიც მოსწავლის ცოდნის დონის შესაბამისად იქნება ადაპტირებული და დამუშავებული;

10. რესურსმა უნდა უბიძგოს მოსწავლეს, მიღებული ცოდნა გამოიყენოს საკლასო ოთახის გარეთაც, დაუკავშიროს ის რეალობას, პრაქტიკას;
11. რესურსის ეფექტიანობას განსაზღვრავს ისიც, თუ რამდენად ფართოა მისი გამოყენების არეალი – შეიძლება თუ არა ერთი და იგივე რესურსი გამოიყენოთ სხვადასხვა აქტივობისათვის, სხვადასხვა საგანში და სხვადასხვა უნარ-ჩვევების განსავითარებლად;
12. დაბოლოს, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ რამდენად უსაფრთხოა რესურსი. უნდა მოვერიდოთ მსხვერველადი, ტოქსიკური ნივთიერების შემცველი მასალის, ბასრი საგნების / დეტალების გამოყენებას და ა.შ. ერთი შეხედვით უსაფრთხო რესურსი შესაძლებელია სახიფათო აღმოჩნდეს კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისათვის, ამიტომ რესურსის შეთავაზებისას მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი რისკი და წინასწარ მიიღოს ზომები მისი თავიდან აცილებისათვის.

იმისათვის, რომ გავარკვიოთ, რამდენად ეფექტიანი იქნება ამა თუ იმ რესურსის გამოყენება, აუცილებელია დავადგინოთ სხვადასხვა სახის რესურსის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამის დადგენა მასწავლებელს აძლევს საშუალებას, წინასწარ განჭვრიტოს, რის გაკეთება შეიძლება იმისათვის, რომ უარყოფითი მხარეები მაქსიმალურად შეამცროს. მაგალითად, თუ რუკა/სქემა/პლაკატი დიდი ფორმატისაა და მისი გამოყენება მხოლოდ საერთო საკლასო მუშაობისას არის მოსახერხებელი, მასწავლებელს შეუძლია შედარებით მცირე ფორმატის რამდენიმე ასეთი თვალსაჩინოება შექმნას მცირე ჯგუფებში სამუშაოდ.

გთავაზობთ ცხრილს, რომელშიც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ტიპის რესურსის როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები:

რესურსის ტიპი	პლაკატი, დიაგრამები, სქემები, რუკები
დადებითი მხარეები	<ol style="list-style-type: none"> 1. ხშირად გამოიყენება სპეციფიკური საილუსტრაციო მიზნებისათვის. დამახსოვრების ხარისხი იზრდება, რადგან ინფორმაცია შედის ორი - აუდიალური და ვიზუალური - გზით; 2. გამოიყენება ყველა სასწავლო საგანსა და მეთოდით მუშაობის დროს; 3. სასწავლო გარემოს უფრო საინტერესოსა და მიმზიდველს ხდის (თუ დიდხანს არ კიბია კედელზე); 4. ადვილი შესანახია; 5. დიდია საკითხის მიმართ მოსწავლეთა ინტერესის აღძვრის ალბათობა.

უარყოფითი მხარეები	<ol style="list-style-type: none"> 1. მალე ცვდება; 2. ხშირი გამოყენების შემთხვევაში მოსწავლის თვალი ეჩვევა და მოსაბეზრებელი ხდება; 3. თუ დიდი ფორმატისაა, გამოიყენება მხოლოდ საერთო საკლასო მუშაობისას; 4. მხედველობის პრობლემის მქონე ან მოშორებით მსხდომი მოსწავლეებისათვის ძნელად აღსაქმელია.
რესურსის ტიპი	მოდელი, მაკეტები
დადებითი მხარეები	<ol style="list-style-type: none"> 1. იძლევა სხვადასხვა საგნის შინაარსის უკეთ გაგების შესაძლებლობას; 2. იძლევა რეალობის შთამბეჭდავი ვიზუალიზაციის შესაძლებლობას.
უარყოფითი მხარეები	<ol style="list-style-type: none"> 1. რთულია და შეიძლება ძვირიც მისი დამზადება; 2. სიდიდიდან და მასალიდან გამომდინარე შეიძლება იყოს ძნელი შესანახი; 3. შეიძლება შეიცავდეს საფრთხის შემცველ დეტალებს.
რესურსის ტიპი	ტექნიკური აღჭურვილობა, განადგარები, აპარატურა
დადებითი მხარეები	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლეებს აძლევს საშუალებას გამოსცადონ ჰიპოთეზები, დააკვირდნენ, როგორ მუშაობს დანადგარი ან აპარატურა პრაქტიკაში; 2. მოსახერხებელია როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის დროს; 3. შესაძლებელია მისი მრავალჯერადი გამოყენება.
უარყოფითი მხარეები	<ol style="list-style-type: none"> 1. დასამზადებლად რთულია და შეიძლება დაჯდეს ძვირი; 2. რთულია მისი ხშირად გამოყენება, თუ მოითხოვს დიდ ფართსა და დროს; 3. რთულია შესანახად, რადგან საჭიროებს სპეციალურ სათავსოს.
რესურსის ტიპი	მასალების კოლექცია (მაგალითად, მინერალები, ძველი მონეტები, ზერბარიუმი და სხვ.)
დადებითი მხარეები	<ol style="list-style-type: none"> 1. იძლევა სხვადასხვა საგნის შინაარსის უკეთ გაგების შესაძლებლობას; 2. აღძრავს ცნობისმოყვარეობასა და ინტერესს; 3. უბიძგებს მოსწავლეებს ჰიპოთეზების გამოთქმისაკენ და ეხმარება მათ ყურადღების კონცენტრაციაში; 4. გამოიყენება არაერთჯერადად; 5. მისი გამოყენება შეიძლება სხვადასხვა ასაკის მოსწავლეებთან და სხვადასხვა საგანში.
უარყოფითი მხარეები	<ol style="list-style-type: none"> 1. შეგროვება მოითხოვს ხანგრძლივ დროს; 2. მოპოვება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს სირთულეებთან; 3. ძნელი შესანახია; 4. საჭიროებს ზუსტ აღრიცხვასა და კატალოგიზაციას.
რესურსის ტიპი	აუდიო საშუალებები
დადებითი მხარეები	<ol style="list-style-type: none"> 1. იძლევა ჩაწერილი მასალების (მაგალითად, ინტერვიუების, მუსიკალური ჩანაწერების და სხვ.) მოსმენის საშუალებას; 2. იძლევა რეალური პიროვნებების გამოცდილების გაცნობისა და მათგან ინფორმაციის მოსმენის საშუალებას;

<p>უარყოფითი მხარეები</p>	<ol style="list-style-type: none"> 3. მასწავლებელს შეუძლია გააკეთოს სპეციფიკური ამბების ჩანაწერი, როგორც საილუსტრაციო მაგალითი; 4. განსაკუთრებით ეფექტიანია ენის სწავლების დროს. <ol style="list-style-type: none"> 1. მომზადება, ჩაწერა და რედაქტირება მოითხოვს დროსა და ძალისხმევას; 2. იმისათვის, რომ მისი გამოყენება შეძლონ მცირე ჯგუფებმა, საჭიროა საკმარისი რაოდენობა; 3. მოითხოვს ზუსტ კატალოგიზაციას.
<p>რესურსის ტიპი</p>	<p>ელექტრონული: კომპიუტერული სასწავლო-საგანმანათლებლო თამაშები</p>
<p>დადებითი მხარეები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე სწავლობს და შეიმეცნებს ხალისით; 2. მაღლდება მოტივაცია შესასწავლი საკითხის და, საერთოდ, საგნის მიმართ; 3. სასწავლო მასალის აღქმაში ჩართულია სხვადასხვა არხი (ვიზუალური, აუდიალური, კინესთეტიკური); 4. აკმაყოფილებს განსხვავებული სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების მოთხოვნილებებს. <p>უარყოფითი მხარეები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საჭიროებს სპეციალურ მომზადებას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დასაუფლებლად; 2. საჭიროებს შესაბამის კომპიუტერულ ტექნიკას და დენის მუდმივ წყაროს.
<p>რესურსის ტიპი</p>	<p>ელექტრონული: საგანმანათლებლო ვებგვერდი</p>
<p>დადებითი მხარეები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. იძლევა სხვადასხვა სახის ინფორმაციის, ტექსტების, სურათების, ვიდეო და აუდიომასალის გამოქვეყნების, დამატებისა და რედაქტირების საშუალებას; 2. იძლევა იმის კონტროლის საშუალებას, თუ ვის მიუწვდება განთავსებულ ინფორმაციაზე ხელი; 3. შესაძლებელია ინფორმაციის გაზიარება როგორც მხოლოდ ერთი კონკრეტული მოსწავლისათვის, ისე ფართო აუდიტორიისათვის. <p>უარყოფითი მხარეები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. საჭიროებს სპეციალურ მომზადებას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაუფლებაში; 2. საჭიროებს დიდ დროს; 3. არსებობს ვებგვერდზე არასანდო ინფორმაციის მოხვედრის საფრთხე.
<p>რესურსის ტიპი</p>	<p>ელექტრონული: მულტიმედიაური პრეზენტაციები (მაგ., ვიდეორგოლი, ფილმი, აუდიოჩანაწერი / აუდიოფიგნი, ანიმაცია).</p>
<p>დადებითი მხარეები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. მოსწავლე სწავლობს და შეიმეცნებს ხალისით; 2. მაღლდება მოტივაცია შესასწავლი საკითხის და, საერთოდ, საგნის მიმართ; 3. სასწავლო მასალის აღქმაში ჩართულია სხვადასხვა არხი და, შესაბამისად, დამახსოვრების ხარისხიც მაღალია; 4. აკმაყოფილებს განსხვავებული სწავლის სტილისა და ინტელექტის მოსწავლეების მოთხოვნილებებს. <p>უარყოფითი მხარეები</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ტექნიკურად რთული შესასრულებელია და მოითხოვს სპეციალურ მომზადებას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დაუფლებაში; 2. მოითხოვს დიდ დროს და მუდმივ განახლებას.

რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სასწავლო რესურსი?

იმისათვის, რომ შეფასდეს წარმოდგენილი სასწავლო რესურსი, აუცილებელია შემდეგი კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

- ყველა ტიპის სასწავლო რესურსს უნდა ახლდეს რეფლექსია, რომელშიც ახსნილი იქნება, თუ რა მიზნით შექმნა მასწავლებელმა რესურსი, როგორ გამოიყენა ის სასწავლო პროცესში, ასევე რა შედეგს მიაღწია მოსწავლეებთან ამ რესურსის გამოყენებით.
- საგანმანათლებლო ვებ-გვერდი უნდა იყოს სავსებით. მასზე განთავსებული უნდა იყოს ავტორის მიერ შექმნილი მასალა, არა მხოლოდ ის რესურსები, რომლებიც მასწავლებელს აქვს ან ჰქონდა წარდგენილი კრედიტულების მოსაპოვებლად. სხვის მიერ შექმნილ რესურსებზე მითითებული უნდა იყოს წყარო/ავტორი.
- ყველა ტიპის თვალსაჩინოება უნდა იყოს ორიგინალური და უნიკალური, რომელიც არ არის ერთგვარი გამოყენების და ეხმარება მასწავლებელს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში. რესურსს უნდა ახლდეს შესაბამისი ინსტრუქცია, რომელიც შესაძლებელს გახდის მის გამოყენებას სხვა მასწავლებლების მიერ.
- იმ სასწავლო რესურსს, რომლის გამოყენებაც შესაძლოა შეიცავდეს ფიზიკურ საფრთხეს, უნდა ახლდეს უსაფრთხოების მკაფიო ინსტრუქცია.

რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მასწავლებელმა სასწავლო რესურსის შექმნის დასადასტურებლად?

ცხრილში წარმოდგენილია სასწავლო რესურსის შექმნის დასადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

სასწავლო რესურსი	დასადასტურებელი დოკუმენტაცია
ბეჭდური/ხელნაწერი რესურსები	<ul style="list-style-type: none"> – ბეჭდური რესურსის ელექტრონული ვერსია Word-ის, PDF, Power Point-ის, ან Excel-ის ფორმატში; – ხელნაწერი რესურსის დასაკანერბული ასლი.
ელექტრონული რესურსები	<ul style="list-style-type: none"> – ვებგვერდის მისამართი, რომელზეც განთავსებულია ელექტრონული რესურსი / ბმული.
თვალსაჩინოება	<ul style="list-style-type: none"> – თვალსაჩინოების ამსახველი ფოტომასალა; – სასწავლო პროცესში მისი დანიშნულების დასაბუთება.

სასწავლო რესურსის შეფასების რუბრიკა

N	კრიტერიუმები	1	2	3	4
1.	რესურსის შესაბამისობა საგანმანათლებლო მიზნებთან, რომლებიც ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას.	სასწავლო რესურსი არ შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს / ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.	რესურსის კავშირი საგანმანათლებლო მიზანთან / ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან ბუნდოვანია.	რესურსი შეესაბამება საგანმანათლებლო მიზნებს / ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.	რესურსი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმის მიზნებსა და შედეგებს; სასწავლო მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.
2.	სასწავლო რესურსის შესაბამისობა მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებთან.	არ არის გათვალისწინებული მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.	მკაფიოდ არ არის განსაზღვრული, რომელი ასაკობრივი ჯგუფისთვისაა განკუთვნილი რესურსი.	გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები.	სრულად შეესაბამება მიზნობრივი ასაკობრივი ჯგუფის თავისებურებებს.
3.	სასწავლო რესურსის შინაარსობრივი გამართულობა.	რესურსი შინაარსობრივად გაუმართავია. მისი გამოყენება შეუძლებელია სამიზნე ჯგუფის მიერ. რესურსი უსიტემოა / ქაოტურია.	რესურსს აკლია შინაარსობრივი გამართულობა, ნაკლებად ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფის ინტერესებსა და საჭიროებებს. შესაძლებელია მისი გამოყენება სასწავლო პროცესში, მაგრამ არ არის კარგად ორგანიზებული, აკლია ლოგიკურობა და თანამიმდევრულობა.	რესურსი შინაარსობრივად გამართულია, თუმცა სრულად არ ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფის ინტერესებსა და საჭიროებებს. რესურსი კარგადაა ორგანიზებული, ჩანს კავშირი საგაკვეთილო პროცესთან ან რესურსი შინაარსობრივად გამართულია, ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფის ინტერესებსა და საჭიროებებს, ჩანს კავშირი საგაკვეთილო პროცესთან, თუმცა არ არის სათანადოდ ორგანიზებული.	რესურსი შინაარსობრივად გამართული და მრავალმხრივია; სასარგებლოა და ღირებული სამიზნე ჯგუფისთვის. შესაძლებელია მისი ეფექტიანად გამოყენება რეალურ სიტუაციაში, უადვილებს მომხმარებელს სასურველი შედეგის მიღწევას. რესურსი კარგად არის ორგანიზებული, ლოგიკური და თანამიმდევრულია.
4.	სასწავლო რესურსის ინოვაციურობა / ორიგინალურობა.	რესურსი არ არის ორიგინალური, არ არის აქტუალური.	რესურსი ნაკლებად ორიგინალურია / სხვა, უკვე არსებული რესურსების მსგავსია.	რესურსი ნაწილობრივ ორიგინალურია / შეიცავს ორიგინალურ ელემენტებს.	რესურსი არის ახალი, უნიკალური და ინოვაციური. მასში ჩანს პიროვნული მიდგომა, ინდივიდუალური სტილი.
5.	სასწავლო რესურსის გამოყენების არეალი.	რესურსი არ არის ინტერაქტიული. მისი პრაქტიკული გამოყენების არეალი ვიწროა.	რესურსი ვერ უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში; არ უწყობს ხელს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას. მისი გამოყენება სხვადასხვა საგანში და მრავალჯერადად შესაძლებელია მხოლოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების შედეგად.	რესურსი სრულად ვერ უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში; მცირე მოდიფიკაციის შემთხვევაში შესაძლებელია მისი გამოყენება სხვადასხვა საგანში და მრავალჯერადად. რესურსი იძლევა შესაძლებლობას კომპეტენციების განვითარების საშუალებას.	რესურსი ინტერაქტიულია და ხელს უწყობს მოსწავლეთა მასივად ჩართულობას. მისი გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა საგანში და მრავალჯერადად. ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ უნარების განვითარებას / რესურსი სრულად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმის გამოჭლი კომპეტენციების განვითარებას.

წარმოდგენილი რესურსი დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუ ის დააგროვებს ქულების ჯამური რაოდენობის 51%-ს და მეტს, ანუ 20 ქულიდან მინიმუმ 11-ს.

რესურსი არ შეფასდება, თუ ავტორი:

1. არ იცავს ინტელექტუალურ უსაფრთხოებას: ინფორმაცია არ არის სანდო; ინფორმაცია ეწინააღმდეგება ადამიანის ფუნდამენტურ ღირებულებებს (შეიცავს ანტიკონსტიტუციურ დებულებებს);
2. არ იცავს საავტორო უფლებებს (არის პლაგიატი);
3. წარმოადგენს იმ აქტივობებს, რომლებიც უკვე შეფასდა 2011-2014 წლების „მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის“ ფარგლებში;
4. წარმოადგენს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ამოქმედებამდე შექმნილ რესურსებს. გამოწვევის წარმოდგენს ამჟამად მოქმედი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო.

რაც შეეხება ელექტრონულ რესურსებს, აქ ერთი, უნივერსალური რუბრიკის შემუშავება საკმაოდ რთულია, რადგან ტიპიდან და თემატიკიდან გამომდინარე თითოეულს დამატებით სხვადასხვა რუბრიკა შეიძლება ჰქონდეს.

რეცენზირებადი პროფესიული ლიტერატურა

რა ითვლება რეცენზირებულ პროფესიულ ლიტერატურად სქემის ფარგლებში?

რეცენზირებადი პროფესიული ლიტერატურა მოიცავს შემდეგი ტიპის ბეჭდური და ელექტრონული სახით გამოქვეყნებულ მასალას:

1. სასწავლო-მეთოდური სტატია ზოგად პედაგოგიკაში ან საგნის სწავლების მეთოდოლოგიაში;
2. დამხმარე მეთოდური ლიტერატურა:
 - ა) სამეცნიერო ნაშრომი ზოგად პედაგოგიკაში ან საგნის სწავლების მეთოდოლოგიაში;
 - ბ) მეთოდური სახელმძღვანელო;
 - გ) მოსწავლის სახელმძღვანელო,
 - დ) სასკოლო⁶ ანთოლოგია;
 - ე) ტესტების/სავარჯიშოების/ამოცანების კრებული;
 - ვ) სასკოლო ლექსიკონი.

⁶ სიტყვა „სასკოლო“ შემდეგი შინაარსს მოიცავს: სასწავლო პროცესის ხელშეწყობი რესურსი, რომელიც განკუთვნილია როგორც მოსწავლეებისთვის, ისე მასწავლებლებისთვის.

დამხმარე მეთოდური ლიტერატურა უნდა იყოს რეცენზირებული. მას უნდა ჰყავდეს ორი რეცენზენტი: 1. მოქმედი მასწავლებელი; 2. შესაბამისი დარგის და/ან განათლების მეცნიერების აკადემიური სფეროს წარმომადგენელი.

3. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო

რა სახის დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს მასწავლებელმა რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნის დასადასტურებლად?

ცხრილში წარმოდგენილია რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურა	დამადასტურებელი დოკუმენტაცია
სასწავლო-მეთოდური სტატია	<ul style="list-style-type: none"> სტატიის დასკანერებული გვერდები, რომლებიც ადასტურებს ავტორობას და აჩვენებს გამოყენებულ ლიტერატურას. თუ სტატია ელექტრონულად არის გამოქვეყნებული, ელექტრონული ჟურნალის ელ. მისამართის ან ორგანიზაციის ვებგვერდის მისამართის მითითება.
გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო	<ul style="list-style-type: none"> სახელმძღვანელოს დასკანერებული გვერდები, რომლებიც ადასტურებს მის ავტორობას და გრიფის მინიჭებას.
დამხმარე მეთოდური ლიტერატურა	<p>ბეჭდური:</p> <ul style="list-style-type: none"> გამოცემის თავფურცლისა და შიდა გვერდის დასკანერებული ასლები, სადაც მითითებულია გამოცემის სათური, გამოცემლობა, გამოცემის წელი, ავტორი/ავტორები, სარედაქციო ჯგუფი, ISBN; რეცენზიები. <p>ელექტრონული:</p> <ul style="list-style-type: none"> ელექტრონული გამოცემის და/ან ორგანიზაციის ვებგვერდის მისამართი.

როგორ შევქმნათ სასწავლო-მეთოდური სტატია?

მასწავლებლის მიერ შექმნილი სასწავლო-მეთოდური სტატია მიზნად უნდა ისახავდეს საკუთარი ან კოლეგის გამოცდილების, საინტერესო მიგნებების, პრაქტიკის კვლევის შედეგებისა და დასკვნების, თეორიული მასალის პრაქტიკაში გადატანის წარმატებული (ან თუნდაც წარუმატებელი) ცდების ანალიზის გაცნობას როგორც განათლების სფეროს წარმომადგენლებისათვის, ისე განათლების საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებისათვის. მნიშვნელოვანია, რომ ასეთი სტატიების ფოკუს-

სი იყოს მოსწავლე. სტატიამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა უპასუხოს შეკითხვას: *რა ეფექტი აქვს ყოველივე იმას, რასაც აუდიტორიას ვთავაზობთ უშუალოდ მოსწავლეებისათვის, რამდენად უწყობს ხელს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას?*

ზოგადად, სტატიის შექმნისას გასათვალისწინებელია რამდენიმე რეკომენდაცია:

1. სტატიის წერის პირველი ნაბიჯი არის თემის შერჩევა. თემის შერჩევისას გაითვალისწინეთ, რომ ერთი სტატია, სასურველია, ეხებოდეს ერთ თემას. უპირველეს ყოვლისა, ეს თემა საინტერესო და აქტუალური უნდა იყოს თავად თქვენთვის, შემდეგ კი სამიზნე აუდიტორიისათვის, ანუ განათლების საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისათვის (პირველ რიგში, მასწავლებლებისათვის), იმათთვის, ვინც შემდგომში, სურვილის შემთხვევაში, შეძლებს მის გამოყენებას / გათვალისწინებას;
2. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი არის სტატიის ფორმატი. არსებობს ფორმატის სხვადასხვა სახე. მაგალითად:
 - „პრობლემა + გადაჭრის გზა“ – გამოკვეთეთ პრობლემა, რომელიც აქტუალურია თქვენი სამიზნე აუდიტორიისათვის და განიხილეთ ის სტატიაში (მაგალითად, მოსწავლეთა ჩართულობის შენარჩუნება მთელი კაკვეთილის განმავლობაში ბევრი მასწავლებლისათვის პრობლემაა; რას ნიშნავს კარგი რეფლექსია - დღეს განსაკუთრებით აქტუალური პრობლემაა მასწავლებლისათვის და ა.შ.). მთავარი არის ის პრაქტიკული რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება მკითხველს ამ პრობლემის გადაჭრაში. აღწერეთ დეტალურად პრობლემის გადაჭრის თქვენ მიერ შეთავაზებული გზა. ასეთ შემთხვევაში მკითხველი მაშინვე მიხვდება, რომ თქვენ ხართ კარგი პრაქტიკოსი, რომელიც ეყრდნობა თეორიას და არა თეორეტიკოსი, რომელმაც თეორიულად იცის, რა არის კარგი, რა – ცუდი, მაგრამ პრაქტიკაში ის არ მოუსინჯავს;
 - მეორე ფორმატს პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „მეთოდი, ორიენტირებული... (მაგ., შემოქმედებითი უნარების განვითარებაზე, პრობლემის გადაჭრაზე და ა.შ.)“ – ეს არის დეტალური აღწერა მეთოდისა, რომელიც ან უცნობია თქვენი სამიზნე აუდიტორიისათვის, ან თქვენი გამოცდილება გიჩვენებთ, რომ მას არასწორად იყენებენ. სასურველია, აღწერასთან ერთად მიუთითოთ, რა დადებითი ეფექტი და რისკფაქტორები ახლავს ამ მეთოდის გამოყენებას. ასეთი დეტალური აღწერა მკითხველს დაარწმუნებს იმაში, რომ თქვენ თავად გამოგიყენებიათ ეს მეთოდი;
 - მესამე ფორმატს პირობითად შეგვიძლია დავარქვათ „გვეკითხებიან – ვუპასუხებთ“. ამ შემთხვევაში კარგია, თუ აღწერთ სიტუაციას, როცა თქვენთვის

არაერთხელ გაუზიარებიათ კოლეგებს საკუთარ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემები და უკითხავთ რჩევას, როგორ გადაჭრან ის. შეეცადეთ განაზოგადოთ ეს პრობლემა და მისცეთ მას კითხვა-პასუხის სახე. მაგალითად, „ხშირად გვესმის მასწავლებლებისაგან: არის კი შესაძლებელი დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება კლასში, სადაც 35 მოსწავლეა? რა თქმა უნდა, შეიძლება, თუ...“ და თქვენ აწვდით მათ პასუხს, რომელიც ეფუძნება დიფერენცირებული მიდგომის შესახებ არსებულ თეორიებს/კვლევებს და აჩვენებთ ამის თუნდაც ერთ პრაქტიკულ მაგალითს;

- შემდეგი ფორმატი, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „პრაქტიკული რეკომენდაციები“, პირდაპირ იწყება ერთი ან რამდენიმე რეკომენდაციის დეტალური აღწერით. თქვენ თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ უხსნით მკითხველს რა გააკეთოს, როგორ და რა მიზნით. სასურველია, თუ მოდიფიცირებულ ვარიანტებსაც შესთავაზებთ. მაგალითად, „იმისათვის, რომ ტექსტის გააზრებული კითხვა უზრუნველვყოთ, გირჩევთ დაიცვათ შემდეგი თანამიმდევრობა...“

გახსოვდეთ, რომ მასწავლებლები თქვენი სტატიიდან ელიან საკუთარი პრობლემების გადაჭრისათვის რეალურ რჩევებს, ამიტომ ამ რჩევების პრაქტიკულობა (ცხადია, თეორიებზე დაფუძნებული) განსაკუთრებით დაინტერესებს მათ.

3. შემდეგი ნაბიჯი, ასევე მნიშვნელოვანი, არის სათაურის შერჩევა. გახსოვდეთ, არ არის საჭირო არც ზედმეტი ორიგინალურობა და არც ბანალურობა. გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები:

- სათაურმა უნდა მიიპყროს თქვენი პოტენციური მკითხველის ყურადღება, მიანიშნოს, რომ ეს შეიძლება მისთვის საინტერესო იყოს;
- შეეცადეთ მოაქციოთ სათაურში ისეთი საკვანძო სიტყვა ან მოკლე ფრაზა, რომელიც აღუძრავს მკითხველს ცნობისმოყვარეობას, მაგრამ, ამასთანავე, მიანიშნებს თქვენი სტატიის თემაზე;
- სათაური თვალის ერთი შევლებით უნდა აღიქვას მკითხველმა. ის არ უნდა იყოს ძალიან გრძელი;
- სათაური, ძირითადად, უნდა შედგებოდეს ნაცნობი სიტყვებისაგან. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება უცნობი ტერმინის „ჩაგდება“;
- არ არის რეკომენდებული სათაურში ზედმეტი ემოციის ჩადება ძახილისა თუ კითხვის ნიშნებით. ამან შეიძლება მკითხველს გაუჩინოს განცდა, რომ ავტორი ზედმეტად მენტორულია ან ცდილობს მანიპულირებას;
- სასურველია გამოიყენოთ სტატიის სათაურის დასაწყისად ერთი შეხედვით შაბლონური სიტყვები/ფრაზები: მაგალითად, „როგორ...“, „როცა...“, „მოკ-

ლედ ... შესახებ“, „თუ...“. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყოველთვის სტატიის სათაური ასეთი სიტყვებით უნდა დავიწყოთ. ეძებთ საკუთარი სტილი, იფიქრეთ, ნუ მოერიდებით ექსპერიმენტირებას.

4. შემდეგი ნაბიჯია დაგეგმვა. სწორედ თქვენ მიერ წინასწარ შექმნილი გეგმის მიხედვით ააგეთ სტატია. მთავარია „თავში გქონდეთ“ სტატიის კონცეფცია. გეგმა ყველასათვის ნაცნობი სამი კომპონენტისაგან შედგება – შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა:

- **შესავალი.** შესავალმა მკითხველი უნდა მიიყვანოს ძირითად თემასთან. სასურველია, თუ აქვე იქნება განსაზღვრული, რა პრობლემას ეხება სტატია, ვინ შეიძლება დაინტერესდეს (მასწავლებლები, მშობლები, ადმინისტრაცია თუ ყველა ერთად) და რას სთავაზობს მკითხველს. აქ თქვენ უნდა დაარწმუნოთ მკითხველი, რომ დროს ტყუილად არ დაკარგავს, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხია მისთვის.

- **ძირითადი ნაწილი.** ძირითადი ნაწილი უშუალო უნდა განიხილავდეს თემას. ის არაეფექტურია, თუ ბუნებრივად არ გამომდინარეობს შესავალი ნაწილისგან. აქ უნდა იყოს სწორედ განმარტებული თემის ძირითადი ცნებები ან მოცემული პრაქტიკული რეკომენდაციები, ან ორივე ერთად. შეეცადეთ შეარჩიოთ ყველაზე არსებითი და მთავარი. ნუ გადაიტანთ მკითხველის ყურადღებას მეორეხარისხოვანზე. კარგია, თუ სტატიას გაამდიდრებთ საინტერესო ფაქტებით პირადი გამოცდილებიდან (ცხადია, თემასთან დაკავშირებულით). თუ ახდენთ ვინმეს ციტირებას, სასურველია, იქვე გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულებაც ან ამ სიტყვებში გამოხატული აზრის დამადასტურებელი მაგალითი თქვენი პრაქტიკიდან. ძირითად ნაწილში პასუხი უნდა გაეცეს შესავალში დასმულ პრობლემას/საკითხს. გახსოვდეთ, თქვენს ტექსტში უნდა იგრძნობოდეს მკითხველისადმი კეთილგანწყობა, მხარდაჭერა და არა „გემოდან დამოძღვრა“. ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენას, თავისუფალს გაუგებარი ტერმინებისაგან, მარტივსა და უშუალოს.

- **დასკვნა.** დასკვნაში თქვენ ერთგვარად აჯამებთ სტატიაში მიმოხილულ საკითხს და აქცენტს აკეთებთ იმაზე, რატომ მიიჩნით, რომ ეს საკითხი აქტუალური შეიძლება იყოს და თქვენ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები – სასარგებლო. დაუშვებელია დასკვნის ნაწილში ახალი არგუმენტის ან ფაქტის წარდგენა.

5. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი – ეს არის **გამოყენებული წყაროების მითითება**. გახსოვდეთ, არსებობს სტატიის პლაგიატზე შემოწმების საშუალებები.

6. დაბოლოს – **ტექსტის ფორმატირება**. იმისათვის, რომ თქვენი სტატიის შინაარსი ადვილად აღსაქმელი იყოს, მნიშვნელოვანია მისი სწორად გაფორმება, ანუ

ფორმატირება, რომელიც „კარნახობს“ მკითხველს, რას მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება, ეხმარება მას წაკითხულის უკეთ გაგებასა და გააზრებაში. არსებობს ფორმატირების სხვადასხვა ხერხი. კერძოდ:

- ქვეთემების / ქვეთავების გამოყოფა;
- დანომვრა ან ე.წ. „ბულეტების“ გამოყენება;
- საკვანძო სიტყვებისა თუ ფრაზების გამოყოფა (მაგ., ე.წ. „ბოლდით“);
- სურათების, ფოტოების, ცხრილებისა და დიაგრამების გამოყენება.

თუმცა ფორმატირებაშიც ზომიერების დაცვაა საჭირო. ფორმატირების ელემენტების გადამეტებულმა გამოყენებამ შეიძლება დააზარალოს ტექსტის შინაარსი.

მთავარი და არსებითი: გახსოვდეთ, სასწავლო-მეთოდური სტატიის ხარისხი უპირველესად განისაზღვრება იმით, რამდენად გამოადგებათ მასწავლებლებს თქვენ მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები იმისათვის, რომ გააუმჯობესონ საკუთარი პრაქტიკა და მოსწავლეების სწავლის პროცესი.

ცხადია, ზემოთ მოცემულ რეკომენდაციებს არ აქვთ უნივერსალურობის პრეტენზია. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა გამოცემას შეიძლება განსხვავებული მოთხოვნები ჰქონდეს. ამიტომ სტატიის ავტორი წინასწარ უნდა იცნობდეს ამ მოთხოვნებს.

ბეტდური რესურსებიდან ჩვენ გზამკვლევაში არ შევხებით გრიფინიტებული სახელმძღვანელოების კრიტერიუმებს, რადგან სახელმძღვანელოების ავტორთათვის ის კარგად არის ცნობილი.

რეცენზირებული პროფესიული ლიტერატურის შეფასების კრიტერიუმები:

1. პროფესიული ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს შემდეგ მიზნებს:
 - ა) მასწავლებლის პროფესიული განვითარება სწავლა-სწავლების ახალი მეთოდოლოგიის, ან საგნობრივი შინაარსისა და, ამავდროულად, მისი სწავლების მეთოდიკის გაცნობის გზით (მასწავლებლის სახელმძღვანელო, სამეცნიერო-პედაგოგიური ლიტერატურა, სტატია);
 - ბ) მასწავლებლის დახმარება სასწავლო პროცესის წარმართვაში (სასკოლო სახელმძღვანელო და მასწავლებლის წიგნი);
 - გ) სკოლის ადმინისტრაციის პროფესიული განვითარება სკოლის მართვის ახალი მეთოდოლოგიის გაცნობის გზით;
 - დ) მოსწავლეთათვის სასწავლო მასალის შეთავაზება, რომელიც დაეხმარება მათ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევაში (გრიფინიტებული სასკოლო სახელმძღვანელო/სამუშაო რვეული...).
2. პროფესიული ლიტერატურა გამოცემულია სასწავლო-სამეცნიერო პროფილის

მქონე რეგიონული, ეროვნული ან საერთაშორისო ბეჭდური ან ელექტრონული გამომცემლობის მიერ;

3. ბეჭდური სახით გამოცემულ პროფესიულ პუბლიკაციაზე (წიგნი, მოსწავლის/მასწავლებლის სახელმძღვანელო) უნდა იყოს რეცენზირებული. მას უნდა ჰყავდეს ორი რეცენზენტი: 1. მოქმედი მასწავლებელი; 2. შესაბამისი დარგის და/ან განათლების მეცნიერების აკადემიური სფეროს წარმომადგენელი;
4. ელექტრონული მასალა გამოქვეყნებულია სახელმწიფო / საერთაშორისო / არასამთავრობო ორგანიზაციის / პროფესიული გაერთიანების ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. გამოქვეყნებულ მასალაში განხილული თემები ეხმიანება / შეესაბამება სასწავლო თემატიკას;
6. გამოქვეყნებულ მასალაში განხილული საკითხები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმასა და მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს;
7. გამოქვეყნებულ მასალაში განხილული პრობლემები/საკითხები აქტუალურია თანამედროვე ზოგადი განათლების სისტემისთვის;
8. გამოქვეყნებულ მასალაში მოცემული ინფორმაცია სანდოა, ავტორის მოსაზრებები/შეხედულებები გამყარებულია ფაქტებით, მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა.

პროფესიული ლიტერატურა არ შეფასდება, თუ ავტორი:

- არ იცავს ინტელექტუალურ უსაფრთხოებას: ინფორმაცია არ არის სანდო; ინფორმაცია ეწინააღმდეგება ადამიანის ფუნდამენტურ ღირებულებებს (შეიცავს ანტიკონსტიტუციურ დებულებებს);
- არ იცავს საავტორო უფლებებს (არის პლაგიატი);
- წარმოადგენს იმ ნაშრომებს, რომლებიც უკვე შეფასდა 2011-2014 წლების „მასწავლებლის პროფესიული განვითარების სქემის“ ფარგლებში.
- წარმოადგენს „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ამოქმედებამდე შექმნილ რესურსებს. გამონაკლისს წარმოადგენს ამჟამად მოქმედი გრიფინიჭებული სახელმძღვანელო.

წარმოდგენილი პროფესიული ლიტერატურა დადებითად შეფასებულად ჩაითვლება, თუკი იგი აკმაყოფილებს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა კრიტერიუმს, ხოლო პირველი კრიტერიუმიდან ერთ პუნქტს მაინც.

1. განმარტებითი ლექსიკონი განათლების სპეციალისტებისათვის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი 2008, ნაწ. 1.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა, 2011-2016 წწ.
3. <http://ncp.ge/ეროვნული სასწავლო გეგმის პორტალი>.
4. როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს აზროვნება, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2007.
5. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო სასკოლო სახელმძღვანელოების ავტორებისთვის, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, თბილისი, 2008.
6. ზურაბიშვილი თ. (2006) თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევებში, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
7. წულაძე ლ. (2008) რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.
8. ჯეფერი ი. მილსი (2007), სამოქმედო კვლევა (სახელმძღვანელო მკვლევარი პედაგოგებისთვის), მესამე გამოცემა.
9. ბოჭორიშვილი მ. მასწავლებელი – სასწავლო მასალის, რესურსებისა და აქტივობის ავტორი, ელექტრონული გაზეთი Maswavlebeli.ge, 23 აგვისტო, 2013;
10. საგანმანათლებლო რესურსების ეფექტიანი გამოყენება, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სახელმძღვანელო მასწავლებლებისათვის, 2004.
11. სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2008.
12. Altricher H., Posch P. (2007) Lehrerinnen und Lehrer erforschen ihren Unterricht (Unterrichtsentwicklung und Unterrichtsevaluation durch Aktionsforschung). Bad Heilbrunn: Julius Klinkhardt.
13. Bogdan R.C., Biklen S.K. (2002) Qualitative Research for Education. An Introduction to Theories and Methods. Boston: Allwyn & Bacon.
14. Croley A. J. (2005) Qualitative Forschungsmethoden, Eine praktische Einführung. Frankfurt am Main: Verlag Dietmar Klotz.
15. Perkins, David N. Smart Schools: From Training Memories to Educating Minds, 1992.
16. Tishman, S., Perkins, D.N., The Thinking Classroom: Learning and Teaching in a Culture of Thinking, 1995.
17. Somekh, B., Lewin, C (Eds.) (2005) Research Methods in the Social Sciences, Sage: London
18. http://www.rogor.ge/article_1103_rogor-davwerot-kargi-statia.html
19. http://www.psychologos.ru/articles/view/kak_napisat_statyu_algorithm

WWW.TPDC.GE

